ლიტერატურული გაზეთი

№2 (162) 29 იანვარი - 11 თებერვალი 2016 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით ფასი 80 თეთრი

გიორგი ლობჟანიძე

ძილ-ღვიძილს შორის

* * *

დღეს ყვითელ ავტობუსში ძლივს ავიჭეჭყე და ისედაც დაღლილს გვარიანი ხვითქი გადამსკდა. კართან დავდექი. უკნიდან ვიღაც ქალბატონი ზიზილო მომადგა და იმპერატიული ტონით მითხრა: ჩავდივარო! გაჩერდება და ჩაგატარებთ-მეთქი! ჩაგატარებთ კი არა, გაგატარებთო! — შემისწორა მედიდური ტუჩების პრუწვით. ვუთხარი: ახლა ამას რა მნიშვნელობა აქვს-მეთქი! როგორ! ქართული ენის დაცვა ყველა ჩვენთაგანის მოვალეობაა! — დამგრგვინა და ზრიალით ჩავიდა. ვერ მოვასწარი მეთქვა: „ჩვენთაგანის“ კი არა, „ჩვენგანის-მეთქი!“

* * *

არ ვიცი, რატომ გამახსენდა: მამიდაჩემის ქმარი ფრონტზე რომ გაიწვიეს, ნაწვიმარი ყოფილა და ეზოში მისი ნაფეხურები დარჩენილა. მამიდამ ცელოფანი გადააფარა და თურმე მთელი წელი შეინახა ის ნაფეხურები. ბიძაჩემი ომიდან აღარ დაბრუნებულა. მამიდა 90 წლისა გარდაიცვალა, შვილებითა და შვილიშვილებით გარშემორტყმულ მარტოობაში...

* * *

თავისუფლების მოედანზე ერთი საცხობია, სადაც, ჩვეულებრივ, შუადღისათვის ხემსს ვყიდულობ ხოლმე. დღესაც მივედი და რიგში ერთი ულამაზესი ზანგის გოგო იდგა, პირდაპირ წარმართი არაბების ნუბიური ქალღმერთი ალ-უზზა...

ყველა იმას უყურებდა და მეც ხმამაღლა წამომცდა, რა ლამაზია-მეთქი. გოგომ გამიღიმა, სენქ იუო, მითხრა, რაღაც იყიდა და წავიდა. რა გნებავთო — მკითხა გამყიდველმა! ხაბიზგინა მინდოდა, მაგრამ ეგ ერთი ცალი, რაც დარჩენილია, არ მომწონს-მეთქი! — შე დალოცვილო, ის მოგეწონა და ამას მიწუნებო?! — გამომძახა შეურაცხყოფილმა მცხობელმა, რომელიც გურული ქალი ყოფილიყო.

II-III



პაატა შამუგია

ალიბი

ციკლიდან „ფილოლოგიური ლექსები“

დავკითხოთ სიტყვები
ყოველი მათგანის მნიშვნელობა ყალბი ალიბია
რომლის მიღმა სისხლი იმალება
დანაშაულის კუდი მოჩანს აბზაცის ბოლოდან
სისხლითაა მოქსოვილი მისი გარსი
ფარდასავით უნდა გადასწიო გაქვავებული მნიშვნელობები
და აღმოაჩენ სიტყვა „კარადაში“ გადამალულ სიტყვა „გვამს“
სიტყვა „სიყვარულში“ ჩაშენებულ სიტყვა „ეჭვს“
სიტყვა „თავისუფლების“ უკან მიმალულ ლაჩარს
წარმოსახვის ფრაგმენტებს ვეღარ აწებებს ცხელი სინტაქსი
დავკითხოთ სიტყვები
ცრუმოწმეა მათი საზრისი
კვალს გვირევენ
რომ სამუდამოდ ჩავიკარგოთ ფუძეკუმშვადი სიტყვის ნაპრალში
შეხედე
სიტყვა „პატარა“ უფრო დიდია ვიდრე სიტყვა „დიდი“
თვითმფრინავის შავი ყუთი არის ნარინჯისფერი
სიყვარული კი... აბა რა გითხრა...
ოდესღაც მეც ვიცოდი მისი მნიშვნელობა
ახლა კი საიდანაც უნდა გადმოვხტე
მაინც ენის ფსკერზე ვეცემი.

V

ზაზა ბიბილაშვილი

პოეზია, დანარჩენი ლიტერატურა, და დანარჩენი

2015

*

ეტყობა, ორი ლექსიდან ერთის წერა უნდა აირჩიო: 1) რომლის წაკითხვაც შეიძლება. 2) რომლის თარგმნაც შეიძლება.
ეტყობა, ბრიყვულად, პირველის წერა ავირჩიე. ჯერჯერობით.

*

ლექსის „დიდხანს წერას“, მგონი, ერთადერთი ნაკლი აქვს — როცა ის (ბოლოს და ბოლოს) მკითხველამდე მიდის, უკვე, დამთავრებული თუ არა, კარგა ხნის დაწყებული მაინც აქვს ავტორისგან გაუცხოება. თუმცა არის კიდევ ერთი — ნახევარნაკლიც: რაც უფრო ნელა წერ, მით მეტი რამ გრჩება უთქმელი. მაგრამ ეს რომ სრულფასოვან ნაკლად მოიხსენიო, ამისთვის ჯერ არათქმასთან თქმის უპირატესობაში უნდა დარწმუნდე...

ან შეიძლება, რაღაცებს ვიგონებ, სინამდვილეში კი ასაკის ამბავია — უკვე დიდი დრო მჭირდება იმისთვის, რამე მეტ-ნაკლებად ხარისხიანი დავწერო.

*

მთავარი უბედურება პოეზიის სრულყოფილად, სრულფასოვნად ვერთარგმნა კი არა, ამ მიღებული — არასრულფასოვანი და არასრულყოფილი შედეგის უმაღლეს პოეზიად აღიარებაა — რაც, სულ ცოტა, პოეზიის ცნებისა და არსის გაბუნდოვანებას, გადღაბნას, შემდგომ (კიდევ უფრო) დამცრობა-დაკნინებას ეხმარება; შესაბამისად — ზოგადად, სალიტერატურო წყლის ამღვრევასაც, რაღა თქმა უნდა...

XII

* * *

ვერც ერთი ენა ვერაფერში გამოვიყენე, რადგან ის, რასაც ამ სივრცეში შენთან განვიცდი, არ ითარგმნება წუთისოფლის არცერთ ენაზე, მზად ვარ წრეზე დავტრიალდე, თეთრი სამოსის კალთა უცხოდ ავაშრიალო, ვიდრე ხიდან ფოთოლივით ჩამოვწყდებოდე, გაგიჟებით ვიყვავილო და თავზე სულ ბულბულები დავისიო ვარდის ბაღივით... ამ მოფარფატე მიწისაკენ დამიზნებულ ყვითელ ფოთოლში შენთვის მუდამ ვარდის ბაღი იგულისხმება, ჟრუანტელად მოფრთხიალე იადონები....

* * *

ვინა თქვა, ფეისბუქი რეალობას არ ასახავსო: ვაჟა-ფშაველა აქ 169 ადამიანს მოსწონს, პარლამენტის თავმჯდომარე — 12 ათას რაღაცას....

* * *

ბავშვობაში ძალიან არ მიყვარდა. ის სულ ბირჟაზე იდგა. მე სულ წიგნებს ვკითხულობდი. საერთო არაფერი გვქონდა, და რადგან ქართულ გრამატიკას განსაკუთრებით კარგად ვსწავლობდი, ჩემი სიარულის მანერისა და გრამატიკის ამ სიყვარულის გამო „მორფოლოგია“ დამარქვა. მოკლედ, ვერ ვიტანდი... ახლა ჩუმი კაცია, უენო, გულიანი. რამდენჯერაც სოფელში მივალ, სულ თაზო უნდა დამეხმაროს. ხან შეშას დამიჩეხავს, ხან ნერგებს მარგვევინებს, ხან მშენებლობაზე მეხმარება. მოვა უსიტყვოდ, თავის გასაკეთებელს გააკეთებს და მიდის... ახლაც იატაკზე გაშლილ კაკალს ვაგროვებდი ტომრებში, მოვარდა, ცოტა ხანს უყურა ჩემს წვალებას, მერე დაფაცურდა, მთელი კაკალი უცებ ჩაყარა, ორ ტომარას დაავლო ხელი, ზურგზე მოიგდო და სულ ჩხრიალ-ჩხრიალით ჩაარბენინა კიბეზე.

* * *

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ამას წინათ ინტერნეტში ერთ საინტერესო ფოტოს გადავაწყდი: ძაძებში გამოხვეულ ქალს იღლიაში ლამაზი, წითელბიბილოიანი მამალი ჰყავდა ამოჩრილი და კადრი ფიროსმანის ნახატს მომაგონებდა. ისე მომეწონა, რომ ერთხანს ავატარადაც დავიდე. ცოტა ხანში წამოვიდა ლანძღვაგინების ნიაღვარი: როგორ ბედავ, ეს ხომ ქრისტიანობის შეურაცხყოფაა. ეს, იცით, ვინ არის — ამა და ამ მონასტრის სქიმმონაზონი, ესა და ეს... დედა ... მოკლედ, ამის მერე სერიოზულად დავფიქრდი ამ ამბავზე. განა მონაზონს უნდა სურდეს, საერთოდ, სურათის გადაღება, მით უმეტეს, ასეთ მდგომარეობაში (დასაკლავი მამლით ხელში) და თუ ის ამ სურათს იღებს და ინტერნეტით ავრცელებს, მე რატომ მეკრძალება ეს სურათი ჩემს გვერდზე გადმოვიტანო... დღეს დილით კიდევ ერთი შეტყობინება (უფრო სწორად, შეკითხვა) გაჩნდა ამ სურათის ქვემოთ: „შენ მუსულმანი ხარ, ხო?!“ დიდი ასოებით და იგულისხმება, რომ დიდი გრძნობით მეკითხება ვილაც ბატონი, რომელიც ჩემს მეგობრებში არ არის, მაგრამ, როგორც ჩანს, ხელი მაინც მიუწვდება ჩემს საჯარო პუბლიკაციებზე. როცა ჩემი რელიგიური მრწამსი შეიტყო, დამარიგა: ასეთი რამ ქრისტიანობის შეურაცხყოფააო. იქვე იმასაც ვუპასუხე და ახლა, აქაც მინდა, გავიმეორო: ქრისტიანობის შეურაცხყოფა სურათის გავრცელება კი არა, თვითონ ამ სურათის გადაღება და ინტერნეტში გამოდებაა, ქრისტიანობის შეურაცხყოფა მშიერ ხალხში ულტრათანამედროვე ჯიპებით გლიჯინია, აღსარების, ზიარების, ქორწინების საიდუმლოებებით ვაჭრობაა...

* * *

ამ სურათზე წერია: პეპელა, მისი მშვენებისდა მიუხედავად, მწერია, და კაქტუსი, მისი სიუხეშის მიუხედავად, ყვავილი. მაშ, ნუ იმსჯელებ ადამიანებზე მათი სახელებისა და ფორმების მიხედვით, არამედ განსაჯე ისინი იმით, რასაც იფარავენ მათი გულები.

* * *

დღეს საღამოს შინ ვბრუნდებოდი და ქუჩაში ირანულ სააგენტოს ჩავუარე.

გიორგი ლობჟანიძე

ძილ-ღვიძილს შორის

გამახსენდა, რაღაცის შეკითხვა რომ მინდოდა და შევედი. ხომ არ იცით, ჩილიმის ნახშირი სად იყიდება თბილისში-მეთქი. ირანელმა დამაკვალიანა. მადლობა გადავუხადე და გამოვბრუნდი. უცებ მომძახის: წაიღეთ ჩვენი სავიზიტო ბარათი: ეგებ საქართველოში მუდმივ საცხოვრებლად დარჩენა გადაწყვიტოთ და მოქალაქეობის მიღებაში დაგეხმარებითო.

მოკლედ, რაღა მე და რაღა სულხანსაბა მუხრან მაჭავარიანის ლექსში?!

* * *

გუშინ მეათედ ჩატარდა „საბა“. ამ ათი წლის მანძილზე 8-ჯერ ვიყავი ნომინანტი და 2-ჯერ გამარჯვებული. ამიტომ, ალბათ, დამეჯერება, ახლა რასაც ვიტყვი: არაფერი ღირს ნერვების ცვეთად და მითუმეტეს, სხვების შეურაცხყოფად. ყოველთვის ყველას მოსაწონი ქვეყნად არაფერი გაკეთებულა. ამდენად, თუკი სამი ლაურეატი მაინც ღირსეული გგონიათ, ესე იგი, ჟიურიმ თავისი საქმე პატიოსნად შეასრულა. წელს მეც პრეტენზიები შორთლისთის მიმართ უფრო მქონდა, ვიდრე საბოლოო შედეგებისადმი. ცხადია, ამ წლის მონაგარი მთლიანად არ წამიკითხავს, მაგრამ აშკარად მაკლდა: ნატო ინგოროყვა, ლელა კოდალაშვილი, მაია ქაცანაშვილის არაჩვეულებრივი თარგმანი და კიდევ, ალბათ, რამდენიმე წიგნი, რომელიც ახლა უცებ არ მახსენდება..

* * *

ჩემს სიცოცხლეში რამდენიმე წიგნი მყვარებია ასე, როგორც სერვანტესის „დონ კიხოტი“. ახლა კიდევ ერთხელ ვკითხულობ მის შესანიშნავ სპარსულ თარგმანს, შესრულებულს დიდი ირანელი მთარგმნელის მოჰამად ყაზის მიერ. გამოცემას თან ერთვის მოჰამად ყაზისავე შესავალი — ესეისტური აზროვნების ბრწყინვალე ნიმუში. შესავლის ავტორი და მთარგმნელი აღნიშნავს: არსებობენ წიგნები, რომლებიც ერთი ერის საზღვრებს არასდროს სცდებიან. არის წიგნები, რომლებიც სხვა ერთა ენაზეც მკითხველთა გარკვეული კატეგორიის სიმპატიებს მოიპოვებენ, მაგრამ ისეთი წიგნები, რომლებიც ერთნაირად საყვარელი იქნებიან ყველა ერის ყველა კატეგორიის მკითხველისათვის, ძალიან ცოტაა და სწორედ ეს წიგნია „დონ კიხოტიო“.

ამ თავისთავად მნიშვნელოვანმა ნათქვამმა სულ სხვა რამეზე დამაფიქრა: ნეტავ თავიდან ბოლომდე სულ რამდენ კაცს ექნება წაკითხული „დონ კიხოტი“ მთელ მსოფლიოში ან თუნდაც ამ ჩვენს საქართველოში და თუ მართლა ამდენი ადამიანი კითხულობს ამ გენიალურ წიგნს, რატომ არ გახდა სამყარო ოდნავ, სულ ოდნავ უკეთესი?

* * *

საოცარი ამბავი წავიკითხე დღეს: ერთმა არაბმა (პალესტინელმა კაცმა) გერმანიის მშვიდობის პრემია მიიღო ერთობ არაორდინარული გადაწყვეტილებისათვის: მან ისრაელელი ჯარისკაცების მიერ მოკლული თავისი თერთმეტი წლის ვაჟის სხეულის ნაწილები იმ ბავშვებს შესწირა, ვისაც ეს ორგანოები სჭირდებოდა. ბიჭუნას გული გადაუნერგეს ებრაელ გოგონას, რომელსაც, რომ არა არაბი დონორის გმირული გადაწყვეტილება, უსათუო სიკვდილი ელოდა.

* * *

აბუ საიდ აბოლ ხეირის ერთი მოწაფე ჰყვება: ერთხელ მოძღვარს (აბუ საიდს) მივაკითხე და ვუთხარი: სამოგზაუროდ წასვლა მწადია და თქვენ რას მირჩევთ ამაზე-მეთქი. მკითხა: ეგ რამ გადაგაწყვეტინაო? ვუთხარი: როგორ გითხრათ, მდინარეც კი ერთ ადგილას რომ დადგეს, დაჭაობდება და დამყაყდება-მეთქი. გამიღიმა და მომიგო: ზღვა იყავ და დაჭაობება აღარ შეგაშინებს!

* * *

როგორი ალუფხულია ყველაფერი: ცნებები, გრძნობები, ღირებულებები, ჩემი კატა კი თათებით მებღაუჭება მუხლებზე და უნდა, რომ მოვეფერო...

* * *

უცხოელებზე გათხოვილი ქართველი ქალების ფენომენი ცალკე შესასწავლია... რა ზემოდან იყურებიან და როგორ ყველაფერს გკადრებენ, თუ დასჭირდათ! გიკიჟინებენ რაღაცების დაცვას (ზრდილობის ნორმებისას, მაგალითად) და თვითონ არავითარ პასუხისმგებლობას არ გრძნობენ ადამიანის წინაშე! „მე თავს ვუშველე, მაგრამ შენ ნაგავი ხარ, იმიტომ, რომ ჩარჩი ამ ნაგავში და ახლა ყველაფრის უფლება მაქვს, მათ შორის შენი უბოდიშო გალანძღვისაც...“ — ფიქრობენ ისინი... რა თქმა უნდა, ეს სიტყვები ყველას არ ეხება, მაგრამ „ჩვენ საზოგადო ჭირზედა ვწერთ“... ამიტომ თუ ჩანაწერში ვინმემ თავისი თავი ამოიცნო, „ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო!“

* * *

ბიჭს თუ ასწავლი, ასწავლი ერთ კაცს, გოგონას თუ ასწავლი, ასწავლი ერს (იბნ ბადისანი). რა მართალია! არადა, მე გოგონებს უარს ვეუბნებოდი კერძო სწავლებაზე...

* * *

წყალდიდობის ამბებმა ძალიან შემაშფოთა. დავურეკე ჩემს ბიძაშვილს, რომელიც სოფელში ცხოვრობს, რა ხდება, ჩვენთან ხომ მშვიდობაა-მეთქი. კი, კაცო! ჩვენა ღვთის უბეში ვაართო! — დამამშვიდა. აი, ასე ლაპარაკობენ ჩემს სოფელში, თვით წყალდიდობის დროსაც კი...

* * *

რადიო „თავისუფლების“ გვერდზე ერთი მონაზვნის დღიურებს ვკითხულობდი. იქ ეწერა: ხვალ ოქონობააო. ოქონა პატარა სოფელი უნდა იყოს გორის რაიონში. ჩემი ბავშვობიდან ჩემი სოფელი და უპატრონო დედაბერი ამოტივტივდა — თხელიური. სიბერემ გონი დააკარგვინა. ამოიღლიავებდა ხოლმე ფუთას და მიდიოდა. რომ ჰკითხავდნენ, სად მიდიხარო, ოქონაშიო, — უპასუხებდა. სხვა ადგილი არასოდეს უთქვამს. ოქონაში მისი მშობლების, მისი ბავშვობის სახლი ყოფილიყო...

* * *

ჩემი მეზობელი მიხო სოფელში შემომჩივის: — მეე, ჯიგაროო, ვაჭრობაში ყისმათი არა მააქ! — და ეს „ყრმა ტკბილი და ტკბილქართული“ ვერ ხვდება, რომ წინადადებაში ექვსი სიტყვიდან სამს სპარსულს მეუბნება.

* * *

„სამოთხე გადაინაცვლებს ქოხში, თუკი იქ იმასთან ერთად იცხოვრებ, ვინც გიყვარს.“

(არაბული ანდაზა).

* * *

ახლა დავბრუნდი მარჯანიშვილის თეატრიდან. ვნახე თემურ ჩხეიძის ანტიგონე. გამაოგნებელი შთაბეჭდილებაა. დიდმა რეჟისორმა თეატრის რწმენა და სიყვარული დამიბრუნა. ბერძნული ტრაგედიის ბოლოს საბერძნეთში პუბლიკა თურმე ზოგჯერ ყვიროდა: ყველა, ყველა ყველა! — როცა ვერ გამოარჩევდნენ, ვინ იყო ყველაზე უკეთესი! ამ სპექტაკლის ბოლოსაც ასევე მინდოდა, მეყვირა: ყველა, ყველა, ყველა! და, რა თქმა უნდა, თემურ ჩხეიძე!

* * *

გამოვიდა ჩემი თარგმანი — საადი შირაზელის „გოლესთანი“ — ურთულესი პოლიფონიური და მრავალშრეანი თხზულება. ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, ქართულადაც, ალბათ, ყველაზე უკეთესი ჩემს თარგმანებს შორის. მაგრამ საერთოდ არ მახარებს ეს ამბავი, რადგან ისეთი შეუსაბამოა ეს ნამუშევარი ქვეყნის საერთო სიტუაციასა და აქ გამეფებულ უგემოვნობასთან....

ნათქვამს მაინცდამაინც ისე ნუ ჩამომართმევთ, რომ თავში ამივარდა...

* * *

„რა ძნელია, იყო მწერალი ქვეყანაში, სადაც ხალხის უმრავლესობამ კითხვა არ იცის, უმცირესობას კი კითხვა არ უყვარს...“

(მარიო ვარგას ლიოსა).

* * *

ჩემი ერთი სპარსელი მეგობრის კედლიდან მომაქვს სტატუსი და ვაქართულებ:

ხელები, რომლებიც ეხმარებიან, უფრო წმინდანი არიან ბაგეებზე, რომლებიც ლოცვას აღავლენენ (კიროს დიდი).

* * *

ალბათ უფრო ცუდია, ვიდრე კარგი, მაგრამ ბავშვობიდან გამოყოლილი თვისებაა, რომელსაც ვერაფერს ვუხერხებ. როცა ვინმეს ჩაგრავენ, იქ მტყუან-მართლის გარჩევა არ შემიძლია და ჩემი გული მუდამ დაჩაგრულის მხარეს არის...

* * *

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში, მგონი, დღეს პირველად ვუყურე რუსთავი ორის კურიერს, ზღვის გაწითლებაზე დაანონსებული ინფორმაციის გამო. ჩემს მტერს, მე იქ ქართული მოვისმინე. ჟურნალისტი სულ ინგლისური პრონონსით მოგვითხრობდა რაღაცას, რისი შინაარსიც სრულებით ვერ გამოვიტანე ცალკე მთხრობელის აბდაუბდა ლაპარაკისა და ცალკე მისი გაუგებარი ლინგვისტური მახვილების გამო. გულწრფელად მაინტერესებს, მართლა ასე უნდა მეტყველებდეს ჟურნალისტი, რომ თავისი საქმის „სუპერპროფესიონალად“ ჩაითვალოს? მთელი საინფორმაციოს განმავლობაში კი რამდენჯერმე მომხვდა ფრაზა: „მე ძალიან ამაყი ვარ იმით, რომ“... ქართველი, როცა ამბობს, რომ ვინმე ამაყია, ეს მაინცდამაინც ამ უკანასკნელის დადებით თვისე-

ბაზე არ მეტყველებს, ხოლო ის, რისი თქმაც რესპონდენტებსა თუ მათ მთარგმნელებს სურდათ, ჩვენს ენაზე უბრალოდ ითქმის: „მეამაყება“... და ბოლოს: იმის შესახებ, რისი ხათრითაც ვუყურე კურიერს, გადაცემაში კრინტიც არ დაუძრავთ...

* * *

ლილი ჰყვება ზღაპარს: „შემოდგომის მშვიდი დღე იდგა. თაგვებს ჭირნახული ჩაელაგებინათ და მოცლილთ ლელობურთი გაეჩაღებინათ“...

ვიშ, გენაცვა, რა „თვალადური ქართულია!“

* * *

მე მიყვარს ეგვიპტე — სწორედ ამ მიწამ შეიფარა დევნილი ჩვილი, ქალწული მარიამი და წმინდა იოსები. ჩვენ ყველას გვაქვს ჩვენი ეგვიპტე, რომელიც გვიფარებს მაშინ, როცა ჰეროდესავით გამხეცებულნი მოსაკლავად დავეძებთ ბავშვებს საკუთარ თავში... ბედნიერი ვარ: იმ ჭის წყალი დამილევია ეგვიპტეში, საიდანაც წყალს იღებდა წმინდა ოჯახი და ალბათ სვამდა პატარა იესოც... იმ ხის ქვეშ ჩამოვმჯდარვარ, სადაც ლეგენდის მიხედვით ეგვიპტეში შემოსულმა წმინდა ოჯახმა პირველად შეისვენა... ამ ხის რამდენიმე ფოთოლი პატრიარქისათვის წამოვიღე თხუთმეტი წლის წინათ. არასოდეს დამავიწყდება, როგორი აღელვებული ეფერებოდა ამ ფოთლებს.... ვიცი, პოეტებისაც ყველაზე უკეთ ისევ მას ესმის, ვიდრე იმ ხალხს, ვისთვისაც ფოთოლი მხოლოდ ფოთოლია და ლექსი ემპირიული მოვლენების უბრალო ქრონიკა... ნუ განურისხდებით პოეტებს... ისინი ბავშვებს იფარავენ თავიანთ თავში — ეგვიპტესავით წინააღმდეგობრივნი და მრავალფეროვანნი...

გილოცავთ შობას და სიხარულს გისურვებთ! ქრისტე არის განკაცებული სიხარული!

* * *

ახლა ვარ ძალიან გახარებული. ამ რამდენიმე ხნის წინ „ლიტერატურულ გაზეთში“ დავბეჭდე ლექსები. სარისკო ლექსები იყო, ჭკუათმყოფელი კაცი არ გამოაქვეყნებდა. სახელებითა და გვარებით ლექსების პერსონაჟები ცოცხალი პოეტები იყვნენ და ზოგს შეიძლება, სწყენოდა კიდეც რამე, იმის მიუხედავად, რომ თვითონ ჩემგან ყველას მიმართ ძალიან დიდი სიყვარული იღვრებოდა; ამიტომაც, ლექსების დაბეჭდვიდან კარგა ხანს ზარებს ტელეფონზე აღარ ვპასუხობდი. ჰოდა, დღეს მირეკავს შოთა იათაშვილი, შობა მომილოცა და მითხრა: ახლა ერთ კარგ ადამიანს უნდა დაგალაპარაკოო და ლია სტურუას გადასცა მობილური. გიორგი, როგორ მომეწონა შენი ლექსები, გირეკავდი, რომ მომელოცა და მადლობა მეთქვაო! — მითხრა ამ სიკეთით და სიყვარულით სავსე ადამიანმა და ადამიანობის, საკუთარ თავზე ამაღლების, ლექსში მთავარის დანახვისა და წვრილმანის უგულებელყოფის დიდი მაგალითი მომცა. მე მიყვარს ლია სტურუა — დიდი პოეტი და დიდი ადამიანი!

* * *

ჩვენს სოფელში ერთი გამრჯე კაცი ცხოვრობდა. მთელი თავისი დღე და მოსწრება ცხვრის ფარას დაჰყვებოდა მწყემსად, ამ თავის ფარაზე იყო გადაგებული და საკუთარი თავისათვის არაფერი ემეტებოდა. მეტი არც არაფერი აღელვებდა თავის გარშემო. სოფლის ერთმა ახალგაზრდამ ერთხელ ლექსი გამოუთქვა, ჩვეულებრივი, სახუმარო ლექსი იყო, არც თუ ისე კრიტიკული, მაგრამ ამ კაცმა ეს ამბავი ძალიან განიცადა. საერთოდ, ბუნებით ძალიან ჩუმი და სიტყვაძვირი, გამოვიდოდა ხოლმე სოფლის ბირჟაზე, ჩამოჯდებოდა თავისთვის, უსმენდა სხვებს და შიგადაშიგ ამოიგმინებდა: „ლექსი, ლექსი! ლექსმა დამღუპა!“

ამ კაცის გარდაცვალებიდან დიდი ხანი გავიდა, მაგრამ ეს ამბავი არ დამვიწყებია, მეტიც, სულ უფრო ხშირად მაგონდება ხოლმე და მწარედ მეცინება. ეგებ, ჩემი ცხოვრების თავისებური რეფრენია და იმიტომ?

* * *

დღეს ბაზარში: აი, ის ბებო რო დადიოდა და თავის კრებულს ყიდდა, ხო დაინახე?

ჰო..

ვიყიდე, ქალო! რა გველექსება ახლა ჩვენა, მაგრამ ყველას თავისი გაჭირვება აქვს...

* * *

დღეს ლილი იყო საახალწლო ნაძვის ხეზე. ორი ბილეთი გვაჩუქეს და ამიტომაც ლუკაც (იძულებით) მოხვდა სპექტაკლზე „კუზიანი კვიცი“, გრიბოედოვის თეატრში. კი იჯუჯღუნა შესვლისას, რა კუზიანი კვიცი, რა კუზიანი კვიციო! — მაგრამ ხათრი ვეღარ გამიტეხა და როგორც გაზის კამერაში, ისე შეჰყვა პატარა დას საახალწლო ზეიმზე. შინ დაბრუნებულები შთაბეჭდილებებს მიზიარებენ: ლილი: მამა, შეიძლება მერე რუსული მასწავლო? სპექტაკლი კი კარგი იყო, მაგრამ არ მესმოდა, რას ამბობდნენ! ლუკას გავძახი: აი, შეხედე, როგორია ლილი — როგორც კი გაგება მოინდომა, მაშინვე რუსულის სწავლის სურვილიც გაუჩნდა. ლუკა ამბობს: კაი, ახლა, „კუზიანი კვიცი“ რუსულის სასწავლად ნამდვილად ვერ განმაწყობს!

* * *

ნართანიანი მრავლობითის სახელობითი რომ დაგვეკარგა, ბუნებრივია და დიდი ხნის წინათ მოხდა, მაგრამ ირიბ ბრუნვებს მაინც ინარჩუნებდა თუნდაც ცოცხალი სამეტყველო ენა და ორგანიზაციათა ოფიციალური დასახელება-წარწერები: ვთქვათ „დედათა და ბავშვთა ოთახი“. ახლა გადაშლი თარგმნილ წიგნს და აღარსად არის სტილისტიკის ელემენტარული შეგრძნება, მაგალითად, წაიკითხავ ასეთ ფრაზას: „ფანჯრების ფარდების მოსართავების ბოლოების კიდეები“! ხანდახან მაინც შეუნაცვლეთ „ებიან“ მრავლობითს ნართანიანი, თქვე მამაცხონებულებო! რა უბედურებაა ეს! ამაოება ამაოთა.

* * *

რაც გინდათ, ის თქვით და, გაბრიელ გარსია მაინც მამაძაღლურად ჩამთრევია! მოყოლა იცის მაგ ოხერმა. მერე რა, რომ თარგმანი არ ვარგა და თვალებს ისე იმტვრევ ზედ, როგორც შიშველ ფეხებს რიყიანში...

* * *

დღეს ჩემი შვილის მასწავლებელმა საყვედურივით მითხრა: „რაზეც გინდა ველაპარაკებოდე, სულ ღიმილი აფენია სახეზეო“. მერე ამაში ცუდი რა არის, კეთილგანწყობილია და გიღიმით-მეთქი, ვუთხარი. კი, მაგრამ ხომ არსებობს სერიოზული თემებიცო! — მითხრა. კი, მაგრამ ასაკი აქვს ისეთი, რა საჭიროა, ჭმუნვა ჰქონდეს აღბეჭდილი სახეზე-მეთქი. შემომხედა და აშკარად მივხვდი, რომ „ჭმუნვაზე“ გაჭედა.

* * *

დღეს ლიტერატურის ინსტიტუტში ძალიან კარგი კონფერენცია ჩატარდა, რომელიც ოთარ ჩხეიძეს ეძღვნებოდა. ბატონი ოთარი იყო ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი ადამიანი. როგორი მწერალია, ამის შეფასება კიდევ სამომავლო საქმეა! მე გამზარდა ამ მწერალმა, მისმა არაჩვეულებრივმა რომანებმა და მოთხრობებმა, მისი ესეების კრებული „რკალი“ კი იმდენჯერ მაქვს წაკითხული, სულ ფურცლებშემოცრეცილია. მე ასეთი ფურცლებშემოცრეცილი წიგნების ვალი მაქვს!

* * *

რა საშინელებაა, როცა ადამიანს სჭირს ვერბალური ფაღარათი!

* * *

ძალიან დიდი საქმე გაკეთდა: გერმანიაში, ლუდვიგსბურგის გამომცემლობა „პოპფერლაგმა“ გამოსცა ქართული პოეზიის ანთოლოგიის ვეებერთელა ტომი, რომელიც შეადგინა თვითონაც შესანიშ-

ნავმა გერმანელმა პოეტმა გერტ რობერტ გრუნეტმა (ნინო პოპიაშვილთან თანამშრომლობით). 576-გვერდიან წიგნში შესულია ქართული პოეზიის ნიმუშები ძველი, ახალი და უახლესი ქართული ლიტერატურიდან. დაბეჭდილია 50 ცოცხალი ავტორის ლექსები და მათ შესახებ დაწვრილებითი ბიოგრაფიული ცნობები. წიგნს ახლავს CD, სადაც ჩაწერილია ქართველი პოეტების მიერ წაკითხული მათივე ლექსები (ქართულად). განსაკუთრებით მახარებს, რომ ანთოლოგიაში შესულია ჩემი ლექსებიც, მათ შორის, „არაბულის მასწავლებელი“. ანთოლოგიაზე რამდენიმე მთარგმნელი მუშაობდა, ჩემი ლექსები კი თარგმნა ქალბატონმა შტეფი იუნგერ-ხოტივარმა, რისთვისაც მას განსაკუთრებულ მადლობას მოვახსენებ. გერტის ამაგს კი, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, თანამედროვე ქართული მწერლობა ვერაფრით გადაიხდის!

* * *

გოგებაშვილის გენიალურ პალინდრომს — „აი ია“ — ვერ გადასწონის ასი ათასი პოეტური მიგნება!

* * *

პროექტში — „მამა, წიგნი წამიკითხე“ — მონაწილეობისათვის გადმომცეს მაისური, რომელსაც ახატია ჩემი კარიკატურა და აწერია „SUPER DAD“. ლილი, ამ დღეებში, რაც სურათი და წარწერა გულდასმით შეისწავლა, გამივლის, გამომივლის და დაიძახებს: „სუპერმამა, ცაში!“ დღეს, ეტყობა, დაღლილი ვიყავი, და შემოვწყერი: რა არის, რაებს ამბობ, გინდა, მამიკო ცაში წავიდეს-მეთქი. ლილი დაიბნა და გაოცებული შემომაცქერდა. აქ საქმეში ლუკა ჩაერია და „ღირსეულად ამიხსნა“: რა გეწყინა? ტელევიზორში მულტფილმია — „სუპეროჯახი“. ჰოდა, იმათ ჰყავთ მამა, რომელსაც, როცა დაუძახებენ „სუპერმამა — ცაში!“ — დაფრინავს ხოლმე და ახლა ლილი გამოწმებს, შენც შეგიძლია ფრენა თუ არაო!

* * *

მე რომ მდიდარი ვიყო, ყველაზე მეტ ფულს დავხარჯავდი განათლების სისტემის მოწესრიგებაში, ყველაზე დიდ დაფინანსებას მივცემდი უნივერსიტეტებსა და უძველეს ქართულ უნივერსიტეტს, ეს იქნებოდა არა ჩემი აშენებული, არამედ სიყვარულით განახლებული ტაძარი... მაგრამ მე მდიდარი არა ვარ, ნუ შეშფოთდებით...

* * *

მე ხომ მჭირს ხოლმე რაღაც ახირებები. ჰოდა, ერთ-ერთი ახირება იყო ერთი ძალიან კარგი პოეტი, რომელსაც რატომღაც სულ ვიცავდი და გვერდში ვედექი, როგორც შემეძლო (არადა, რა სჭირდა ჩემი დასაცავი, ისეთი ალესილი ბრჭყალები ჰქონდა!). ჰოდა, ერთხელაც ამ პოეტის ლექსები გამოვაქვეყნეთ ჟურნალში „ჩვენი მწერლობა“. ამ ჟურნალში იყო ასეთი (ჩემი აზრით) კარგი ტრადიცია, განყოფილების რედაქტორი გამოქვეყნებულ მასალას ურთავდა მინაწერს, სადაც მოკლედ, შეიძლება ზოგჯერ ტრაფარეტულადაც, გადმოსცემდა თავის შთაბეჭდილებებს გამოქვეყნებულ მასალაზე. ჰოდა, დავურთე ამ პოეტის ლექსებს მინაწერი, სადაც დავწერე საბედისწერო ფრაზა: „როცა ერთმანეთს ვაფასებთ, ტეზრის ორღობეებიდან არ უნდა ვღაღადებდეთ“. ეს გამოთქმა დედაჩემისგან მახსოვდა, როცა რაღაც ამბავს მივუტანდი, ვიღაცაზე აუგს, მეტყოდა: თავიდან მომცილდი, ტეზრის ორღობეებიდან ნუ მეღაღადებიო. ტეზერი ჩვენს სოფელთან ახლოს არის, მეორე სოფელი. უფრო სწორად, ჩემს დედულეთთან უფრო ახლოსაა და ეტყობა, დედაჩემსაც ეს ფრაზა იქიდან გამოჰყოლოდა.

ჰოდა, აი, იმ პუბლიკაციის მერე დაიწყო, რაც დაიწყო:

იზას დაურეკავს რედაქციაში და სულ კუდით ქვა უსროლინებია ყველასათვის: მაგ ლობჟანიძეს სადაც დავიჭერ, იქა ვცემ, მაგან არ იცის, რომ ტეზერი ჩემი სოფელია და საერთოდ, ეს სოფელი მე შემოვიტანე ქართულ პოეზიაში?! ალბათ მე მგულისხმობდა ზუსტად, ეს ფრაზა რომ დაწერა, რადგან მაგ პოეტს მე დიდად არ ვწყალობ და ეს იცოდა! და თქვენ კიდევ ჩემს ლექსებს რომ გამოგიგზავნით, ლობჟანიძეს არ დააწერინოთ მინაწერი, ეგ სოფლურად წერს და ჩემზე მაკა ჯოხაძემ დაწეროსო!

მოკლედ, ცუდად არის შენი საქმეო, როსტომმა მითხრა: აწი, თივის ზვინს ერიდე, გიორგიო! ერთხელაც, გავიხედოთ და, მოვიდა იზა რედაქციაში. შენობიდან ორი კიბე ეშვებოდა, ჩვენ მეორე სართულზე ვისხედით. მოკლედ, ერთი კიბიდან რომ იზა ამოვიდა, მეორე კიბიდან მე ჩამაპარეს ქვემოთ...

ცოტა აზრზე რომ მოვედი, ვიფიქრე, რაც არის, არის, სულ ასე კუკუდამალობანას ხომ არ ვითამაშებთ, ავალ და გამოვეცხადები-მეთქი. ავედი, შევაღე კარი და ვითომ იმ წამის მისული ვიყავი, გამარჯობა, ქალბატონო იზა-მეთქი! პირგამეხებული წამოიჭრა, წამოიწია, ვითომ დასარტყმელად, მომიახლოვდა და... მომეხვია! შე ცუდო ბიჭო, ასე ნიჭიერი მაინც არ იყო! — მითხრა და გადამკოცნა!

აი, ასეთი იყო იზა!

და მე ის ძალიან, ძალიან მიყვარდა!

* * *

დღეს დამირეკეს ერთი ტელევიზიიდან კომენტარისათვის და ჟურნალისტს ვუთხარი: დიდი ბოდიში, მაგრამ აი, ისეთ დღეში ვარ, ძალიან ვნანობ, რომ ეს სპეციალობა ავირჩიე, ეგ ენა ვისწავლე და საერთოდ ამ ქვეყნად გავჩნდი-მეთქი. მართლა, რა კომენტარი უნდა გასცე, რაზე უნდა მოიქავო ენა, როცა უდანაშაულო ადამიანები ეწირებიან ვიღაცის ხუშტურებს, ამბიციებს, უვიცობას (თუნდაც საკუთარი რელიგიის არასწორ გაგებასა და ინტერპრეტაციებს)? სიბრიყვეზე ერთადერთი კომენტარი არსებობს: დუმილი. დანაშაულზე ერთადერთი კომენტარი — სასჯელი!

მთელი დღე ვეღარ ვიტანდი ვერც ერთ არაბს. საღამოს მოვიდა ჩემი ერაყელი მოსწავლე, არაჩვეულებრივი ბიჭი. გაკვეთილად გვქონდა ჯიბრან ხალილ ჯიბრანის „შლეგი იოანე“, ნამდვილი შედევრი იმაზე, თუ რა უბედურებას ატრიალებს რელიგიის „პრივატიზება“, რომელიმე პირვილეგირებული ჯგუფის მიერ სარწმუნოების საკუთარი ინტერესებისამებრ ინტერპრეტირება. წავიკითხეთ ეს მოთხრობა და მე ვიგრძენი, რომ ჩემი ერაყელი მოსწავლე ისევ მიყვარდა, რომელიც, სხვათა შორის, თავისი ქვეყნიდან იმავე პრობლემებს გამოექცა, რასაც ჯიბრანის მოთხრობაში ვკითხულობდით...

ნანა გასვიანი

* * *

ქარი თავს კარებს ახლის.
ჩიტი წივის ღაბუა.
თეოზე თვლემს ძაღლი.
თითქმის რიბირაბოა.
ქოხში — ბზე. ნამჯა. შვრიაც.
ქოხზე — ჯანღების ნავლი.
შლეგი — ქიტონთა შრიალს
მალე გაუვა ყავლი.
ფუჰ, ძაღლყურძენას ისხამს
ჟამი ფლიდი და შმორი.
აქემენიდთა რისხვას
გადავრჩენილვარ შორით.
ასწლეულების ტევრი.
სისხლი რამდენი აშრა.
ურუქის პეშვის მტვერიც
გამომყოლია მაშვრალს.
ამბობ: ქალდეველ ქალწულს
დარდმა დარია ხელი
და სატრფოს ხელით დაწნულ
შროშანთა გვირგვინს ელის.
იყო შეპყრობა ტაშით.
მიმოდიოდნენ ბნედით:
ხელთათმნიანი პაჟი
და დედოფალი პლედით.

ხაზები ისევ კვეთავდნენ ხაზებს

მე მოვკვდებოდი, მეგონა ასე,
და მორჩილებით სიკვდილს ვუცდიდი.
ქათინაურით მიხსნიდა თასმებს
უჟმური წლების ეს სუიციდი.
და მე შენდობით ვიყავი სავსე,
სულში არყოფნის ვხატავდი სურათს,
ცაში ხაზები კვეთავდნენ ხაზებს,
ან იქნებ, ასე მოჩანდნენ სულაც.
იბელტებოდა დღეების ტევრი,
იკალებოდა ცოდვების გუდა,
ფორთოხლის ბაღში იდგა ნათელი,
სად მჭახე მზეებს ვუცდიდი მუდამ.
მე მას ვუცდიდი, უნდოს და მედინს,
შიგნით ლოდინი ლოდივით იწვა.
მაინც რაღაცის მქონდა იმედი,
მაინც სხეულით დამქონდა მიწა.
წლები გარბოდნენ ქვა-ღორღით სავსე,
მე ამ გარბენის ვხატავდი სურათს.
ხაზები ისევ კვეთავდნენ ხაზებს,
ან იქნებ, ასე მოჩანდნენ სულაც.

საუკუნის მიმწუხრის ლექსი

სილუეტები გასხლულია ჩაის ვარდების
და შთაგონების წალკოტები ოქრონაყარი.
ნეონის ნისლში სიზმრისა და კვამლის ლანდები
მოსახლეობენ, მომწივიან ქვიშის მაყრები.
გააელამებს შებინდება ცვილის ჯიხურებს,
ციცნათელების აანთებს კვარებს,
ატონალური უღონობით გაიჯახუნებ
როს საუკუნის აფუტკნულ კარებს.
გალამბულია ქრიშობისთვის ღამის სახელო,
თოშში ძაღლივით კართან გდებულის.
უფალმა იცის, მერამდენედ არქმევენ სახელს
ვინაც ვერ არის დაბადებული.
ჩამოხევია წვირიანი საცვალი ზეცას,
ტალახიანი ზმუის გზა-შარა,
აგერ იმ გლეხმა, კურდღლის რუხი ჯუბა რომ ეცვა,
დაგვიფარავსო ჯვარი ლაშარის.
ვაი, რაღა დროს, ზენაარო, წყალობა შენი,
მარგალიტების ხვედრის ზიარი,
როცა დუმილით გადაკვნეტილ ღამეებს შვენის
ნასათუთები ძვლების ზრიალი.
ამოივაკებს ნახევარი მთვარე მუხებთან,
ის შინაბერა, კაპასი, ავი.
წაუჩოქია საუკუნეს შენს თეთრ მუხლებთან
და უდღეური კნუტივით კნავის.
გასისხლულია სარეცელი ჩაის ვარდების.

* * *

მთვარის ორგიულ ფრთონას,
კვირიკობისთვეს, პირველს,
(გისრულებ დანაპირებს)
სიზმრიდან ვატან თრთოლვას.
ზენა სიშორით მავალს,
ოლეანდრების მფენი
გზით გაენდობი, მრავალს
აუმძრახდება ფერი.
წვიმით აუვა ილორს
მწკლარტე სურნელი ფითრის,
ნაშემოდგომარ, იოლ
მზეებს ჩინურად ვითვლი.
ვეძებ ფრანსუაზს სოფლად,
„სალამი, სევდავ“, ძველო,
ჟღალ მთებს ლაჯვებში ქორფა
გაუჩრავს სამლოცველო.
სისხლის მჭმუნვარე ქარვა,
ჯადოპალმების თქეში,
ხევ-ხევ, ბანი-ბან პარვა
მყვირალობების თვეში.
მზის ორგიული ფრთონა,
თოვლის ფართხუნა წერო,
ყომრალი ბედისწერა:
სამოთხეების თმობა.

* * *

იმ დღეს დუმილით ამაოდ დავშვრი.
წვიმდა. ან იქნებ სულაც არ წვიმდა.
თვალსაწიერზე მოჩანდა ბავშვი —
ბავშვი მოჩანდა თეთრი და წმინდა.
ცას მოღამების წადილი ჰკლავდა.
ან იქნებ, მოდგა სისხამი სულაც.
მზე მოგორავდა, მთოვარეს ჰგავდა,
სახლშიც მთოვარის ლანდი მისულა.
ქარს ამოჰქონდა ჭალიდან მარში —
ცაცხვის კვირტების მკუთავი სიცხე.
შორს, ჰორიზონტზე, კვლავ იდგა ბავშვი,
შეხორცებული წვიმიან სივრცეს.
ვფიქრობდით მე და ურწყული სიყრმე
(ძირს გათელილი ეგდო წერილი).
გარეთ კი წვიმდა და წვიმა იყო
ჩვეულებრივი და მოწყენილი.

დაბრუნება

მოგიტან ლოცვებს ლიბოჩაშლილ ეკლესიათა,
მწუხრის ქარების შეტირებას,
მოგივალ, ვინძლო,
შემომახვედრე მოლოდინის სველი ტინები,
ყონაღის უბე,
კვაზარების ჭუტი სიათა,
ანწლის სურნელით გაჩხიბული ორღობე ვიწრო.
ალიონებად ამოშლი ღიმილს —
გარს კოცონები შემოირკინო,
იხუვლებ ისევ.
კი, ძველებურად დაგიმშვენდება
შქერის ყვავილით მორცხვი ღილკილო,
დაგასევ ნისლებს.
წამეკიდება ღვთისმშობლის მზერა
მდურვის აპრილად,
დავდგები ლოცვად.
სურო და ფითრი მოედება შენს ჟრუნ ნაპირებს,
მივდგები როცა...

* * *

ძლივს გაგიხსენე და დაბურული
ხსოვნის ცა ნელა გადაისარკა.
თურმე ერევა გონებას რული
თურმე ძველდება ტრფიალის საგაც.
იყო შუადღე და ქვაფენილზე
წვიმა იმტვრევდა უტიფარ მუხლებს
და აკვირვებდა უცხო ფერილი
ასე თავსხმას და ასე ხელუხლებს.
კი, ჭირვეულობს ზოგჯერ გონება,
განზე დგება და ბალღივით ანცობს,
იმ დღეს ვიჯექი და ვიხსენებდი
შენს სახელს, უწინ ძვირფასს და ნაცნობს.



ძლივს გაგიხსენე და დაფერილი
ურჟოლვა ამოჰყვა ტკივილს ხელუხლებს.
იყო შუადღე და ქვაფენილზე
წვიმა იტეხდა სისხლისფერ მუხლებს.

* * *

ამოჰყოლოდა ქალაქის ჭორი
სოფლად მოვარდნილ ცნობათა ნამქერს.
საღამოს შუბლზე ეყარა ჭორფლი,
საღამო იყო მშვიდი და ქერა.
შუკას ეფარა ქლიავის ჩრდილი,
ჩრდილქვეშ ღუოდა სურო-ფათალო,
— წახდა ქვეყანა!.. — დოდონა ჩივის,
წუხს თალიკო და ოხრავს ფაფალა...
საღამოსპირი გურგურით მტრედის
თავის გასალევს მშვიდობით გალევს;
სოფლის ქალები მოგონილ მტრობით
ამათრახებენ ქალაქის ქალებს.
ქარსვე გაჰყვება ქალაქის ჭორი,
როგორც კალოზე დაყრილი ქერი;
საღამოს მკლავზეც ეყარა ჭორფლი,
საღამო იყო მშვიდი და ქერა.

ცისა და მიწისა

მზის შვილი იყო. მიწად მოვარდნილს
სტკიოდა ფესვი და ტანმძიმე თებერვალები.
სხვენზე ეყარა არაბულას რკინის ნალები.
დუნაის პირას ძოწისფერი ყვაოდა ვარდი.
ელინურ მხრებზე სამეუფო იგი ბისონი
მედიდურობდა (გვაცილებდა შორით ქედანი),
გადავიარეთ როს მდუმარედ ჩვენ მამისონი —
შუადღე დაფრთხა ყორნიანი და დაგვექადნა.
წარმავალობის ნოსტალგია კვლავინდებურობს.
სვეტიცხოველში ვესწრებოდით ჩვენ პარაკლისებს,
სადაც ქალწულებს რიდეები ნისლის ებურათ.
მთვარით გადახნულ ღამეებში მომისაკლისებთ
თქვენ, ვისაც ასე მედიდური გხატავთ პორფირი
და გრიგალებთან გატოქება წვივმარდ ჰუნეთა,
ხრწნადობის ჟინით დადაღული ლაზის პროფილი
მისტერიაა აბოლებულ საუკუნეთა.



დიალექტიკა

ეძღვნება ვიიონს ვიიონისებურად,
ცოტაც — ხაიამისებურად, ცოტაც — თავისებურად

ვისაც რა ჰქონდა ასაღები, ყველამ აიღო,
ზოგმა ხელფასი, ზოგმაც ვალი, ზოგმა კი ხელი
ამ ცხოვრებაზე და მე მესმის ძალიან კარგად
და შეიძლება ითქვას, მესმის საუკეთესოდ,
რომ გინდაც გეკლას, გინდაც გემტროს,
გინდაც გეთესოს
სიკეთეები, საბოლოოდ, იდიოტები
დგანან კუთხეში ბომბებით და ეშაფოტებით
და განაჩენსაც (რა უნდა ქნა!) ისევ ეგენი
გამოგვიტანენ, და თუ გონზე არ მოვეგებით,
შესაძლო არი, ჩამოგვართვან წერის უნარიც —
ნადიდგორალი, ნაიბიცარ-ნალაგუნარი.

აიღე ხელი თავზე, ანუ აიღე ხელი
ამ ცხოვრებაზეც და იმაზეც, რომელიც გელის
სიკვდილის შემდეგ, ესე იგი სიცოცხლის შემდეგ,
სიცოცხლის შემდეგ, ესე იგი რაღაცის შემდეგ,
რასაც სიცოცხლეს ვერც დაარქმევ, მაგრამ დიალე-
ქტიკის უცვლელი კანონები სწორედ ასეთად
წარმოგვიდგენენ და ამასვე ამბობს გაზეთიც
ზეპარტიული, სადაც გვამი რეზოთერული
ლათაიებით ისუფთავებს სახეს გაზეთილს.

ზოგი პოეტი ცად ავიდა, აშპა, ამაღლდა,
ღვთივშეისვენა, რომ იტყვიან, ანუ ჩაძაღლდა.
ამას ევტერპე ჰყავდა მუზად თუ „ცენტრ-პოინტი?!“ —
გამეფიქრება, რომ ჩავივლი ერთის სრა-სახლთან.
ასეა, ზოგჯერ მართლაც კარგა ხმელი ზურგი აქვთ,
მათ, ვისაც თავზე ხშირად გადაიმასუქნიათ.
თუმცა, პოეტებს რას გაუგებ, დროა საკუთარ
თავზე ვიფიქრო და მოვასწრო წერა მანამდე,
სანამ სიკვდილი ბოლო წამებს გამომძალავდეს.

როცა მოვკვდები, იმედი მაქვს, კი მიტირებენ,
თუმც, ამ ეტაპზე მხოლოდ ტირილს იმიტირებენ.
ჩემს სადღეგრძელოს ისე გულით გიახლებიან,
იმდენს იზამენ, ბოლოს მეც კი ამატირებენ.

აქა ვწევარ და სხვანაირად არ ძალმიძს, ღმერთო,
უკვე არც მახსოვს, შენთან როგორ ვიურთიერთო.
რა საჭიროა ეს ამდენი პიეტეტები,
იქნებ დაგვინდო ეს ურწმუნო პოეტეტები
და გვითხრა შენი დაფარული გულისნადები,
ჩვენთან სუყველა საიდუმლო შეგენახება...

ჰა და ჰა, ლექსში უსირცხვილოდ გამოვაჭენოთ,
მაგრამ, მერწმუნე, მაგათ მაინც არვინ კითხულობს.

ტრუისტული საზეპიროები

1. შეუძლებელია ორ ადგილას ერთდროულად არ ვიყო.
2. ჩემი არყოფნა ლიმიტირებულია.
ყოველთვის სადმე ვარ. მაშინაც როცა სადმე არ ვარ.
3. თუ დავუშვებთ რომ სადმე არ ვარ მაშინ
ყველგან ყოფნა მომიწევს
ანუ ღმერთი ვარ
თუ ღმერთი ვარ რატომ შიმშილობს საქართველოში
300 ათასი ბავშვი
(წლევანდელი სტატისტიკით)
ან რატომ ვერ მივდივარ რიოში დასასვენებლად
(ეს სტატისტიკა მუდმივია)
ან რატომ იხოცებიან პეპლები ერთ ღამეში
და რატომ არ იხოცებიან ფარისევლები ერთ ღამეში
გადაწყვეტილია არა ვარ ღმერთი
წერტილი
4. ვინმედ ყოფნა ნიშნავს სადმე ყოფნას
სადმე ყოფნა ნიშნავს ვინმესთან ყოფნას
კარგ შემთხვევაში — შეყვარებულთან
ცუდ შემთხვევაში — პრემიერმინისტრთან ლანჩზე.
4 ა). ჩემი არსებობა სივრცითია
მე ვარ მუდმივად სივრცის რომელიღაც
უხერხულ წერტილში განთავსებული
და ჩემი ფეხები ეწევა ჩემივე ორგანიზმის
მარადიულ დისტრიბუციას სახლიდან სამსახურში
და პირიქითაც.
ჩემი ყოფნა ლიმიტირებულია.
ისევე, როგორც ჩემი არყოფნა.
ამაზე ზემოთაც ვისაუბრეთ.
გვეყოს.
5. ყოფნა ქართულად ნიშნავს, რომ უნდა იყო და იმასაც,
რომ უნდა გეყოს.
არსებობა უნდა ვიმყოფინოთ — ესაა მორალი.
მაგრამ არ მყოფნის.
მე პოეტი ვარ, მაშასადამე ყოფნით
გაუმაძღარი გომბიო ვარ.
5 ა). პოეტი — რას გულისხმობს ეს ცარიელი განაცხადი,
მე ისიც კი არ ვიცი, როგორი უნდა იყოს პოეტი.
პერიოდულად ადამიანად ყოფნას ვთამაშობ
და სულ ესაა.
6. პოეტი უნდა იყოს სექსუალური.
რა არის უფრო სექსუალური, ვიდრე ლექსი?
კაი ნაშა! — მპასუხობს რეზო
რომლიღაც ფილმის გავლენით.
ვერ შეედავები.
7. მეუბნებიან, რომ რადიკალური ავტორი ვარ,
რომ ლექსის კეთილხმოვანებას ვანგრევ.
მე ხელის ელეგანტური მოძრაობით ვუთითებ
თუ, სახელდობრ, სად უნდა შეიტენონ
თავიანთი კეთილხმოვანი ლექსები.
8. როცა ვწერ, ასეთ დროს უფრო მეტი ვხდები
ვიდრე მხოლოდ მოლეკულების ფაფა,
ვიდრე ცილებისა და ცხიმების შემთხვევითი კოქტეილი.
შესაძლოა ეს იყოს პოეზია,
შესაძლოა ეს იყოს პოეზიის
დასაწყისი.
ან დასასრული, არც ამას გამოვრიცხავ.

დასაწყისი №160-161

აკა მორჩილაძე

ნაწერები ვარდის და ბულბულისა

სუმბუქი საგაზეთო სერიალი

მესამე სერია — ჯანიანნი, კანონიერნი და კარგად შენახული ნივთები



1.

იმ ღამით კი უნდა ჩამოფრენილიყო გლოჩესტერის ჰერცოგი, შაითანბაზრის ყველაზე გულუხვი სტუმარი.

ნათან დედალოსი ჯერაც დაულაგებელ კაბინეტში იჯდა და ალუბლის ჩაის სვამდა.

იქვე, სავარძელში ჩასძინებოდა ამაზასპ ჯორიღლეტიას. მისი მკვრივი სხეული თითქოს ყუთივით ჩაედგათ ქვაბლიანურ ბალიშებში.

დედალოსი ვერ უძლებდა ჯორიღლეტიას. უჭირდა მასთან ერთად ყოფნა. ეტყოდა ხოლმე რახილს, ბაზრის მოედნის კაცია, მაგრამ ერთგულიო. ჯორიღლეტია მებაღედ ყოფილიყო რახილის მამასთან, სახელაანთ ბაღებში, ნაცნობობაც იქედან გაებათ. მართლაც ძალიან ერთგული კაცი იყო და გვერდიდან არ სცილდებოდა დედალოსს. ამან კი მაინც ვერ შეიყვარა და იმეგობრა. საერთოდაც ფრთხილი იყო სიყვარულში და გულღიად და თანასწორად ყოფნა არ გამოსდიოდა.

ნათანმა უკვე იცოდა, პავლიწონ მზიურის მოედანზე ატეხილი ჩხუბის ამბავი. ისიც მოეხსენებინათ, რომ იქ ილია აბულასანი მისულიყო და ბუნდოვანი აზრები გამოეთქვა.

დედალოსი ერიდებოდა აბულასანს. დიდად არც ის უყვარდა, მაგრამ მისგან მრავალი სიკეთე ახსოვდა, რომელთა შეტკბობასაც ვერ ახერხებდა. უბრალოდ, ხვდებოდა, რომ აბულასანის გარეშე არ შეიძლებოდა. გვინდა-არგვინდა, უნდა იყოსო, უხსნიდა რახილს, აბულასანი იმას ნიშნავს, რასაც ჩვენ წარმოვადგენთო.

დედალოსს არ მოსწონდა ამ მოუწყობელი კაბინეტის კედელზე მიყუდებული, სირიუს ამირბარის სახელდახელოდ ნაწერი პორტრეტი.

არც თავად ამირბარი მოსწონდა და არც მისი რესპუბლიკა. მას ეზიზღებოდა ქვაბლიანის სასახლიდან მოთრეული მაგიდა, რომელსაც უჯდა და ასევე, სძაგდა გულის გამაწვრილებელი უცხოელები.

მეცხრე საათი სრულდებოდა.

ნაშუაღამევს ჰერცოგის დასახვედრად უნდა წასულიყო.

დედალოსს არასოდეს ენახა გლოჩესტერის ჰერცოგი, თუმცა ბარე თხუთმეტ წელიწადს სწერდა წერილებს და რამდენჯერმე პასუხიც კი მიეღო, გამაგრდიო. გაუმართავი შაითანბაზრული ანბანით შედგენილ ამ მოკლე ბარათებს, რაღა თქმა უნდა, გამომტეხელთაგან წაკითხულსა და შესწავლილს, ასურასტანი გადასცემდა ხოლმე.

ხეირა-ლოთის ერთადერთი ფოტოგრაფია დედალოსისთვის ეჩვენებინა მასთან ახალ ციხეში სტუმრად მისულ პოლკოვნიკ ასურასტანს: ევროპულად მოსილ ახალგაზრდა კაცს ხელოსნური ქუდი ჩამოეფხატა და ხელოსანთა შორის მდგომს რაღაც უხაროდა.

ეს ფოტოგრაფია უკვე ამოეძრო თავისი უძირო სკივრიდან ძებნა-გამოტეხვის მთავარ არქივარიუსს სულო ურბანელს და ნათანს ჰერცოგისთვის მისართმევ მთავარ სახალისო სუვენირად უჩანდა, თუმცაკი თვითონ არ მოსწონდა: მეცნიერ კაცს ხელოსნებში რა უნდოდა, კვლევა შაირსიტყვითობას კი არა, სულიერებას უფრო მოუხდებოდაო.

და მაინც, დედალოსს არ უყვარდა უცნობი ჰერცოგი. გარდაცვალებულთა გამო ლაპარაკი და განსჯა უფრო იოლიაო, იტყოდა ხოლმე.

კი, მათემატიკის თანასწორ იტაცებდა სიყრმიდანვე ძველ საფლავთა კვლევა, გადარეცხილ წარწერათა ამოცოცხლება და წრფელი, დარდით ამღვრეული ფიქრი წარსულს ძალმოსილი იდუმალების თაობაზე.

აბა, ვის არ სმენოდა თქმულება ხომლელ რაინდთა საგანძურის შესახებ. და განა ეს თქმულება იყო მხოლოდ?

ასთერთმეტ ხომლელ რაინდს განებრწყინებინა ვარდ-ბულბულიანი და მერე, ამ მიწის დატოვებისას დაეფლო საუნჯე სადღაც აქ, იდუმალ მთებში, ვითარცა იმედი აქაურობის მომავალი გაბრწყინებისა.

განა ქვაბლიანს არა სტანჯავდა ხომლელ რაინდთა საგანძურის ამბავი? ბევრს ეხსომება, როგორ გაირეკავდნენ ხოლმე პატიმრებს იმ მიუვალ ვარ-ასფაგურის ქვაბებში და იქ ორმოებს ათხრევინებდნენ.

სულ უშედეგოდ, ხომლელ რაინდთა ზეციური სულები ხომ არ გაუღიმებდნენ ამ თახსირებს და ხომ არ უბოძებდნენ დიადი მიწის გასაღებს?

არა, ეგრე არ იქნებოდა. არ გამოვიდოდა.

ჯორიღლეტია სავარძელში შეიშმუშნა.

— გაიღვიძე, ადექი, — შეუძახა დედალოსმა მძინარეს.

მეთაური თვალდახუჭული წამოვარდა, თუმცა მსწრაფლ მოეგო გონს და ცოტათი ნაწყენმა იკითხა:

— რა ამბავია?

— რაღა რა ამბავია? დასახვედრად არ უნდა წავიდეთ?

ჯორიღლეტიამ ერთი დაამთქნარა და ისევ სავარძელში ჩაეშვა.

— მანქანები გვჭირდება. ასე ცხენით როდემდე ვიჭენაო?

— გააკეთებენ მაგ მანქანებს. ოთხია სულ და ბიჭებს გაუფუჭებიათ განგებ, რომ ესენი არ გაქცეულიყვნენ.

— ვიცი, ჩვენ გავაფუჭეთ...

დედალოსი უცებ გაჯავრდა.

— გაფუჭება იოლია. სარდალი ხარ. სალმანასარ არევმანელი თუ დაქროდა რაშით მეათე საუკუნეში, შენც უნდა შეიძლო...

— მანქანა ჩქარია... — წაიბურტყუნა ჯორიღლეტიამ.

— ადე, ადე... — წამოდგა დედალოსი.

— მართლა ლოთი იყო ეგა? ეგ თავადიშვილი თუ ვინც არი?

ანვაროს უთქვამს უცხოელებისთვის.

დედალოსი მოიღრუბლა.

— რას შეუჩნდით ამ პატიოსან კაცს? — იკითხა მწარედ, — გვეხმარება. ვუყვარვართ. შეჭამეთ და ესაა. აღარ გამოიხედავს ჩვენსკენ და მიყურე მერე მე. თქვენ მაინც გაჩუმდით, კაცო...

— ყველა მაგას აგინებს, — თქვა ჯორიღლეტიამ, — ესაო, ისაო...

— ეგ ჩვენი წესია, ღირსეულთა გინება. აი, მეც ხომ მაგინებენ. აბულასანს კი არ აგინებენ, იმიტომ, რომ მოთაფლული ლაპარაკი იცის. სიმართლეს გარშემო შემოუვლის ხოლმე...

— დღეს ბიჭები შემიშინა. სულ ვტიროდითო, მაგან რო ხმა ამოიღოო...

აბულასანი კი შინ იყო. მას სწვეოდა ერთი ნაბუღალტრალი კაცი, რომელსაც პარიზიდან სიმამრის ნეშტის ჩამოსვენება გადაეწყვიტა.სიმართლე ითქვას და სიმამრს სიმამრი არც ეთქმოდა, პირველი ცოლის მამა გახლდათ. მისი სახელი შაითანბაზარში ჩურჩულით თუ წარმოითქმეოდა და ისიც სანდო ხალხში, არველოდი ალავერდი ხომ ქვაბლიანის რეჟიმის განთქმული მტერი იყო.

ერთ დროს, ნაბუღალტრალი ცოლსაც ამ სიმამრის გამო გაჰყროდა და საჯაროდაც დაეგმო მის სისხლთან იძულებითი კავშირი. ახლა კი სახელმწიფო ხარჯს ითხოვდა მის გადმოსასვენებლად, ნამეტანი უსახელოდ წოლილა იქო.

— ძალიან დიდი კაცი იყო, — ურცხვად იმეორებდა ნაბუღალტრალი.

— ხარჯია საქმე, — თავს უქნევდა მოქანცული აბულასანი.

— ჯერ მარტო ნაწერები გამოვა თორმეტი ტომი. ყველა იყიდის, ძალიან ჭკვიანი კაცი იყო. ურედაქტორე და შენ გამოეცი. მე, იცი ალბათ, არ ვუყვარდი... მარა სხვანაირი გული მაქვს. გაეხარდებოდა, ამ ამბავს რომ მოსწრებოდა.

— რა ამბავს? — უაზროდ ჰკითხა აბულასანმა.

— ამას, ასე რომ დაბრუნდებოდა და მუხლზე დაუდგებოდა თავისი ქვეყანა. ჯიბოს უდგამენ ძეგლს და ჯიბო კუნწული ვინ იყო მაგასთან...

დენიელ ფოუ კი ვიწრო დერეფანში მიყრდნობოდა კედელს და ყარა ისმაილის ბნელ თავდაღმართს გადასცქეროდა.

იცოდა, როგორც უნდა წამოეწყო საუბარი ნატუსაღარ მოხუცთან:

— აქ ჟურნალისტად ჩამოვედი, მაგრამ ცოტა სხვანაირი ურთიერთობებიც მაინტერესებს. ჩემი სახელია ფოუ, დენიელ ფოუ.

აბულასანი კი სულ სხვა მხარეს წაეღო ნაღველს. ნაბუღალტრალის სიტყვები აღარც კი ესმოდა:

ზაფხულის პირი იდგა.

კაცი, დაქანცული და მოთენთილი, ყარა ისმაილის აღმართის კიდეზე ჩამომდგარიყო. ზურგზე აბგა გადაეკიდა და წვერმოშვებული თუ არა, გაუპარსავი მაინც ეთქმოდა.

ძებნა-გამოტეხვის სამსახურის მზირი ადრევე შეემჩნია და ეგებ ამიტომაც აეთრია ფეხი. უთუოდ, მუშაკიც გრძნობდა, რომ კაცი მას ელოდა. ჰოდა, არც დაუხანებია, არც გაემტყუნებოდა.

ქუჩა გადმოირბინა და ცხვირზე აააფარა მძებნელ-გამომტეხლის მოწმობა:

— ვინ ხარ? წვერი რათ მოგიშვია? წვერის საბუთი გაქვს?

კაცს არ უპასუხია. ოთხად გაკეცილი ქაღალდი გაუწოდა. მუშაკმა არც კი დახედა, თავადაც იცოდა, რომ ეს ვინმე ერთი საათის წინ გამოეშვათ ალბერვილის სახლიდან.

— იქ რა, არა გპარსავდნენ?

— ქაფი არ იყო, — სადღაც გაიხედა იმან.

— ეხლა ექნებათ, — მზირმა სახელოდან ხელბორკილი გამოაძვრინა და სწრაფად მოარგო გამხდარ მაჯებზე.

ასე დააპატიმრეს ილია აბულასანი მეორედ.

ამალია კი, ალბათ, თავისი ოთახის დაბრეცილ ფანჯარასთან იჯდა და მზესუმზირას აკნატუნებდა. აბა, რა იცოდა, რომ ილუშა ლამის სახლამდე მოსულიყო. მერეღა უხსნიდა ასურასტანი, ქვაბლიანური ბრძანება იყო და ვეღარაფერი გავაწყვეო.

ამალია კი მოიყვანეს. ერთხანს ნოტიო დერეფნებში ატარეს.

ღამე იყო.

ვიღაც ახმახს შემოეგლიჯა მათი ბინის ის სიფრიფანა კარი და ჩაცმაც არ ეცლია, ღამის პერანგზე შალმოსხმული შეეგდო დახურულ ეკიპაჟში. ამ სამ წელიწადში სულ ორჯერ შეეხვედრებინათ და თან ისე, რომ ხეირიანად დალაპარაკებაც ვერ მოესწროთ. ამ პაემნით კი თითქოს თვით ასურასტანი იხდიდა ბოდიშს. რის ბოდიშს, ყველაფერი დაეთვალა, ხელახლა დაჭერილს ამშვიდებდა.

— ილუშა-მილუშა, ილუშა მელექსე, — ტაში შემოჰკრა ქალმა, — მე მეგონა, დამიჭირეს.

აბულასანი გამხდარიყო, ამალიას კი მოსუქება უფრო ეტყობოდა. სახუმარო რა არის? წლები ეპარებოდნენ უკნიდან. მხიარულ ჯაჯგურში ხის საწოლი ჩატყდა და ორივენი ცივ იატაკზე აღმოჩნდნენ. აბულასანმა ხეირიანად რომ ამოისუნთქა, თითქოს ყველაფერი დამთავრებული იყო.

— სულ დაგავიწყდა შენებური რამეები, — ჩაიხითხითა ამალიამ.

პოეტმა აკოცა.

— ლაპარაკიც დაგავიწყდა, — გადაიკისკისა ქალმა და ყურზე უკბინა.

— წვერს არ გპარსავენ? უყურე შენ...

პატიმარი მაგიდაზე მიყრილ თამბაქოს გადაწვდა და გახვევა დაიწყო.

— გიჟივით გამომათრიეს, პაპიროსის მეტი რა მაქვს, — შეწუხდა ამალია.

— ეგ არაფერი, — თითქოს სასამართლოზე იდგაო, ისე უპასუხა აბულასანმა.

— სულ დაგავიწყდა, ამალუშკა-მამალუშკა... ვითომ ის ვიყო, იუსუფას ცოლი. რაებს მიგონებდი? ამალუშკა-მამალუშკა, ფორთოხლის ბაღის პატრონი.

ერთხანს ჩუმად იყვნენ.

— ისე, მაგ წვერებზე სულ დასდევენ, შამაიას ბიჭიც დაიჭირეს, გაუზომეს წვერები. ჯობია, აქ იჯდე.

— მეც დამიჭირეს, დღეს, — უპასუხა აბულასანმა, — სახლში მოვდიოდი.

ამალიამ გაიღიმა და ატირდა. სეტყვით ნაცემი ჩიტივით. აბულასანმა ხელი მოხვია, პაპიროსი უხრჩოლავდა თითებში.

ქალის ცახცახი მასაც გადაედო. იატაკზე ისხდნენ და თრთოდნენ.

— სულ წვიმები იყო, — სლუკუნებდა ქალი, — მთელი გაზაფხული წვიმები იყო. ისე დალბა ყველაფერი, ვერ ვსუნთქავდი. რატომ არ გამოგიშვებენ?

— არ მიშვებენ.

— რატომ? მე არ წავალ, აქ ვიქნები შენთან.

— კარგი, ჰო, — კაცსაც მოადგა ცრემლი. ფრთხილად შეუშვა ხელი ქალს და წამოდგა.

— ის ვირიშვილი მომივარდა, ხოტორა. რამდენჯერ დაულევია ჩვენს ოთახში. მიპირებდა, ილუშა კაცად აღარ ივარგებსო. ჯოხი დავარტყი თავში და ასე მითხრა, რო გამოგკეტავ, მერე ამიპლაკავ ფეხებსო, მარა მაგას არ დაგაჯერებო...

აბულასანს თითქოს არ გაუგონია.

— მართლა შემეშინდა, რო გამომკეტოს, მერე...

— არა, — თქვა პატიმარმა, — არა... გამოაგზავნიდნენ. თავისით არ მოვიდოდა. ისე გითხრა. დაავალეს, რო მერე ჩემთვის მოგეყოლა...

— რაებს მოიგონებენ... ლექსებს აღარ წერ? — ჩაეკითხა უცებ.

პოეტმა ხელი ჩაიქნია.

— ნეტა არ ვწერდე და დავეხვრიტე იმ დღეს, მაგათი ყველას... ახალ მზეს თუ იღებს ვინმე ისმაილზე?

— რას?

— გაზეთია ეგეთი...

— გაზეთს ამირინდო იღებს, მაგრამ მთლად გამოშტერდა. ქვეშ იფსამს, ხე-ხეხე...

— რო მოგენატრები, გამოართვი და რაღაცები წაიკითხე, ჩემი დაწერილი იქნება ნახევარი.

ამალიამ ტაში შემოჰკრა.

— რა მაგარი ხარ, ილუშა-მელექსე.

აბულასანმა თავი ჩაქინდრა.

— ნეტა მოვკვდებოდე...

— ლექსებს გაწერინებენ?

— ყველაფერს.

— ადრე რო არ მეუბნებოდი?

— რა ვიცი.

ამალიამ თითი ამოისვა ცრემლმიმშრალ თვალში და მოწყენით ჰკითხა:

— ახლა რა ვქნათ?

მერე კვლავ გადაიკისკისა. ჩატეხილი ტახტიდან ლეიბი გადმოაცურა იატაკზე და თავისი წვრილი თითებით უბწკინა ზურგშექცევით მდგარ პოეტს:

— მოდი, ლექსები მითხარი...

მერე ამალიას ეძინა, თავქვეშ ამოედო ხელები. აბულასანი კედელთან მიმჯდარიყო და კვლავ ახრჩოლებდა პაპიროსს. ცოტათი შურდა კიდეც ამ ქალისა. ეგონა, ასეთი ადამიანები უფრო თავისუფალნი არიანო.

ცოტაც მოითმინე, ცოტაც წაგვაშველე ხელიო. ლექსებით დაიწყო და მერე კიდევ ერთი წიგნაკის დაწერა შესთავაზა, ქვაბლიანური გადატრიალების შესახებ; მერე კიდევ ერთის, გენერალ-პრეზიდენტის ბავშვობისა და ყრმობის თაობაზე; ბოლოს სახელოვან მოჭიდავეთა ბიოგრაფიების გალექსვა მოსთხოვა. სულ ექვსი საზიზღარი წიგნი ამ სამ წელიწადში, იმ სამომავლოდ ასაგიზგიზებელი ლამპარებისა და დედაენების ლოდინში, შაითანბაზარი რომ უნდა გადაერჩინათ. ეზიზღებოდა ყოველი ბწკარი და ყოველი სიტყვა და რაც მთავარია, თავადაც ვერ ამოეხსნა, რატომ დათანხმდა. სიცოცხლისათვის?

სასაცილო იყო.

ასე სიცოცხლისათვის?

მისი უსახელოდ დასტამბული წიგნაკები ასურასტასნმა აჩვენა. ვერავინ შეიტყობს მათი ავტორის ვინაობასო, ესეც უთხრა.

2.

ქარიან ღამით აბულასანი კვლავ მოაშორეს მოღიღინე ქურდს და ნიაღვრის ქუჩისაკენ გააქანეს.

ასურასტანი ნირწამხდარი დაუხვდა. თვალებგაშტერებული იჯდა ხის სავარძელში და გარშემო სულ პაპიროსის კვამლი ედგა, ვითა ეშმაკს მისი შარავანდი.

როდის-როდის ამოიღო ხმა.

— ჩვენი პირობა დაირღვა, — წაიბურტყუნა ბოლოს.

აბულასანს უნდოდა ეთქვა, რომ პირობის არაფერი იცოდა, მაგრამ ნირწამხდარი მასპინძელი დაინდო.

— გენერალი უარზეა. დაიღუპა შაითაბაზარი.

ტუსაღს უნდოდა ეთქვა, ეგ ადგილი კარგახნის დაღუპულიაო, მაგრამ კვლავ არ გამოუვიდა.

— ისიც კი ვიფიქრე, ციხის კარები ხომ არ დავხსნა და ახალი აჯანყება ხომ არ დავიწყო-მეთქი, მაგრამ ახალ სისხლისღვრას ჩემი სამშობლო ვეღარ გაუძლებს... თქვენ რას იტყვით? ისევ ჩვენ უნდა დავთმოთ...

— ვინ ჩვენ? — როგორც იქნა, ხმა ამოიღო აბულასანმა.

— ჩვენ, ვისაც გვინდა, რომ შაითანბაზარი გადარჩეს. პრეზიდენტი რაღაცაზე გაბრაზდა და გაგონებაც არ უნდა... — ასურასტანი გაჭირვებით წამოდგა და მაგიდიდან მომცრო ზარდახშა აიღო:

— მე რომ ახლა ციანიდი დავლიო, ღალატი იქნება. ისეთ დღეში ვარ, რომ შხამიც კი მოვატანინე.

— ეგ არა ქნათ, თორემ მე დამბრალდება, — აღარ დაინდო აბულასანმა.

ასურასტანმა ხელი ჩაიქნია და ის თავისი პორტსიგარი ამოიღო.

— სასახლიდან დავბრუნდი თუ არა, პირველი თქვენ გამახსენდით. თქვენ კიდევ... — ჩაილაპარაკა საიდუმლო მრჩეველმა.

— მე სულაც არ მედარდება თქვენი ინტრიგები, — ამან ვერ შეაცბუნა აბულასანი, — დამხვრიტონ და მორჩა.

ასურასტანს თითქოს ალმა გადაურბინა ყვითელ სახეზეო. მერე მაგიდის უჯრა გამოსწია.

— თქვენ შაითანბაზარი არ გედარდებათ. ეს ერთი...

მერე უჯრას ქაღალდი ამოგლიჯა და ტუსაღს მიუგდო.

— და მეორეც... მხოლოდ თქვენ რომ იყოთ დასახვრეტი, მართლაც დიდად არ შევწუხდებოდი... ნახეთ, ნახეთ. ეგ ის ხალხია, მე რომ ავარიდე ტყვიას. თქვენ მანდ მხოლოდ ასორმოცდამეთვრამეტე ხართ და თუ ყველას დახვრეტას მოითხოვენ, მსხვერპლი მნიშვნელობისდა მიხედვით უნდა გავიღო, რათა სიბრძნეს სიცოცხლე გავუხანგრძლივო იქამდე, სანამ პრეზიდენტს არ დავითანხმებ. თქვენ კი, თქვენი ნაღვაწის მიხედვით ერთ-ერთი პირველი გამოდგებით. თქვენ რა დათანხმდებით, რომ ფილოსოფიის გრძნეული, ბრმა მოხუცი დიოდორე პეტრიკ-გლოლელი თქვენზე ადრე დაიხვრიტოს?

აბულასანი სიას ჩასცქეროდა ამ დროს, გაოცებული და დაბნეული.

— კანდიდ მარაველი, — წაილუღლუღა ბოლოს, — კანდიდ მარაველი განა არ დაუხვრეტიათ? ან სოლომონ პირითკიდე... თქვენ რა, დამცინით? ადიუნქტერ სერაპიონიც, სისუფთავის პროფესორი...

ასურასტანმა მწარედ ჩაიცინა.

— თქვენ რა, გეგონათ, რომ სულიერების გადარჩენას მხოლოდ თქვენი კალმით ვაპირებდი?

— იტყუებით, — შეეცადა აბულასანი, — ტყეში ყოფნისას გავიგე, რომ სულკურთხეული კანდიდ...

— ტყეში? — დამცინავად ჩაეკითხა ასურასტანი, — იქ არ გითხრეს, ასურასტანს შუბლზე რქა აქვსო?.. გენერალ-პრეზიდენტმა ჩვენს გეგმას თავისი დაუპირისპირა: ჯერ ჩვენს საქმეს მოახმარე ეგ ხალხი და მერე მივხედოთ წარსულის აჩრდილებსო. მაგრამ მე ჩემებურად შევასწორე ეს პროექტი. ჩვენ მხოლოდ თვალის ასახვევად შევადგენთ მის საამებელ წიგნაკებს და ნამდვილ საქმესაც თანდათანობით მივხედავთ. რას იტყვით? როგორია?

პატიმარმა კიდევ ერთხელ იუარა:

— მე პირველადაც არ მომიცია რაიმე



პირობა. ახლა მითუმეტეს...

— თქვენ მაოცებთ. ისევ მიშალეთ პირი.

— დიდი რამე, — ზრდილობას შეაფურთხა აბულასანმა, — ამ სიაში ასოთხმოცი კაცია, ადექით და ისინი მოიხმარეთ. თუ ამ ხალხიდან მხოლოდ მე ვარ ცოცხალი?

ასურასტანმა ჩაიცინა.

— პოეტი ხართ თუ გამომძიებელი?

— მაჩვენეთ რომელიმე მათგანი. კანდიდ მარაველი მაჩვენეთ და დაგიჯერებთ...

საიდუმლო მრჩეველი წამოდგა და პატიმარი მიხვდა, რომ შეხვედრა დასრულდა.

— გაჩვენებთ, — თქვა ასურასტანმა და ახლაღა მოუკიდა პაპიროსს, — მაგრამ თქვენ დამეხმარებით?

პოეტს არ უპასუხია.

გარეთ ისევ ქარი იყო, ცივი და ავი; ღრუბლებს თუ დააქროლებდა ოკრობოკრო ქალაქის ტორტმანა ქუჩებში და ბრაზიანად სტვენდა დახურული ეკიპაჟის ღრიჭოებში, ზედ თავგზააბნეული პოეტის ყურთან.

საკანში დაბრუნებულს ფაღო მღვიძარი დაუხვდა.

— შენა, ჩოვალ, რას გეკითხებიან ამდენს?

აბულასანი მოწყვეტით მიეგდო ლაჭანზე.

— ჩემზე ხო არ გეუნებიან რამეებს?

— შენზე არა... შავ ფაიხოზე მეკითხებიან, თუ იცნობდიო, — გაეცინა აბულასანს.

— ვა, მართლა? — დაიჯერა ქურდმა, — შენ როგორ უნდა იყო ახლო შავ ფაიხოსთან? რომელი მუშკეტიორი შენა ხარ? არ მიგესვლება... ამ ქალაქში მე ვარ და შავი ფაიხო. ყველა კარები ჩვენთვის ღიაა, ესენი კიდე რეებსა მტენიან.

ილუშამ ასურასტანის სახლიდან ხელს გამოყოლილი პაპიროსი ამოაძვრინა და გააბოლა:

— ერთ რამეს მთხოვენ და რა ვქნა?

— გააჩნია, რასა გთხოვენ. ვინმეს ხელი არ დაადო, შვილო. მაიტა, მამაწეინე, — გამოცოცხლდა ქურდი და პაპიროსი აართვა.

— შეგვირიგდი და გაგიშვებთო.

— ბოზის საპოშკები არ ჩაიცვა. იმის ქუსლი ჩვენ ქუჩებზე ვერ მიდის. ოკრი ბოკრი სავალია. შერიგებაში რაო?

— შეგვაქეო.

— გავჩუნდები და გამიშვითქო. ისე, ბოზობასა გავს, — განუმარტა ქურდმა.

— არაო. შეგვაქე და ისეო, ხალხის თვალშიო.

ფაღო აღელდა.

— როგორ ჩანთლახურ რამეებს იგონებენ, თითონაც პირჩანთლახები. აბა, მე კი ვერ გამიბედამენ მაგას. ლურსმნით გამოვთხრი თვალს.

— შენ შავი ფაიხოს ძმობილი ხარ, მე რას შეგედრები...

— სწორეა. ჭკვიანი ბიჭის ლაპარაკია, — მოეწონა ფაღოს.

მერე დუმდნენ.

რა იყო ეს დუმილი იმ ღამით. თითქოს ორივე თავისას ფიქრობდა.

— ისე, — თქვა ფაღომ ხმადაბლა, — მიდი, მიაწექი. ეხლა შენი ხნის ვიყო და წიგნებიანი ჰარიფი, ვინ ოხერი. მიდი, მიაწექი...

— რას? — ამოიოხრა აბულასანმა.

— სახლის კარებს, შვილო, — თქვა ქურდმა და გადაბრუნდა.

ამ დროს მეკლიტულის ნაბიჯის ხმა მოისმა, კარი გააღეს.

ზღურბლზე ნამძინარევი თეოფანე კადრილი იდგა.

— ადე, ადე, წამოეთრიე, — შეუღრინა აბულასანს, — სანამ არ შემჭამ, არ დაისვენებ...

კადრილის კაბინეტში ფანჯარა ამოექოლათ და რკინის ორი სკამი ჩაეხრახნათ იატაკში. სანთლები აღარ ენთო, ნათურა ჩამოეკიდათ. კარის მხარეს, მარჯვენა კუთხეში თმაგაბურძგნული კაცი ჩაცუცქულიყო. თავი ჩაექინდრა. გეგონებოდათ, იატაკის ღრიჭოში მოსეირნე ჭიანჭველას აკვირდებაო.

აბულასანმა მოკრძალებით გაიხმაურა, გაუგებარი ხმა გამოუშვა ნესტოებიდან.

კაცმა ამოხედა, დიდი, გაოგნებული ფრინველის თვალები მიაბჯინა და თითქოს წყენით წაიბურტყუნა:

— შენა, ბიჭო?

ის იყო შაითანბაზრის უსახელოვანესი პოეტი კანდიდ მარაველი, ევროპაში და აზიაში ნავალი, იქაურ სიბრძნეს ნაზიარები და წყნარი, როგორც გამზირს მოშორებული ქუჩის სადარბაზო. სახელი და დიდება ამ თვალებიან ქონდრისკაცისა უკიდეგანო იყო. ის გაბმით, თითქმის ბუტბუტით კითხულობდა ლექსებს და ოვაციებს გულში არ უშვებდა.

წაიდუდუნებდა ხოლმე:

თეევროერუასსადგუ რი,
ა გურების მწკრივიიიიიით,
ლიან დაგიიიიიიიის'წარსული ზედ
დამკვდარიიიიიიიიი სხიიიიიიივით,
დილაااااااااااااااااა
ლურჯიუფერო, განშორების
ბანნننننننننქოოოო-ო,
აჰ, სად მიდის მიჯნური,
უთვისტომოს საااااااااااااარგოჰ?

ახლა ეს კაცი იჯდა და მგონი, მართლა ჭიანჭველას ეძებდა.

— რამდენი ჭუჭყია დაგროვილი ამ ღრიჭოებში, — თქვა თავისებურად, გაბმულად.

— როგორ ხართ, ძია კანდიდ? — შებედა ნირწამხდარმა აბულასანმა.

— ვარ რა... დამჭკნარი ვაშლივით, განჯინაში. ფანქარი მითავდება, სულ გაილია...

— საშინელი დრო დადგა... — არაფრის თქმას ისევ ესა სჯობდა.

— დრო, დროო, დროოო, — გააგრძელა მარაველმა, — ღარიბი რომ ხარ, უნდა ეცადო, რომ დროს მოერგო. ადრე არ მიფიქრია ამაზე. ღარიბს კი ორივე სჭირდება, ადგილი და დრო. ორივეში უნდა ჩაეტიოს. მდიდარს რა უჭირს. არც დრო სჭირდება, არც ადგილი. აი, ერთი წყვილი ფეხსაცმელი რომ გაქვს, გიჭირს. ძველიცაა, მაგრამ მაინც უნდა მოითმინო, სანამ ახალს არ იშოვი. საჩუქარს კბილი არ გაესინჯება...

— ფეხსაცმელი გაჩუქათ ვინმემ?

უფროსმა პოეტმა ხელი ჩაიქნია და უმცროს პოეტს ამოხედა.

— შენ რას გაჭმევენ?

— რა ვიცი, რასაც თქვენ. სალაფავს.

— მეეე, მეეე... სოფელში თხები იყო ჩემს ბავშვობაში, ხევისწყლის პირად. თითქო სიზმარია... და ვეუბნებოდი, თქვენთან, ჰე, თხებო, წვერცანცარით მეც ძმად მიგულეთ, ვითარცა პანი, ოჩოპინტრე, ტყესთან შეთქმული.

— ძია კანდიდ, — ვეღარ მოითმინა აბულასანმა, — რა ვქნათ?

— გავიქცეთ? — მოულოდნელად შესცინა დიდმა პოეტმა და გამაძღარ ბელურასავით წამოსწია თავი. თითქოს რაღაც გაახსენდაო.

— ამასწინ ერთი წიგნი წავიკითხე. გიშეროსან-ლალოსანი ბარძიმი რომ აქა ყოფილა შენახული. აღმოიღებდე მას, მიმართავდე პირით აღსავლისკეც, განბრწყინდებოდეს ხმოვანება მამულისა შენისაო. ხომლელ რაინდთა საგანძური, რომელიც აქაა დაფლული, სხვა არაფერია, თუ არა ბარძიმი ესე გიშეროსან-ლალოსანი. ასე გამოვიკვლიე ამ წიგნით. დაღაცათუ ჭაბუკნი იგინი ხომლელნი აოტდნენ ბუნთურქთაო. რომ არ გაეტენებინათ, ესე იგი. ოდესღაც მაშხალოსანთა გვარი ყოფილა ამ ბარძიმის მცველი. უეჭველია, მათ გადაუციათ ხომლელთათვის. ეს უეჭველია. მაშხალოსნებს ბარე ათს ვიცნობთ და იმათ ბარძიმისა არაფერი გაეგებოდათ.

ილუშა გაოცებული შესცქეროდა, თავი და ბოლო ვერ გაეგო მისი ლაპარაკისა.

— ახლა ერთი კეთილი კაცი სანერკალამს და ქაღალდს დამპირდა. თუ აასრულა და ეს ნააზრი თრაქტატად უნდა გადავაქციო. აი, მაშინ გადარჩა შაითანბაზარი. ჯუნე თვისი გაუადვილებსო, ასე გავუადვილებ ბარძიმის ამბავს...

აბულასანს რაღაც ჩასწყდა. ალბათ ჩასაწყვეტი.

— მე ამათ ყველას მოვატყუებ, — ოთახს მოავლო თვალი უფროსმა პოეტმა, — ახლა წერილს მივწერ ქვაბლიანსა ანვაროსა, რომ გიშეროსან-ლალოსანი ბარძიმის ადგილსამყოფელი დავადგინე... მან რომ იპოვნოს და იფიქროს, ესაო და ისაო, ბარძიმი მაინც გააბედნიერებს ამ ქვეყანას და მას კი დამეხავს... ხედავ, რა მოვიფიქრე? ყველაფერს ერთად მოევლება.

— რა წიგნი იყო, ძია კანდიდ?

— ერთმა დახედულმა კაცმა მომცა, სახლში ვიყავი იმასთან. მითხრა, წიგნი უნდა დაწერო ძველ მწერლებზეო და თუ ამას აასრულებ, ხომლელთა ამბავიც გამოიკვლიეო... ჰოდა, გამოვიკვლიე. სულ დახაზულია გზები. იქ კიდევ არის რაღაც, მაგრამ ვერ გეტყვი, არ მიწყინო. საწერკალამი უნდა მოიტანოს და არ სჩანს. ფანქარი კი თავდება, — უცებ მოიწყინა მარაველმა.

უმცროს პოეტს ტირილი მოუნდა. უფროს პოეტს კი მისთვის აღარც შემოუხედავს.

საკანში დაბრუნებულს იქ ფაღო აღარ დახვედრია. აბულასანმა დაინახა საწოლებს შორის ჩადგმული მაგიდა. ზედ დახვავებული წიგნები, ბევრი ქაღალდი და საწერი მოწყობილობა.

ორ კვირაში პატიმარი თომა აქვინელი ახალ, ერთადგილიან საკანში გადაიყვანეს, სადაც მის ავლადიდებას ნათურა და ახალი შარდის კასრიც შეემატა...

გაგრძელება მე-10 გვერდზე

იუნონა გურული

* * *

ახლა ორნი ვართ.
მარტოობა შუაზე გავყოთ, გავხლიჩოთ ფესვში,
გავამრავლოთ, გავაძლიეროთ,
როგორც შვილმკვდარი დედის ლოცვები.
დავიყვლიფოთ მუხლისთავები
იატაკზე ჩამოფერფლილ სიტყვის ძებნაში.
ენებით ვლოკოთ, ნერწყვგამშრალით,
თვალის გუგები.
ძილის წინ პირში დავიგუბოთ თოთო ტყუილი
და სისხამ დილით
გადავყლაპოთ, როგორც სიზმარი.
ფიქრების წვენში ვხარშოთ მთელი დღე,
რომ ვახშმისთვის ახალ კერძად ამოვარწყიოთ:
მორიგი „ერთად“, „à la ბედი“,
ან სიყვარული,
გამხმარ ჩირივით სამმაგ ძაფზე ფრთხილად ასხმული.

რამდენი

რამდენი ცხოვრება დავიწყე და აღარ დავამთავრე.
რამდენ ქალაქში. რამდენ ვინმესთან.
რამდენი შვილი არ გავაჩინე
და დახეული, ტალახიანი ბათინკებით გადავსერე
საავადმყოფოს პრიალა და თეთრი იატაკი.
რამდენი ღამე დავრჩი ქუჩაში, ვიღაცის სახლში და ჩემი
ბინის უკარებო 17 ოთახში.
ფრჩხილით, მაკრატლით,
ბლაგვი დანით და სამართებლით.
ნემსის წვერით და ყავისფერით. ხან ისევ თეთრით.
და გამხდარ მხრებზე სისხლის ჭორფლებით
რამდენჯერ მოვკვდი.
ახლა ფეხაკრეფით დავდივარ მიწაზე და იმავ მხრებზე
„აჩიკუდათი“ მოკიდებული
ძლივსგაჩენილი შვილი მომყავს.
ხშირ-ხშირად ვიღებ ფოსოებიდან დამტვერილ თვალებს,
დავწმენდ ლევისის დაძენძილ ჯინსზე,
რომ დავიწყება არ ვისწავლო:
რამდენ ქალაქში, ქვეყანაში, რამდენ ვინმესთან
არ დავამთავრე ჩემი ცხოვრება
და უკეთესად დავინახო,
რამდენ საფლავს ცხედრის გარეშე აწერია ჩემი სახელი.

* * *

ვიცი,
დღეიდან მომაკედლებ შენს შიშველ ფიქრებს,
ისეთ გულწრფელებს,
თითქოს ჯერ ევას არ ეჭამოს ადამის ვაშლი.
დაშლა-არმოშლის იმედებით მოვქსოვთ ერთმანეთს.
ღამით გუშინდელ ემოციებს შევუნთებთ ბუხარს
და შეციებულ მუხლისთავებს მოვახვევთ ლექსებს,
როგორც ჭრელ სითბოს.
ავარიდებთ ერთმანეთს თვალებს,
დავითვლით კედელს მიჭედებულ ლურსმანთა ტკივილს.
მოვყვებით ამბებს,
ისეთ მართალს, როგორც ზღაპარი,
ბებიის მიერ ჩანაყული ყურში მარცვლებად.
როდესმე ალბათ
ნივთებს ახლიდან დავარქმევთ სახელს,
შევუცვლით ფორმას.
როდესმე ალბათ
სხვა სიმშვიდით და მრისხანებით
დავანგრევთ კედლებს,
მოვიზრდით ფრთებს და
გავფრინდებით ჟივილ-ხივილით...
მაგრამ დღეს ვიცი,
ჯერ ბუხარი უნდა დავანთოთ.
დასაწვავია წინა ზამთრის
შეშის მარაგი.

სხვები

მე ვითვლი შენს სხვებთან შეხებას,
ნაწყვეტ სუნთქვებს,
ლექსის ნაგლეჯებს.
ვითვლი ნაბიჯებს,
ვზომავ მანძილს,
ვისერავ ხელებს.
და გტოვებ ჩემში ხვალ დილამდე
ძველ სიზმარივით.
ნაბახუსევზე ავიტკივებ მძიმე თავივით
სხვისთვის სურვილით გაყოლებულ საჩემო მზერებს.
და ისევ ვზომავ სხვის სიღრმეში ჩატოვებულ
თითებს, ასოებს.
ვიხსენებ ჩემში შემონთხეულ ნაცრისფერ ფერებს,
რომ უფრო მეტად არ ავიჭრა გუშინ ღამიდან
ოთახის სითბოს შეტოვებულ ჭიქა რძესავით.
გავდივარ გარეთ და ბენზინის ჭრელ გუბეებში
ვეძებ შენს რითმებს სხვებზე აწყობილს.
სხვა ბავშვში აწნავ შენ გენეტიკას და ჩვენი შვილი
ისევ ვიღაცას, შენმზერიანს ეძახის მამას.
სახლი, რომელშიც სხვასთან ვცხოვრობ
როგორც სტუმარი,
არ ტოვებს სხვისი ფანჯრებიდან შემოსულ ხმაურს.
და დილის საშიშ სიჩუმეში,
და დილის რიტმულ ტანის რხევაში
ისევ წამღერებით ვითვლი
შენს სხვებს.
ჩემს სხვებს.
მე ვითვლი: ჩვენ.

* * *

შენ გინდა ჩემთან, -თვის, -სკენ, -ში.
ხუჭავ. ივიწყებ. ალპობ. არღვევ.
ისევ ივიწყებ.
არ მიწერ ლექსებს.
არ მწერ სიტყვებს.
არ ამბობ მთავარს.
კეცავ ჯიბეში, გულ-, სისხლ-, ძილში
ჩემს ნაფლეთებს
ნაწყვეტ-ნაწყვეტ
მეტასტაზებად.
მე გაზიანებ, გრყვნი, გეძახი, გტოვებ
ჩემში, -თან, -ზე,
(სხვის)
-კენ.

* * *

გულგრილად მაწნავ დღეს სახეში,
თმაში — სიბერეს,
ტყუილს — სიტყვებში.
თუ მწიფე ატმის გადანახლეჩი
საშო გიმღერებს
დახშულ სივრცეში,
სიმღერებს შორის გადავაწყოთ
ძველი წყენები
გამხდარ წიგნებთან.
დავიმახსოვროთ: სიჩუმე გვაწყობს:
სველი ენებით ღმერთის მიგნება.
დავყაროთ თესლი და მანანა
ცხელ უდაბნოში
და მშიერ პირში
დავთესოთ ლექსის ანა-ბანა
ძველი კალოშით
საწოლის ძირში.
ამოვა სოკო. ხე. ტბა. ბუჩქი
მზე და სიმშვიდე.
ვინღა იტირებს.
ვინღა მოვა წრის დასარტყმელად.
ჰოდა ამიტომ
დავლიოთ ღამე — მწარე აბი. მერე ფასკუნჯით
პირველ სხივებში ვიჯირითოთ ღია სარკმელთან.

ყუთები

ეზოში სათამაშოდ ჩაშვებულ ბავშვობას
კორპუსის ნაცრისფერ ფანჯრებში გაჩრილები
მკაცრი თვალებით დავყურებთ ზემოდან.
ვიგონებთ საქმეებს.
ყურებს ვიგლისავთ ვარდისფერ პლასტელინებით,
პლასტმასის ყუთში ვიწყობთ დღის ულუფას:
მჭლე ღიმილს, თანთალა ბოღმას,
ბოლოს ხახვივით ალყა-ალყა
ზემოდან ვაყრით ენის სიმწარეს.
ვსხდებით ბორბლებიან რკინის ყუთში,
ერთმანეთში ვზელთ ოფლის, შიშის და დაღლის სუნებს,
მძღოლის ასტრას და ქალაქურ ჰანგებს
ინდაურის ყუტყუტით ვყლაპავთ.
ანაბეჭდს ვტოვებთ თოკებიანი ყუთის ნითელ ძუძუზე,
რომ უფრო მალე დავიკავოთ
მოზრდილ ყუთში ჩვენი ადგილი
და საღამომდე საქმიანი სახით დავკავდეთ
ყუთების გამოღებით, ამოლაგებით,
ჩალაგებით, გადალაგებით,
დახურვით, ჩართვით, გახსნით, შენახვით,
ისევ გამორთვით.
მერე თოკებით, ძუძუებით, უფლით, ოფლით, ბორბლებით
მივაღწიოთ ნაცნობ ყუთამდე.
და ლოგინის ცივ ფეხებს შორის გახვეულებს
გაგვახსენდეს ეზოში სათამაშოდ ჩაშვებული ბავშვობა
და რა თქმა უნდა დავიკიდოთ.
დავიკიდოთ.
და ერთადერთი რისიც გვეშინოდეს —
ბოლო, თოკებიან ხის ყუთში მოხვედრა იყოს
გულზე მლოცველივით სასოებით
დალაგებული ხელებით.
ამინ!

* * *

დამავიწყდა სად გქონდა იარა სახეზე,
რომელიც მიყვარდა.
ჯერ კიდევ მახსოვს შენი სუნი,
ჯერ ვერ ველევი პარკში გამოკრულ ნაცვამ მაისურს.
სამაგიეროდ დამავიწყდა რატომ მიყვარდი.
მახსოვს როგორ-
-ც ხელზე დარჩენილი თეთრი ხაზები.
მახსოვს შენი ირისის ყავისფერი, რბილი შრეები.
დამავიწყდა ჩემი თავი შენამდე.
გზა შენამდე.
დრო შენამდე.
მახსოვს სიკვდილი.
მკაცრი. ბასრი. გამჭვირვალე.
როგორც აკანკალებულ ხელში
ჩაბღუჯული შუშის ნატეხი.
დამავიწყდა ნათქვამი სიტყვების
სიმწარე. სიბრმე. სიშიშვლე.
მახსოვს საკუთარი თავის
პირველიც, მეორეც, მესამეც.
მახსოვს შენი ზურგის ფართო სიმშვიდე,
როგორც მამა გულზე დაკრეფილი თეთრი ხელებით.

ბესო ხვედელიძე

სხვისი კბილები

ლექსო ქლიავია. არა, ისე მე უფრო ქლიავი ვარ. აბა, რა მინდოდა გაბელიასთან... რას მივყვებოდი. სიმთვრალის ბრალია ყველაფერი. შუქი უნთიაო — დამანახა. მართლა ენთო გაბელიასთან მეშვიდეზე შუქი. რამე ექნება და დავამატოთო. არადა, ღამის სამი საათი იყო. მაინც ავედით. გაბელიაც ქლიავია. არ ვიცი, რა ვარიანტი ჰქონდა: ან გათხლეშილს ეძინა და შუქი დარჩა, ან ვინმე ისეთი ყავდა და დაგვიკიდა. კაი ხანს ვრეკეთ და ვაკაკუნეთ. თითო ბოთლი არაყი კი გვქონდა ჩადგმული. იმიტომ ვიყავით ასე თამამები და მოურიდებლები, თორემ აწი ღამის სამ საათზე გაბელიასთან ამსვლელის, ჩემდა თავად... მერე მობილურზე ვურეკეთ — გათიშული ჰქონდა. მაინც ყველაფერი კარგად დამთავრდებოდა, რომ არა ქლიავი გაბელიას ქლიავისფერი კორპუსის ულიფტობა. შვიდსართულიანს რომ ლიფტი არ ექნება, კორპუსია ის? გაბელიამ რომ არ გაგვიღო, დავეშვით უკან. მარტო ზოგიერთ ბაქანზე ინთებოდა შუქი. ნელა ჩავდიოდით. მე თან გვარებს ვკითხულობდი ბინების კარებზე. სადღაც მეოთხე სართული იქნებოდა, ერთ-ერთ კარზე ფანცხავა რომ წავიკითხე და უცებ ისეთი „აფნცხჰი“ ვქენი, რომ ჩემი ყოვლად მოფამფალებული კბილის პროთეზი პირიდან გადმომიფრინდა და კიბის მოაჯირებს შორის გაუჩინარდა.

ლექსომ ვერაფერი დაინახა.

მე კიდევ ვდგავარ უკვე მართლა ქლიავივით და პირზე ხელი მაქვს აფარებული.

— გავკარი გაბელიას, ჩემი დედის ძვლებს გეფიცები... პორნოებს უყურებს ალბათ და გაუტყდა ამდგარს გაღება... — უსვამს გაბელიას დიაგნოზს ლექსო, — წავეით ჩემკენ. ზაირას ბუტკას გავაღებინებ...

— კვილევი! — ვთქვი მე უკბილო პირით და ლექსოს მივუტრიალდი.

ის ჩემი უკბილო ღრძილების დანახვაზე კინაღამ აყირავდა.

— რა უყავი? — მიმოიხედა ირგვლივ.

— კივეევს სოლის ცავადდა... — ვთქვი მე თლიფინით და ორ მოაჯირს შორის ჩავიხედე.

* * *

კბილები ბავშვობიდან არ მაქვს. უფრო სწორად, არც არასდროს მქონია. ეგეთი გავჩნდი. ისე, რა სისულელეს ვამბობ. კბილებიანი, აბა, ვინ იბადება... უბრალოდ, კბილების ამოსვლის დრო რომ დადგა, ისინი ჯიუტად არ ამოვიდნენ. თავიდან ჩემები ერთმანეთს ოპტიმისტურად ანუგეშებდნენ — ბიჭებს გვიან ამოსდითო... მაგრამ გვიან რომელია: ამ ლოდინში მე ბაღშიც შემიყვანეს, ოცამდე დათვლაც ვისწავლე და ადამიანების თავდაყირა ხატვაც, კბილები კი მაინც არ ჩანდნენ. რა უნდა ექნათ ჩემებს? პრინციპში, რაც შეეძლოთ, ქნეს: ჯერ გაუძლეს, მერე დაიძაბნენ, და ბოლოს, ოთხი წლის ასაკშიც რომ არ დამადგა საშველი (მოფამფალებული ხურმის სვლეპა მიწევდა ლამის ყოველდღე), ხელი დამავლეს და თეთრ პოლიკლინიკაში გამაქანეს.

— კუბოში ჩაგდებ მე შენ! ცოცხლად! — მახსოვს, როგორ უკიოდა მანქანაში დედაჩემი მამაჩემს, — გეყოლებოდა წინაპრებში ვინმე ჭირიანი... მაგიტომაც ვართ ამ დღეში!

— შემეშვი ერთი!.. ვინ წინაპრები... რა ჭირი...

— ძალიან კარგად იცი, ვინც... ცოლად რო მოგყავდი, უპირველეს ყოვლისა ეგ ამბავი უნდა გაგხსენებოდა და თავი შეგეკავებინა!

— რისგან, ქალო? რეებს ბოდიალობ?

— ჩემგან! რისგან! ასეთი შვილის ღირსი ვიყავი მე?! შენს გამო არ აქვს ბავშვს არცერთი კბილი ბებიაშენივით. თქვენ დაგმარხეთ ერთად!.. შენ და ბებიაშენს გგულისხმობთ!

ადგილობრივმა ექიმებმა ვერაფერი გამიგეს.

— კალცის ასეთი ნაკლებობა? ეგეთი არაფერი შემხვედრია პრაქტიკაში... — თეთრ წვერზე ისვამდა ხელს ბაბუაწვერასავით სტომატოლოგი, — ჩურჩხელას როგორ ჭამს, კი მაგრამ?

— ხორცის გასატარებელ მაშინკაში ვუტარებთ! — უპასუხა დედაჩემმა ცივად.

„ანომალია“ ეკერა ყველას პირზე.

— ანომალია ბებიათქვენია! — თქვა ბოლოს მამაჩემმა და ამჯერად სპეციალურ კლინიკაში წამიყვანა.

იქ ამ დარგის გურუებმაც ყურადღებით შეისწავლეს ჩემი უკბილო ღრძილები, ისეთი მხრიდანაც კი გამაშუქეს, ახლაც ვერ ვხვდები, კბილებთან რა კავშირი ჰქონდა, და მაინც, მხრების ჩეჩვის მეტი ვერაფერი დადეს.

საბოლოოდ, მამაჩემმა ნაცნობ კბილის ტექნიკოსებს ჩემს ღრძილებში პატარა ჭანჭიკები ჩაამონტაჟებინა, რაზეც კბილის მთლიანი პროთეზი მაგრდებოდა, და ამით ჩემს მარად-ღიმილიან მომავალს სამუდამო საფუძველი დაუდო. ერთი კი იყო, პროთეზი ზრდასრული ადამიანის კბილებით იყო გაწყობილი.

— ბავშვის ორგანიზმი ზრდადია, ავთანდილოვიჩ! — თქვა მთავარმა ტექნიკოსმა, — პროტეზი მედიუმია სტანდარტული. დაეწევა ერთი მეორეს! ანუ კბილი კბილად რჩება. მუდმივია! ბავშვი კიდე დაგვიკაცდება, როცა იქნება...

— ჩემი კიჭუნია-ბიჭუნა! — ამ სიტყვებით დამხვდა დედაჩემი სახლში დაბრუნებისას.

— გინდა კაკალი დაგიტეხო, დე? — ვიკითხე მე და ახალჩასმული კბილები ერთმანეთზე სამჯერ დავაწკაპუნე.

* * *

სულ მისხალ-მისხალ გადავქექეთ ყველა საფეხური და ბაქანი მე და ლექსომ. პროთეზი არსად ჩანდა. პირველამდე ჩავედით. უფრო ქვემოთ საერთო სარდაფი იყო. იქ კი ჩადიოდა კიბე, მაგრამ მერე გალიასავით რკინის კარი დაგვხვდა, ზედ დიდი ბოქლომით. ზემოთ არაფერი ჩანდა, ანუ წესით, აქ უნდა ჩავარდნილიყო, მაგრამ ამ კარს ასე შიშველი ხელებით ვერაფერს ვუზამდით.

— ღამის ოთხია, შე ჩემა... — თქვა ლექსომ, — წავედით, ჩემი დედის ძვლებს გეფიცები!

— ალა... — ვთქვი მე, — ასე ალსად ალ ცამოვალ...

— აბა იჯექი აქ! — თქვა ლექსომ, — დილამდე მაინც არაფერი იქნება...

— მოვა ლოცა იქნევა გაველია... პადვლის გასაღევი ექნევა...

— გაბელიას გამზრდელიც... რო არ მოვიდეს?

— სქვას ექნევა...

— ვის მივადგეთ? ან რო მივადგეთ, რა ვუთხრათ?

— ცემი კვილევი...

— რა კბილები, ჩემი დედის ძვლებს გეფიცები...

არადა, ზუსტად ვიცოდი — რო ავყოლოდი და წავყოლოდი, კიდევ ჩავისხამდით ლექსოსთან. ჩემი კბილები კიდევ, სავარაუდოდ, საერთოდ არ გაგვახსენდებოდა, ისე მივიძინებდით საღამომდე. მერე ისევ ჩავიდგამდით რამეს და აქამდე მოღწევის შანსის შანსი აღარ იქნებოდა უახლოეს დღეებში. თან, ყველაფერთან ერთად, ლექსო ბოლოში ცხოვრობდა — ზღვასთან. ამიტომაც გავაფიჩინე ფეხები.

ლექსო საფეხურზე ჩამოჯდა და სიგარეტს მოუკიდა.

— მოვა გაველია, — ჩამოვჯექი მეც.

— ტელეფონი როგორ აქვს გამორთული მაგ სირთაოზს, ჩემი დედის ძვლებს გეფიცები... იქნებ მაინც სახლშია ეგ ჩემისა... აბა, სინათლე რა პონჩი ანთია?

* * *

პირველად პროთეზი პირველი კოცნაობისას მომძვრა და ჩემ პირველ შეყვარებულს კინაღამ გადაეყლაპა. იხრჩობოდა. ძლივს ამოვაცალე შიშველი ხელებით სადღაც გლანდებთან გაჩხერილი ჩემი კბილები. იმან არაფერი იცოდა ჩემი უკბილობის შესახებ და ამ ინციდენტის შემდეგ დამცილდა, აღარ მელაპარაკებოდა, ახლოს არ მიკარებდა და საერთოდაც შემიძულა. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ყველასთან გააბაზრა სკოლაში, და იმის მერე არა მარტო თანაკლასელი, არამედ ყველა სკოლელი გოგოც აშკარად მერიდებოდა.

სკოლაში ბოლო აკორდი სკოლის ბოლო ზარზე ავიღე.

ავტობუსით ვიყავით ექსკურსიაზე კახეთში. საღამოსკენ, ქეიფისას, მწვადს ვკბეჩდი გემრიელად, ჩემმა კბილის პროთეზმა შინაგანი ბზარი რომ მისცა და ამჯერად პირიდან იმ მავთულის წვერი გამომვარდა, რითაც პროთეზი იყო ჭანჭიკებზე დამაგრებული. ყველა მე შემომაცქერდა. მე ყლესავით გავიღიმე და მავთულის პირიდან ნელ-ნელა გამოძრობა დავიწყე — აბა, უკან ხომ არ გადავყლაპავდი. ჰოდა, სანამ მე მავთულის დიდ გორას ვაყენებდი სუფრაზე, ყველანი უხმაუროდ გაიკრიფნენ და შემომეცალნენ.

მერე ეს პროთეზი უკვე ჩემით ჩავამაგრებინე ოჯახის ნაცნობ დანტისტს და ასე, სამ თვეში ერთხელ შევუვლიდი ხოლმე პროფილაქტიკის მიზნით. ის უფასოდ შემამოწმებდა, ისევ დამიჭერდა კარგად და მეც უკვე არაფერი მიჭირდა რაღაც ხანი.

მერე ის დანტისტი ემიგრაციაში წავიდა და პროთეზის გამაგრების უფასო წერტიც დაიკეტა. სხვებმა იმხელა თანხა მომთხოვეს, მაგ თანხით ექვსი თვე გავიტანდი თავს, თან არც მქონდა ამდენი ხელზე ერთად. ამიტომ, ჯერ ერთხელ დავიკიდე პროთეზი. მერე მეორედ. კი ვგრძნობდი, როგორ ირყეოდა ნელ-ნელა, მაგრამ არც ფული ჩანდა და არც ისეთი კბილის ოსტატი, უფასოდ რომ გამიწევდა დახმარებას. ამის შემდეგ, თვეში ერთხელ მაინც რაღაც შარში მხვევდნენ ჩემი კბილები, უფრო სწორად, ეს ტოტალური უკბილობა და ჩემი პროთეზი.

* * *

ავბრუნდით გაბელიასთან და თავიდან ვრეკეთ-ვაკაკუნეთ, მაგრამ ისევ არაფერი ხეირი.

— რა ვუყოთ? — შემომხედა ლექსომ.

მე მხრები ავიჩეჩე.

— ღამის ოთხზე ვის მივუკაკუნოთ? ვინ ვართ? რა ვუთხრათ? პატრულს გამოუძახებენ, ჩემი დედის ძვლებს გეფიცები... — კიბეზე ჩასვლისას უკმაყოფილოდ ბურტყუნებდა ლექსო, როდესაც ერთ-ერთი ბინის ოდნავ შეღებული კარი დავინახე. გავჩერდი და ლექსოც გავაჩერე.

— თუ რამე, მე ვბაზრობ... შენ ხმა არ ამოიღო! — გამაფრთხილა ლექსომ მცირე ყოყმანის შემდეგ და კარზე ფრთხილად მიაკაკუნა.

შესასვლელში სინათლე ენთო და არავინ ჩანდა.

— უკაცლავათ! — დავიძახე მე და მაშინვე მკაცრი მუჯლუგუნი მივიღე ლექსოსგან ფერდში. ლექსო პირველი შევიდა ბინაში ფეხაკრეფით. მეც ჩრდილივით მივყევი.

ლექსომ მარჯვნივ გაუხვია და უცებ ორივენი ცარიელ სასტუმრო ოთახში აღმოვჩნდით. ოთახის ცენტრში კუბო იდგა და შიგნით კორპუსისფერი მიცვალებული ქალბატონი ესვენა.

გავხევდით და სანამ რამეს მოვიფიქრებდით, ჩვენს ხმაურზე ფიცხლად გამოლაგდნენ ლოჯიდან ჭირისუფლები ქოთქოთით.

თავსაფრიანი ქალები მწყობრად დამწკრივდნენ კედელთან მდგარ სკამებზე და ერთდროულად აიცრემლეს თვალი. მათ ორი მამაკაციც გამოჰყვათ შავ კოსტუმებში და ზემგლოვიარე სახეებით: ერთი ჩვენხელა და ერთიც — უფროსი. აშკარად ეტყობოდათ, რომ მამა-შვილი იყვნენ. სავარაუდოდ, მამაკაცებიდან უფროსს მიცვალებული ცოლად ერგებოდა, უმცროსს კიდევ დედად. ეგრეც იყო. ალბათ უფრო მექანიკურად, ჩვენ რიტუალური წრე დავარტყით კუბოს და გასასვლელში მდგომ მამაკაცებს რიგრიგობით ჩამოვართვით ხელი.

— გვიან ჩამოვიდა ავტობუსი? — ჩურჩულით ჩაგვეკითხა უმცროსი.

— რა დაგემართათ? არ მითხრათ, პაკრიშკამ დაგვიშვა გზაშიო... თქვენ რომელი ხავთასები ხართ? იაშას ბიჭები?

— იცით, ჩვენ... — დაიწყო ახსნა ლექსომ და წამით გაჩერდა, რაც საკმარისი აღმოჩნდა, რომ მეც ჩავრთულიყავი ჩემი ჩლიფინით.

— ალა. აქ სემ ზმაკასსან ვიკავით. ალ იკო საქსი. კვილევი მომძვლა მე და პადვალსი ცავადა...

მამა-შვილი ჩემი ამ ტირადის გაგონებაზე შესამჩნევად დაიძაბა, თუმცა შეეტყოთ, რომ კარგად ვერაფერი გაიგეს. ლექსომ შვილს ხელკავი გაუყარა და განზე გავიდნენ. მე მამის წინ მარტოდმარტო აღმოვჩნდი თუ არა, ჩემი სიმართლის დასამტკიცებლად ზედა ტუჩი ავიწიე და ჯერ უკბილებო ღრძილები დავანახე, მერე კი ალკოჰოლის მასიური ოხშივარიც მივასუნთქე უფროს ჭირისუფალს. ამასობაში გვერდიდან ხმები მომესმა, მივიხედე და ეგრევე გამაცივა:

ლექსოს და მიცვალებულის ვაჟს ერთმანეთზე შუბლები ედოთ და ძარღვები დაბერვოდათ კისრებზე.

— ვის ეკაიფებით, ბიჯო, თქვენ? — აძაგრული იყო ჭირისუფალი.

— კვილევი მომძვლა, სემი ზმა... აგელ ნაქე... — ახლა მის დასანახავად ავიწიე ზედ ტუჩი, — გასაღევი გვიდა!

დასასრული მე-15 გვერდზე

ნაწერები ვარდის და ბულბულისა

სუმბუქი საგაზეთო სერიალი

აკა მორჩილაძე

გაგრძელება

ამალიას კი კვლავ ეძინა, ტუჩებს ამოძრავებდა ძლივსშესამჩნევად. ძილში ლაპარაკი მისი კიდევ ერთი გემრიელი ხელობა იყო.

აბულასანი იატაკზე იჯდა და ფიქრობდა:

როგორ გავიქცე?

3.

პავლიწონ მზიურის მოედანზე კი გარიჟრაჟზევე შეკრებილიყო მოხალისე ურო-სმცემელთა გუნდი. წინა ღამითვე გახმიანებულიყო მოწოდება, ვისაც კი ურო მოგეძევებათ, არ დაიზაროთ, ადრიან საათს გამოდით და ყველამ ერთად დავამხოთ ხორასანა გედამბარელის ძეგლი, ამ ვითარებაში სრულიად შემარცხვენელი კეთილშობილი ადგილისაო.

ურომსცემლები იდგნენ, ხელსაწყოები კვარცხლბეკთან მიეწყოთ და ქანდაკებას ასცქეროდნენ. უმრავლეს ამათგანს არ ენახა გედამბარელის ფალავნობანი, მისი კოკობი ულვაში და ფართე მხარ-მკლავი. უყურებდნენ ხორასანას და ფიქრობდნენ, ემანდ რამე ფარსაგი არ გამოიღოს ამოტოლა კაცის დანგრევამ, რა ვიცით, ხალხნი ვართო.

და მერე მოვიდა გვარდიელთა პოლკოვნიკი ამირგული ამინი. მან, ბებერი მჭედლის ვაჟმა, საუკეთესო ურო მოიტანა და შეკრებილთ შეუძახა:

— თითონ ხორასანას არ მოწონდა ეს ძეგლი, მაგის სახელს დავედე სუფრად... აბა, დავცხოთ, ბიჭებო!

კვარცხლბეკის შერყევას შუადღემდე ხელებდაკაპიწებული მუშაობა დასჭირდა. მოედანი მოსეირეებით აივსო. გახვითქული ურომსცემლები თანდათან იხდიდნენ სამოსს და ბოლოს ამირგული ამინმა თოკი მოითხოვა.

პოლკოვნიკმა ქამანდი გამონასკვა და ყულფი ერთი დამიზნებით მოსდო გედამბარელის ჟანგიან კისერს.

— მივიდაა! — დასძახა ამინმა და ორასმა კაცმა ერთად მოქაჩა.

— მივიდაააა! — გედამბარელი ოდნავ შეინძრა და მერე მძიმედ, საშინელი ხრიალით დაასკდა მოჭადრაკულ ქვაფენილს.

ავარდნილ მტვერსა და ბუღში ხალხმა იხუვლა და მოსეირეთა ლაშქარი სამად გატეხილ გედამბარელს შეესია. აუწერელ ღრიანცელსა და ზედახორაში შვიდსამთავროს დროშა ამოტივტივდა და ვიღაცამ შესძახა:

— დემოკრატიულ კომიტეტს გაუმარჯოს! ნათან დედალოსს გაუმარჯოს! ილია აბულასანს გაუმარჯოს! სიცოცხლე ვარდ ბულბულიანსა, ტურფასა სამაგაროსა!!!

ბრბოში აღმოჩნდა მივიწყებული ტენორი ჩირო რამდიდარი, რომელმაც ვეღარაფრით დააკავა გულიდან ამომდინარი მელოდია ამირბარული ჰიმნისა:

ერის გულდიდოოო,
სულის ვარაყოოო,
გულანთებულიიი
მიწის ნააათელოოო...

მაგრამ ყოველივე დადუმდა წამსვე, როცა გაისმა გადარეული შეძახილი:

— ოქროა!

ნამტვრევებში მდგომ ჩია კაცს ხელში საბურნუთესტოლა კოლოფი ეჭირა.

კოლოფი ბრწყინავდა.

მზის სხივი დასთამაშებდა მის ლამაზ ზედაპირს.

პატარა კაცს ულვაშებში ეტყობოდა, რომ გაქცევა სურდა, მაგრამ ვერსად გარბოდა: ყოველი მხრიდან ურომსცემლები და მოსეირეები შემოჯაროდნენ და ერთი თამამის მოლოდინში განაბულიყვნენ, რათა გაეწიწკნათ იგი, ვითარცა ლეგჩოხა ბიჭი ტოტია.

— გამიშვით! — დაიკივლა ბოლოს ჩიამ და გედამბარელის თითის ნამტვრევს დასწვდა.

— დასცხე მაგ უნამუსოს! — დასძახა ვიღაცამ და ბიჭები გედამბარელის ნამსხვრევებს დასწვდნენ.

— გამიშვით! — ხმა გაებზარა პატარა კაცს.

ერთმა უროს მოავლო ხელი და დინჯად წავიდა მისკენ.

ამ დროს გაისმა მოკლე, ხმამაღალი სტვენა.

— დადეეექ... თქვე ვაი კაცებო, თქვენა, — სწორედ ამირგული ამინის ხმა იყო.

გაოფლილი, ერთ-ერთ ეზოში შევარდნილიყო ონკანის ქვეშ შესადგომად და ახლა, იქედან გამობრუნებულს ზურგზე დანოტივებული გიმნასტურა გადაეცვა,

— აბა, მანახე ერთი, აქა...

ჯუჯამ კოლოფი გაუწოდა და იქვე ჩაჯდა.

ამინმა ოქრო შეათვალიერა და უფრო მოგუდულად დაუსტვინა.

— ოქროა... და მთავრობას ჩაბარდება. იმ ოხრებს თუ ჩაუტენიათ აქა, მაგათი ოხერი დედა...

ამინმა ხალხი მოათვალიერა და მერე ნირწამხდარ მპოვნელს სწვდა ქეჩოში:

— შენ ხო მიცნობ, ა?

კაცმა თავი დაუქნია და აქამდე გარინდულმა ბრბომაც წამოიფრუტუნა.

— ხო იცი, რა საქმეებიც მაქ ნაკეთები?

გარშემო თავები დააკანტურეს.

— ხოდა, კაცურ სიტყვას ვამბობ, ეხლა ეს ჩავაბაროთ მცოდნე ხალხს, რო ქვეყანას გამოადგეს... ხო უნდა გავაკეთოთ ქვეყანა. ხოდა, მთავრობაში წავიღოთ. გინდა, ამოირჩიეთ ხალხი და წამოვიდენ ისინიც... ეხლა, ყველა ხო არ წამოხვალთ და იქა და მუქთიანის ქორწილივით. შენც წამოდი, ბიჭო, მპოვნელს ხო წილი ერგება...

კანტიკუნტი ტაში და შეძახილები გაისმა:

— გაუმარჯოს ნათან დედალოსს! გაუმარჯოს გვარდიას!..

— იალა! — დასძახა პოლკოვნიკმა და ხალხი გუნდ-გუნდად დაიძრა დემოკრატიული კომიტეტის შენობისაკენ.

ამ დროს გამოჩნდა მოედანზე ჯეიმს დენიელ ფოუ, რომელმაც საათს დახედა და ხალხს აედევნა. ხიდს გადაღმა ერთიორი კინოკამერიანი კაცი გამოჩნდა და ფოუმ წამსვე იცნო ისინი, ფრანგები იყვნენ.

ოო, — გაიფიქრა ფოუმ, — ეგღა მაკლია, მთელმა ევროპამ დამინახოს ხვალ დილით.

ყოფილ ჭიდაობის ეროვნულ სახლთან ამირგული ამინმა ორი გვარდიელი იახლა და ფართოდ გამოღებულ ალაყაფში შეაბიჯა.

მოლოდინი არ გაწელილა. ამინი მალევე გამოვიდა უკან, მორიდებით გამოჰყვა სარდალ ჯორიღლეტიასა და ტარსაიჭს, რომელიც მიწასაც აჩნდა ბრგე გვარდიელთა შორის.

— ვინ იპოვა ნივთი? — იკითხა ტარსაიჭმა.

ამინმა მკერდზე მიაბჯინა საშინელი თითი ჩიას.

— ამან.

— სამშობლო შენს სახელს სანთლებად აინთებს, — თქვა ტარსაიჭმა და ხალხს მიუბრუნდა, — ძმებო! აი, რას ნიშნავს ბოროტი ხელისუფლება და აი, რას ნიშნავს თავისუფლება. ჩვენმა მეგობარმა ფასდაუდებელი განძი დაუბრუნა სამშობლოს. ქვაბლიანელებმა ბინძურ ქანდაკებას ჩაატანეს ჩვენი სიამაყე, ათაბაგ ვეზირის ზარდახშა, რომელიც ქალაქ ხლათიდან ჩამოიტანეს ჩვენმა ხომლელმა რაინდებმა. დალაშქრეს ხლათი და მათი სიამაყე აქციეს ჩვენს სიამაყედ. ეს ზარდახშა, პირწმინდა ოქროსი, დაიკარგა. და ახლა ამ კაცმა... შენი სახელი მაჩუქე, წმინდავ...

— ბასიან-ბასიაკი.

ფოუს ამ ენისა არაფერი გაეგებოდა, ხალხი კი დაბნეული ჩანდა.

— ჩვენი მთავრობა დააჯილდოებს ყველას, ვინც კი ამგვარ ვაჟკაცობას გამოიჩენს... ვითათბირეთ და გადავწყვიტეთ, რომ რახან ჯერ ახალი ფული არ შემოსულა, ბასიან-ბასიაკი დავნიშნოთ აგურხანის გამგედ...

ბრბომ იგრიალა.

— ასეთი ადამიანი მართლაც მშვენიერ აგურებს გამოსწვავს, აგური კი შენების ნიშანია... გეცოდინებათ, რომ შაითანბაზარში დამარხულია უდიდესი განძი, ხომლელ რაინდთა საჭურჭლე. ათაბაგ ვეზირის ზარდახშა სწორედ ამ განძეულის ნაწილია. მაშ, დამდგარა ამ განძეულის ძიების დროც! ჩვენი ქვეყანა დაიბრუნებს დაკარგულს! ბატონი ნათანი კი მოკითხვას გითვლით, ეს მან მოიგონა ბასიან-ბასიაკის აგურხანის გამგედ დანიშვნა...

— გაუმარჯოს დედალოსს! — მოისმა ხალხიდან.

— ნათანდედალოსს გაუმარ-ჯოსსს! — შეჰყვირა ერთმა გვარდიელმა.

ნათან დედალოსი კი სულაც არ იყო სამთავრობო შენობაში.

მას თავზე დასთენებოდა გლოჩესტერის ჰერცოგთან საუბარში და ახლა, ამ საუბრით გონდამძიმებული ჩაფიქრებულიყო საკუთარი სახლის სამზარეულოში, სადაც ერთადერთხელ შეძლო შერბენა რევოლუციის შემდეგ.

სასახლეში ენამწარობდნენ, გამოსაძინებლად წავიდაო, მაგრამ დედალოსს არ ეძინა. ის კითხულობდა ერთ უცნაურ ხელნაწერს, ჰერცოგმა რომ აჩუქა ნაშუაღამევს.

მოცახცახე ხელით ნაწერი, გახუნებულ რვეულში ჩატეული თხზულება უცნობ ავტორს ხომლელთა საგანძურის რაობისათვის მიეძღვნა. ის ასაბუთებდა, რომ რაინდთა განძი განთქმული გიშეროსან-ლალოსანი ბარძიმია და სხვა არაფერი, ხოლო არსი ბარძიმისა სრულიად იგივეა, რაიც ხომლელ რაინდთა საგანძურისა, რასაც ადასტურებს ორი ლეგენდის შეჯერება, მაშხალოსანთა გვარის ისტორია და რაინდთა სადიდებელი ჰიმნები.

ამ უცნობ ღვთისნიერს ზუსტად გამოეთვალა ხომლელთა საგანძურის ადგილსამყოფელიც. წერდა კიდეც, უძველესი ფოლიანტის დამოწმებით, მაშრიყ-მაღრიბის გზათა კვეთაზე, სადაც ადრე ამართულიყო ქაროსანის კოშკი, ქართა მაჩვენებელი, საპოვნელია ერთი იწრო ბილიკი, გათელილი სამნავიანი ბაზილიკისკენო.

ბაზილიკიდან აღმოსავლეთით, ჯერ კიდევ დევებს დაუდევთ ლოდი, რაიც უტყუარი ნიშანია იმისა, რომ სწორ გზას ადგახარ. ამ ლოდზე შემდგარი დაინახავ ნაშთებს ერთი ძველი კოშკისას, რომელიც აუგია ჭაბუკ ქაოს ქოსოსძეს ჯვაროსან თევერო დე მარილიონის სახელობაზე. ამ ნანგრევის სამხრეთ კიდიდან კი გამოჩნდება ერთი უსახელოდ წამომართული მთა, რომლის ჩრდილოეთ კბოდეზე თავი ამოუყვია მარტოხელა წიფლის ხესო.

აი, ამ წიფლიდან უნდა აითვალო შვიდასი წყრთა დასავლით, სამასი და ორასი ჩრდილო მხრით, ას ათი ისევ დასავლით და ოც-და-ერთი მზისკენ.

მღელვარებისა იყო, აბა, რა.

ნათან დედალოსი არ გახლდათ იმ თვალის კაცი, რომ ამ ხელნაწერისა ბრმად ერწმუნა, მაგრამ თვით ამბავი საუკუნეებსა სწვდებოდა.

ეს იღბალი ხომ სამარადჟამო იყო. გიშეროსან-ლალოსანი ბარძიმი ხომ საერთოდ.

რა შერჩენოდა შაითანბაზარს საამაყოდ? გამქრალი ბარძიმი ესე და თქმულება ამა ქვეყნის მეფუძარ ხომლელ რაინდებზე. ამ ამბავთა ერთობა კი სულ სხვაგვარ ძალას შესძენდა ქვეყანას. განა გაიგებდა ვინმე ამ ხელნაწერის ნამდვილ ძალას?

მისახვედრია, ეს არ იყო მაინცდამაინც ჭეშმარიტება, მაგრამ ეს იყო იმედი დაფარულის აღმოჩენისა. შაითანბაზარში საუკუნოდ დანთქმული ძალის ამოფეთქვისა, ყელის მოღერებისა. რატომაც არა, რატომაც არა...

არის რაღაც, რასაც უნდა უსწორო თვალი და გული. სულიც, რა თქმა უნდა...

დედალოსმა ფურცელი ამოიღო და ჩაიწერა:

ჰერცოგს გავესაუბროთ ამ ხელნაწერის წარმომავლობის თაობაზე.

4.

ჰერცოგი გლოჩესტერი უკვე ბებერი იყო.

გარეგნულად მაინც.

უაღრესად სადა, მაგრამ უძვირფასესი შუა სეზონის კოსტუმი მოერგო თოვლისფერ პერანგზე და ხმელ ხელებზე ლაქები ემჩნეოდა. ვერცხლისბუნიკიან ხელჯოხს უფრო მოსაჩვენებლად ებჯინებოდა და ლამის ცისფრად მანათობელი თმა შეთხელებოდა. ხშირ წარბებს ქვეშ სიმშვიდის ლიბრგადაკრული თვალები მოუჩანდა და დაჯერებით ვერავინ იტყოდა, სიმშვიდე მეტი იყო ამ თვალებში თუ სიცივე.

ეს თვალები ლანგარზე დარჩენილ ჩირის ნაკუწებს ჰგავდა, მონოკლი კი, რომელსაც ჰერცოგი ხშირად შეიბჯენდა ხოლმე, მრისხანებას მატებდა მის გამოხედვას.

ჰერცოგი გლოჩესტერი, მემამულე და ფქვილის ქარხნების პატრონი, მაინც არ იყო მხოლოდ მემამულე და მხოლოდ ფქვილის ქარხნების პატრონი.

რიგ მწუხრისშუქიან ოთახებში, სადაც ჭერში მანანავებლად ტრიალებს ხოლმე მაგრილობელი, მას სხვაგვარად იცნობდნენ.

ჰერცოგ გლოჩესტერის სამფლობელოები გადაჭიმულიყო ტასმანიიდან ტრისტან დ'აკუნიამდე და ცეცხლოვან მიწიდან წმინდა მიწამდე.

ჰერცოგ გლოჩესტერის გამო ამბობდნენ, რომ დედამიწის ზურგზე ძნელად მოიძებნება მასზე იდუმალი კომერსანტი. ჭორაობდნენ, რომ მან შექმნა გამდიდრების ზღაპრული ხერხი, რომლის არსიც ვერავის ამოუცვნია. ამ ხერხის ერთი საიდუმლო თითქოს ამოხსნა კიდეც ერთმა ფრანგმა ჟურნალისტმა, რომელიც ჰერცოგის ერთი ფინანსური ოპერაციის კვალს გაჰყვა კომორის კუნძულებიდან ინდოჩინეთამდე და მერე დღისით-მზისით განუტევა სული ჰონგ-კონგში, წვიმის სეზონის დროს, ზედ ჯარდინ ბაზაარის ქუჩაზე.

სუნთქვაშეკრულმა ერთადერთი სიტყვა ამოიხავლა:

— ნაგავი...

საერთაშორისო მაძებართა ჰონგ-კონგის ბიურომ ხელთ იგდო გარდაცვლილი ფრანგის წიგნაკები და გამოძიებაც კი წამოიწყო, რომელიც საგაზეთო ხმაურის მიუხედავად სასამართლომდე ვერ მივიდა. მაძებრებმა გლოჩესტერის კონცერნ Heira-ს დაადგეს თვალი.

აღმოჩნდა, რომ ფრანგის სიკვდილისწინა ხავილი სავარაუდო მკვლელის მიმართ ნასროლი სალანძღავი სიტყვა კი არ იყო, არამედ სავსებით გასაგები მინიშნება. მისი დღიური ღაღადებდა, რომ ჰერცოგი გლოჩესტერი სხვა ათას რამესთან ერთად, ნაგვის კონტრაბანდისტიც იყო. ფრანგი ეჭვობდა, რომ მისი გემები და ტანკერები მსოფლიოს ერთი ბოლოდან მეორეში დააწოწიალებდნენ მრავალტონიან, მავნე სანაგვეებს, რომლებიც ათასგვარი ქიმიური საშინელებით აევსოთ. თანაც, გლოჩესტერი ემსახურებოდა არა

რაღაც სულელურ, ნახევრადყაჩაღურ დაწესებულებებს, არამედ საკმაოდ ძლიერ, ლამის საიდუმლო ინსტიტუტებსა და ერთობებს, თვით სახელმწიფოთა საიდუმლო ძალებსაც კი.

დღიურის გარდა მაძებრებმა ვერა ფერს მიაკვლიეს. ის კი შეძლეს, რომ Heira-ს ფლოტილიის შემოწმება მოეხდინათ, მაგრამ იქ ბანანისა და ფქვილის მეტი არაფერი იყო და კვალიც კი მხოლოდ ბანანისა და ფქვილისა აღმოჩნდა.

ამ ამბიდან ორი წლის თავზე სრულიად შემთხვევით აღმოჩნდა ნაგავსაყრელი: პაწაწინა კუნძული ტამასა მბენსე.

ეს კუნძული გამოდგა ოვამბოს ხალხის თაფლობის თვის რიტუალური ადგილი, რომელსაც ახლადშეუღლებულები ნავით ეწვეოდნენ ხოლმე და როდესაც მატერიკზე ნეფე-პატარძლის წყვილი არ დაბრუნდა, თეთრი ადმინისტრაციის ადგილობრივი მოხელეები ჯარისკაცთა ოცეულთან ერთად გადასხდნენ კუნძულზე. მათ აღმოაჩინეს ნეფე-პატარძლის გვამები და ორმოცი ლითონის ყუთი, ამათგან სამი თავახდილი. ყუთებში ვაშლის მოყვანილობის რბილი საგნები ეწყო. ერთი კვირის თავზე თეთრებს კბილები დასცვივდათ, რადგან თავადაც გვარიანად იბოდიალეს კუნძულზე, იმ გულუბრყვილო ახალდაქორწინებულებმა კი, ალბათ გემოც კი გაუსინჯეს ამ საშიშ ხილეულს და აკი დაიხოცნენ კიდეც. მალევე დადგინდა, რომ ეს საგნები ბაქტერიოლოგიური ცდების საშიში ნარჩენები იყო.

მერე კიდევ იყო ტანკერ ადელაიდას ისტორია, რომლის მოთხრობაც ამბავს გაწელავდა და სხვა არაფერი.

ამბობდნენ, რომ ჰერცოგი გლოჩესტერი გახლდათ ერთი განთქმული და გულდახურული კლუბის წევრი. მეგაზეთენი წერდნენ ამ კლუბის ბუნდოვანი და რთული აგებულების შესახებ და აცხადებდნენ, რომ მისი ადგილსამყოფელი არავინ იცის. თავად კლუბის სავარაუდო სახელწოდებაც კი ჭორზე დამყარებული და პირობითი იყო. ჟურნალისტების გამოთვლით, კლუბის წევრებად იყვნენ აუცილებლად მსოფლიო დიდგვაროვნები, რომელთა შემოსავალიც ათი-თორმეტი ნულით გაიზომება. მათი ეჭვით კლუბი გაბმულიყო ბნელ, ფარულ პოლიტიკურ თამაშებში და დიდად ზემოქმედებდა სამყაროს ღატაკ კუთხეებზე: განაგებდა კოლონიური ადმინისტრაციის სვე-ბედს, ანანასის ფასებს და ქვანახშირის საბადოების მომავალს. წერდნენ იმასაც, რომ კოლონიათა რღვევის ხანაში კლუბი ეხმარებოდა ფრიად უცნაურ, თავზეხელაღებულ პარტიებსა და რევოლუციონერებს.

ჰოდა, ჰერცოგი გლოჩესტერი ჩამოვიდა.

იმ მშვენიერ, გრძნობებით დაცვარულ ღამეს, ძველი აეროდრომის ცუდად განათებულ ბილიკზე მდგომი, მსუბუქი სუსხით ოდნავ შეწუხებული ნათან დედალოსი ათას რამეს ფიქრობდა ბებერი უცხოელის შესახებ.

ცა იყო მოჭედილი და წყნარი, ისეთი, როგორსაც აღწერდნენ ძველ შაითანბაზრის ელეგიებში. მართალი იყო, მართლაც დაჰფენოდა იქაურობას სავსე მთვარის მკრთალი ნათელი.

დედალოსი კი იდგა, ვითარცა ლათინურის გამოცდაზე მღელვარე გიმნაზიელი, რომელსაც ყველაფერი გამოფრენია თავიდან სამი დაუვიწყარი სიტყვის გარდა: ინ ვინა ვერიტასო.

მაშ, შეითანბაზრული ღამე... არაფერია მასზე მიმზიდველი და მათრობელა, მოლივლივე და შრიალა, მყუდრო და შემტყუებელი. არაფერია მასზე უკეთესი მთელს ამ ქალაქში. ოჰ, მთვარევ, მთვარევ. ოჰ, ღამევ, ღამევ.

ვერავინ დაიჯერებს, რომ სადღაც სხვაგან, თუნდაც კალაჰარიში, ამგვარი მშვიდად კეთილი ბურთი ჩასვენებულა ღრუბელთა შორის, ან კიდევ ასეთი ვერცხლისფერი ვარაყი იკვეთება ხეებსა და სახურავებზე. სულ უბრალო, დღისით შეუმჩნეველ, კრამიტდაცურებულ სახურავებზე. მართლაც სხვაა შაითანბაზრის ღამე. ამდენნაირი შავი ფერი არსად არსებობს და სანტიმენტიც ამდენნაირი ძნელი საპოვნია. ღამის ნიავი აქ ქალწულის სუნთქვას ჰგავს და თუ გაისმის ჭრიალი მეორე სართულზე ამავალი კიბისა, ყველა მიხვდება: ახლოა შეყვარებულთა პაემანი. ძველისძველ ღიღინსაც ჰგავს აქაური ღამე; ამირბარულ ქვაფენილზე ფეხარეული ოფიცრის ჩექმის ქუსლების უთანაბრო წკარუნი აქაურ ღამით გაისმის, ვითარცა მუსიკა. ახლა მდინარე? დღისით წიდისფერი, მდორე, უსახური, ღამით კი ისიც მომღერალი, ათასი მკრთალი ათინათის საბანწაფარებული.

აჰ, მართლაც ტკბილია შაითანბაზრის ღამე, ოღონდ ეგაა, მისით ტკბობის შნო არ შერჩენია ვინმეს, რადგან ჩამოდნა და მოიწურა თვით შაითანბაზრის გული, რომელიც შეიფრთხიალებდა ამ ღამეული ამბის შეგრძნობით. აი, ამიტომაც, უცხოელებს არ ესმით შაითანბაზრის. ის შავთვალა ბავშვების, აზარფეშების და მოხდენილი ღიმილის ქვეყანა ჰგონიათ. აქაური ღამეებისაც არ გაეგებათ რამე, რადგან მზის ჩასვლისას უკვე მთვრალები არიან.

თვითმფრინავს უზარმაზარი ასოებით ეწერა: გლოჩესტერ.

კაცი ყოჩაღად ჩამოვიდა კიბეზე და ნათან დედალოსიც უხერხული ნაბიჯით გაეშურა სტუმრისაკენ.

— ველქამ, ვი არ ჰეფი... თუ მით იუ ინ... ჰერცოგმა ჩაიღიმა.

— რად გინდა? — თქვა უმძიმესი აქცენტით, — ეს ჩემი სამშობლოა.

დედალოსმა ტარსაიჭს გადახედა, აქაოდა უშენოდაც ვილაპარაკებთო და ხმელი და ოფლიანი ხელის მტევნები შეხვდნენ ერთმანეთს.

— რა კარგი ღამე არის დღეს, — თქვა გლოჩესტერმა, — თან ისევ აქა ვარ.

— დიახ, მართლაც, — ჩაიდუდუნა დედალოსმა.

თვითმფრინავის სატვირთო კართან დიდი ფუსფუსი იყო.

ჰერცოგის თანმხლები ასე ოცი მოსხლეტილი ჯეილი დიდ ყუთებს შეჭიდებოდა.

ნათან დედალოსს ეგონა, რომ გლოჩესტერს მუხუდოს და ბრინჯის კონსერვები ჩამოეტანა ძღვნად და წრფელად უხერხულობდა, რამოტოლა ხარჯი გაუღია ამ კაცსო.

იმ ყუთებში საერთოდ არ იყო საჭმელსასმელი, არამედ მხოლოდ ტელევიზორები, რადიოკავშირის ხელსაწყოები და უზარმაზარი ტელეანძისთვის საჭირო რამე-რუმეები. იქავე წამოწყებულმა საუბარმა გამოაჩინა, რომ ჰერცოგს განეზრახა ქალაქის უდიდეს მოედანზე უშველებელი ტელევიზორის დადგმა.

— ტელეამბავი აქ მთავარია, ტელეამბავი აქ საჭიროა, ჩვენ ერთად მოვაკეთებთ, აჰალგასდები ისწავლის და თავისი ტელევიჟენ ექნება, — უთხრა ჰერცოგმა დედალოსს, — მანამდე დიდი ანტენ უნდა, რომ ტალგა მოვიდეს შორიდან.

ნათანმა მალევე შეიტყო, რომ ამ ორი კვირის განმავლობაში შაითანბაზარში ჩამოფრინდებოდა დღეღამეში ორი სატვირთო თვითმფრინავი და ჰერცოგის ფონდის ოფიციალურ დახმარებას ჩამოიტანდა ქვეყანაში.

— ეს იქნება საკვებათ და ტანისამოსათ. ტელევიჟენ კი ჩემი პირადი საჩუქარი და თქვენ პირადად საჩუქარი ეს ლიმუზინ... — ჰერცოგმა სატვირთო ნაწილის დაღებული პირისაკენ გაიშვირა გამხმარი თითი.

ასეთი მანქანა, ალბათ, განსვენებულ ასიკო ასურასტანსაც არ ენახა.

დიდი და გლუვი, მთვარის შუქზე მბზინავი, მინებდაბინდული და ჩუმი.

ყველაზე დიდი რამ საჩუქარი, დედალოსს რომ რგებოდა ცხოვრებაში ერთი ძველისძველი მეწამული შარფი იყო, ილია აბულასანმა რომ შეუგზავნა ციხეში მჯდომს.

გაოგნებულმა იუარა კიდეც. მადლიერებით მიუგო ჰერცოგს, უმჯობესია, ეს მანქანა მთელს ჩვენს საქმეს მოვახმაროთო, მაგრამ ბებერმა ხელი აიქნია, ეს პირადი საჩუქარიაო.

— აბა, რა? არაფერი, — თქვა გლოჩესტერმა, — აქ მობილ-კოლეჯი უნდა იქნას. უამრავი რამეები. ცჰოვრება. მოვისაუბრებთ... აქ ისევ არის მდინარეზე ბინდიანი? კარგი რამე...

— ეეე... რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა...

საუბარმა დილამდე გასტანა. საოცარი რამეები ითქვა, ლამის ათას ერთი ღამისა.

რახილ ოთახის კარს აკვროდა ყურით.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

დებიუტი

ხათუნა თურმანიძე

ტუზია

სკოლის ბუფეტი

დილით ბავშვი ბაღში დავტოვე და ვიდრე ავტობუსის გაჩერებაზე მივიდოდი, რატომღაც ჩემი სოფლის სკოლა გამახსენდა. სულ ორი წელი ვისწავლე იქ და მაინც მთელი ცხოვრება მომყვება მაშინდელი მოგონებები. და რაც მთავარია, არც მასწავლებლები მახსენდება, არც თანაკლასელები... რატომღაც ბუფეტი მახსოვს: გახუნებულ ცისფრად შეღებილი, ნაზის ბორშჩი და გოგოშას პავიდლოიანი პური, თხუთმეტ კაპიკად რომ იყიდებოდა. მაგრამ, იცით, რამხელა ფული იყო ის თხუთმეტი კაპიკი? ყველას კი არ ქონდა, მით უფრო სოფელში!

სიტყვა გამიგრძელდა, ბუფეტი მახსენდება-მეთქი, მახსენდება და დღემდე მეზიზღება ის სუნი და პავიდლოიანი პურის დანახვა. არც მებუფეტეები მეხატება გულზე. წლებია, იმ სკოლაში არ შემიხედავს, და ალბათ, ახლაც გამაკანკალებს იმ საყრდენი სვეტის დანახვაზე, ბუფეტის შუაგულში რომ იყო ამოზრდილი სამარცხვინო ბოძივით. ვერ ვიტან ასეთ სვეტებს...

ის ბოძი და ლელა განუყოფელი ნაწილია ჩემს მეხსიერებაში, თითქოს შეზრდილი იყო ერთმანეთთან ხორცი და რკინა. მეგონა, სპეციალურად ამ გოგოსთვის დაამონტაჟეს მშენებლებმა, რათა მთელი ცხოვრება გავეწვალებინე უსიამოვნო მოგონებებს.

შემოვიდოდა ბუფეტში და ამ სვეტთან აიტუზებოდაზურგით ბოძისკენ და სახით მაგიდებისკენ, სადაც ლოყადაწითლებული სოფლის ბავშვები სწრაფად იტენიდენ პირში გოგოშასთან ნაყიდ წინა დღის ფუნთუშებს ან მის ცნობილ პავიდლოიან პურს.

აიტუზებოდა და პატარა ლეკვივით შესაციცინებდა ყველა შემომსვლელს, ხოლო ფოფინა თვალებში გაალმასებული შიმშილი და უსაზღვრო თხოვნა ედგა — მომიტეხე, რა!

შიშს დიდი თვალები აქვსო. მარტო შიშს არა — შიმშილს უფრო დიდი თვალები ჰქონია თურმე, დიდი და ცრემლით, უზომო ნაღველით სავსე!

არ უყვარდათ ბავშვებს, ტუზიას ეძახდნენ პირშიც და ზურგს უკანაც. არც მე მიყვარდა. მაშინ ვერ გეტყოდით რატომ, მაგრამ ახლა ვხვდები, რომ მაწუხებდა და მაფორიაქებდა მისი თხოვნით სავსე თვალები. არ მიყვარდა, რადგან უხერხულ გრძნობას მიჩენდა მისი გამჭოლი მზერა, თითქოს ლუკმებს მითვლიდა და ლამის ყბებიც ჩემთან ერთად აემოძრავებინა. არადა, ვერსად დაემალებოდი, ყოველ შესვენებაზე იმ სვეტთან იყო ატუზული და უცდიდა ვინმე მადლიანს. არ მახსოვს, ვუყოფდი თუ არა ჩემს არცთუ ისე სახარბიელო საუზმეს: გამხმარ ფუნთუშას ან პავიდლოიან პურს. თავს ვერ მოგაწონებთ, კეთილი ვიყავი-მეთქი. ამით სინდისი მაინც არ დამიმშვიდდება. მეც ხომ იმ ჩვეულებრივ სოფლის ბავშვთა რიცხვში ვეწერე, ხელისკანკალით რომ აძლევდნენ მშობლები ხურდას. ან მშობლები სად მყავდა?!

თან, ალბათ, არც გვესმოდა, რა მძიმე ხვედრი არგუნა განგებამ, არც ცოდვამადლის გაგვეგებოდა რამე — სიკეთესაც ინტუიტურად ჩავდიოდით და ბოროტებასაც. ჩვენთვის ის ერთი აუტანელი გოგო იყო, ჭუჭყიანი თმებით და წინსაფრით.

არადა, არც სახლში ელოდა ცხელი სადილი და მზრუნველი დედა. მაშინ იშვიათი იყო ოჯახის დანგრევა, თანაც სოფლად, მაგრამ აქაც არ გაუმართლა... დედა წავიდა, სხვა კაცთან წავიდა... დატოვა სამი მშიერი ბავშვი და... მერე გარდაიცვალა!

ალბათ რამდენჯერმე მეც აღმოვჩენილვარ მადლიანთა რიცხვში, გამიტეხია მისთვის ისედაც სიფრიფანად დაჭრილი პური, მაგრამ რა ცოტა იყო ეს მშიერი ბავშვისთვის!

მერე ხშირად მომგონებია მისი თვალები. არა, მათხოვრის არა, ეს სულ სხვა ინსტიტუტია, უბრალოდ მშიერი ბავშვის... მოლოდინით სავსე თვალები. და როცა ამ გაუსაძლის ყოფითობაში ჩემს ცხოვრებაში დამდგარა მომენტი, როცა სახლში ერთი ნაჭერი პურიც არ მქონია, ყოველთვის მომგონებია ბუფეტის ბოძთან ატუზული ლელა, მოწყალების მომლოდინე და უნებურად შევუწუხებივარ სინდისის ქეჯნას: ეს შენ იმისთვის, რომ იმ დღეს საუზმე არ გაუყავი!

მაინც რამ გამახსენა ეს სევდიანი ისტორია ამ ბრწყინვალე დღესასწაულზე — სოფლის სკოლის ბუფეტი და მშიერი გოგო?!

ჰო, მივხვდი, საბავშვო ბაღის გვერდით საცხობია, ზუსტად ისეთივე გახუნებულ ფერებშია შეღებილი და ისეთივე ძველი ზეთის სუნი ასდის, როგორც იმ დაწყევლილ ბუფეტს, სიცოცხლეს რომ გამიმწარებს ხოლმე გახსენებაზე. ჩემმა გოგომ ფუნთუშა მთხოვა და უარი ვუთხარი, გუშინდელია-მეთქი!

P.S. უკვე სტუდენტი სოფელში ჩავედი მეგობრებთან ერთად, მდინარიდან ვბრუნდებოდით და უცებ ჩემი სახელი შემომესმა. მივიხედე. ორღობეში ვიღაც ლამაზი ფეხმძიმე ქალი იდგა და ხელს მიქნევდა. თითქოს დიდი ტვირთი მომწყდა მხრებიდან...

ლელა იყო — გათხოვილი, დაქალებული და თან ისეთი ლამაზი, გავოცდი! ხომ არ მეშლება-მეთქი. სადღა იყო სამარცხვინო ბოძთან ატუზული ის გაფსხრიკული გოგო, ხუჭუჭა ჭუჭყიანი თმით და მშიერი თვალებით, ასე რომ აწვალებდა ჩემს მახსოვრობას.

მეზობლებს ვკითხე მისი ამბები. ჩვენი სოფლის ავტობუსის მძღოლს შეურთავს თურმე, არადა იმ ბიჭს ბევრი გოგო უპრაწავდა თვალებს — ისეთებიც, ტუზიას რომ ეძახდნენ ლელას.

ზაზა ბიბილაშვილი

პოეზია, დანარჩენი ლიტერატურა, და დანარჩენი

ნინო სადღობელაშვილს

*

ადრე, მგონი, ძირითადად, ასე იყო: ჯერ წიგნი უნდა გაგეცნო, და მერე — თუ ბედი გაგიღიმებდა ან შემთხვევა მოიტანდა — იქნებ მისი ავტორიც. დრო ყველაფერს ცვლის და შეიძლება ამ თანმიმდევრობის სტანდარტიც შეცვალა: ახლა ჯერ მწერალი უნდა გაიცნო, მერე კი ვინ იცის, იქნებ მის შემოქმედებასაც გადაავლო თვალი...

*

ჩვენი ლიტერატურული გარემოს ფრაგმენტულობა (და პირობითობაც კი), ავტორისა და მკითხველის ურთიერთგაუცხოება, გაყრა, და მსგავსი მოვლენები, ასე ვთქვათ, საერთო ვითარების შედეგი და ნაწილია და არ ვიცი, როდის რა ეშველება.

თუმცა არც სუბიექტური უმსგავსობების საშველი ვიცი. ვგულისხმობ ლიტერატურისადმი ლიტერატორთა უსინდისო დამოკიდებულების გამოვლინებებს: ჟურის წევრის მიკერძოებულობას ან ზერელობას; კოლეგის უსაფუძვლოდ ძაგებას, უსაფუძვლოდ ქებას ან ყოვლად განსხვავებულ შეფასებას განსხვავებულ დროსა და სივრცეში (განსაკუთრებით ვგულისხმობ შემთხვევებს, როცა ამის მიზეზი, ადამიანური სისუსტე კი არა, ანგარებიანი გათვლაა)...

თუმცა შეიძლება ვაჭარბებ და ხშირად ასეთ ქცევას უცოდინრობა ან უგემოვნობა იწვევს, რაც, მთლად არცოდვა თუ არა, ნაკლები ცოდვაა, ვიდრე წმინდა წყლის უსინდისობა.

*

სულ იმას ვუჩიჩინებ თავს, რომ ლიტერატურაც ერთი ჩვეულებრივი სფეროა ადამიანის საქმიანობისა. მაგრამ იმასაც ვატყობ, რომ ჯერჯერობით ისევ განსაკუთრებულად აუტანელია ამ სფეროში მოსაქმეთაგან გამოვლენილი ლაქუცი, პირფერობა, ჩასაფრება, ღვარძლი და სხვა უღირსი და უსინდისო ადამიანური სისუსტეები.

*

მეგობრობის წინაშე უძლურია ქართული ლიტერატურის ქაჯეთის ციხე.

*

თუ ადამიანებთან ურთიერთობებით ვერ დაიტრაბახებ, თვითრეკლამა საერთოდ არ გამოგდის, გათვლებსა და ანგარებებზე ლამის გული გერევა... მაშინ, მით უმეტეს, სხვა რაღა გზა გაქვს — კარგად უნდა წერო.

*

თითქოს ერთ რამეს მივხვდი, ან ერთერთი მიზეზი აღმოვაჩინე იმისა, თუ რატომ კითხულობდნენ ადრე გაცილებით მეტს: იმიტომ, რომ მაშინ დრო უფასო იყო, უფრო იაფი მაინც. გასართობიც არ იყო ბევრი. მაგრამ რაც მთავარია, ფული არ იშოვებოდა. ანუ დროის კონკრეტული მონაკვეთი რაშიც არ უნდა დაგეხარჯა, ფულს ვერ იშოვიდი. ფული უხვად ახლაც არ იშოვება. მაგრამ ახლა უფრო ადვილია ფიქრი ან განცდა — ამის წაკითხვას სჯობს, რამე მოვიფიქრო და ფული (სარჩო) ვიშოვოო. მაშინ კი სამსახური გქონდა, სამუშაო გქონდა — შესაბამისი ხელფასით — და ეგ იყო. ჰა-ჰა, ისევ სამსახურ-სამუშაოდან თუ აწაპნიდი რამეს. თავისუფალ დროს პოტენციურ ფულს ვერ დაკარგავდი. იმიტომ, რომ პოტენციური ფული არ არსებობდა. უფრო დრო უნდა გაგეყვანა. საამისო საშუალებათა შორის კი კითხვა ერთ-ერთ კარგ „ტონადაც“ მიიჩნეოდა...

*

ვამბობთ, რომ ნიჭი თავის გზას არ დაკარგავს, რომ წლების მერე ყველა და ყველაფერი შეფასდება და დაფასდება და ასე შემდეგ. ამას ვამბობთ, ალბათ, იმ მაგალითების საფუძველზე, ნიჭი რომ არ დაიკარგა, შეფასდა და დაფასდა. იმიტომ, რომ ვიცით ეს მაგალითები. მაგრამ ის, აბა, ვინ იცის, რამდენი ნიჭი და ნიჭიერი ადამიანი დაიკარგა და არასოდეს შეფასებულ-დაფასებულა; და რომ დაიკარგა, სწორედ ამიტომ არ ვიცით ეს მაგალითები.

(ეს ფიქრი ფილოსოფოს არისტარქეს ამბავს მოჰყვა: არისტარქეს ქრისტეს შობამდე 300 წელს დაუდგენია, რომ დედამიწა სამყაროს ცენტრი არ არის, რომ ის მზის გარშემო ბრუნავს, რომ მზისა და მთვარის დაბნელებას მთვარისა და დედამიწის ჩრდილები იწვევს და ასე შემდეგ. გალილეომ ეს ყველაფერი 1609 წელს დაადასტურა. ვინ ვიცით არისტარქე. რომც ვიცოდეთ, ეგეც დიდი ამბავი)...

*

ჩვენ ეს ცხოვრება ვერ ვისწავლეთ და ხვალ — კიდევ უფრო ტექნოლოგიურ დროში — ალბათ, ნაბიჯსაც ვეღარ გადავდგამთ.

*

ყაყა და კაკა. ფონეტიკურად ასე მცირედ რატომ განვასხვავეთ? სწორედ ის მივანიშნეთ, რომ მათ შორის განსხვავება მცირეა, თუ ბავშვის გონება დავძაბეთ, თავიდანვე გავაფხიზლეთ — რომ განსხვავება შეიძლება ერთი შეხედვით მცირე მოგეჩვენოს მაშინ, როცა ის რადიკალურია?

*

ინფანტილურ ასაკში გადავწყვიტე, სტრიქონებად გამოკვეთილი დევიზი მქონოდა ცხოვრებისა. „რაც უნდა ჭირი მომკერძო, ბილწთ არ შევეკვრი ზავითა“ ავირჩიე. ოღონდ ზერელედ, მხოლოდ მოწონების გამო არ ამირჩევია — განწყობა, ცხოვრების წესიც ასეთი მქონდა, ყოველ შემთხვევაში — აქეთ მიმართული. თუმცა მოგვიანებით ეს არჩევანი გამხსენებია, როგორც სწორედ ინფანტილური გადაწყვეტილება.

როგორც იყო, იყო. მთავარია, რომ თუ დავუკვირდებით, არავითარი „ზედმეტი რომანტიკა“ და, მით უმეტეს, ქარაფშუტობა ამ დევიზის არჩევიდან არ გამოსჭვივის — რაკი ბილწებთან შეკვრა, ყველაზე თუ არა, ერთ-ერთი ყველაზე დიდი ჭირია — პრაქტიკულად, გასაძლებად, გადასატანად — გამუდმებული ჯოჯოხეთია. ალბათ.

*

თუ გამოვეკიდებით, მთლად მართალი არავინ არის ზრდასრულ ცოცხალთაგან — აკი ძნელად სავარაუდოა, რომ რომელიმე მათგანმა ერთხელ მაინც არ გაუშვა ხელიდან სამშობლოს, მოყვასის, სიმართლის მხარდაჭერის შანსი, რომელიც ჩვეულებრივი თავგანწირვით დამთავრდებოდა.

*

რაც მეტია ურთიერთობა, მით მეტია სიყალბე, ფარისევლობა, თვალთმაქცობა.

აქვე ჩანს მარტოობის, გაველურების მთავარი ხიბლიც.

*

მეგობრობაში პრაქტიკული საჭიროება მეტია, ვიდრე კეთილშობილება. როცა მეგობრები — ასე ვთქვათ, გავლენიანი — გყავს, ცხოვრება უფრო გიადვილდება; თორემ ვერაფერი თავისთავადი სათნოებაა, დაიჭირო მეგობრის მხარე, როცა ტყუის, თვალი დახუჭო მის უმსგავსობაზე ან სულაც შეუქო ის — რათა მეგობარი არ დაკარგო, და ასე შემდეგ. იქნებ უმეგობრობა უფრო ახლოს იყოს კეთილშობილებასთან — თუკი ის, ვთქვათ, უკომპრომისობით (და ასეთებით) არის გამოწვეული და არა, ვთქვათ, მიზანთროპიით (და ასეთებით).

*

მიტევება მართლაც მშვენიერი გამოგონებაა შემთხვევებისთვის, როცა სამაგიეროს გადახდა არ შეგიძლია.

*

თურმე შეიძლება, ადამიანი ისე ანათებდეს შენს ცხოვრებას, თვითონ წარმოდგენაც არ ჰქონდეს ამაზე. თუ ჩაეძიები, ალბათ, გაირკვევა, რომ ეს — შენი ცხოვრების სინათლის სტატუსი — მას არ დაუმსახურებია. მაგრამ მერე რა — იმას ხომ ჩაძიებაც არ უნდა, რომ შენ არ დაგიმსახურებია, ის ცხოვრებას გინათებდეს.

*

უმიზეზო არაფერია, და არც — სიყვარული.

აი, დამსახურების, დამსახურებულობის რა მოგახსენო.

*

შეიძლება, ღმერთმა ეს ყველაფერი მართლაც სერიოზულად გააკეთა, მაგრამ ახლა, ამ ეპოქაში შეუძლებელია ყოველივე ამის სერიოზულად აღქმა; როცა გაჩნდა სულ სხვა მიმდინარეობები, ჟანრები, რაკურსები...

*

იქნებ თითოეული ჩვენგანის წარსულში მოიძებნება ისეთი ფაქტები და შემთხვევები, რომელთა გახსენებისას გაგვეფიქრება — ის რომ არ მომხდარიყო, რა გვეშველებოდაო — ანუ წარმოუდგენლად გვეჩვენება ჩვენი ცხოვრება იმ ფაქტებისა და შემთხვევების გარეშე. ასეთი არაერთჯერადი მოვლენაა ჩემთვის იუმორი. ჯერჯერობით ყველაზე საიმედო თავშესაფრად მაინც ეგ გამომადგა. ვნახოთ, სანამდე გაძლებს.

*

სერიოზულობა სირცხვილია.

*

განა გიზიდავს ადამიანი, რომელიც დღეში ერთი საათით ან თვეში ერთი დღით არის მომხიბვლელი, დანარჩენ დროს კი უჟმურობით გამოირჩევა? ან კარგად გახსენდება ადგილი, სადაც ერთი წლის განმავლობაში ცხოვრობდი და მხოლოდ რამდენიმე ხალისიანი საღამო გაატარე? აი, დაახლოებით ამიტომ ვერ ვამბობ, რომ პოეზია მიყვარს.

*

ავტორის ასაკთან ერთად მისი პოეზიის „ცვლილება“ ამ პოეზიის უპირობოდ „გაუმჯობესებას“ არ ნიშნავს. პირიქითაც ხდება ხოლმე. მაგრამ ისიც უდავოა, რომ თუ პოეტის ასაკის კვალდაკვალ მისი პოეზიაც არ იცვლება, იმ პოეტისა და პოეზიის საქმე მთლად კარგად ვერ არის.

*

იყო დრო, როცა შეკითხვა „რატომ, რისთვის წერ?“ ყველა დროის ყველაზე ბრიყვულ შეკითხვად მიმაჩნდა — არ ვიცი, ასაკის თუ იმ საერთო გარემოს წყალობით, რომელშიც მაშინ ვცხოვრობდით ჩვენ, მწერლები, ლიტერატურა. დღეს მგონია, რომ კითხვას — რატომ ვწერ? — თავის თავს პერიოდულად მწერელთა მხოლოდ ორი კატეგორია არ უსვამს — გრაფომანები და გენიოსები. ეტყობა, საბედნიეროდ, არც ერთი ვარ, და სამწუხაროდ, არც მეორე.

*

პოეტი ვერასდროს დაეწევა მეცნიერს მეცნიერებაში — რისი მეცნიერიც არ უნდა იყოს ის — ფილოსოფოსი, მათემატიკოსი, თუნდაც ლიტერატურათმცოდნე... ხოლო თუ დაეწევა და გაუსწრებს კიდეც, ის მეცნიერი ყოფილა, ჯერ მეცნიერი მაინც და მერე — პოეტი. და თუ მეცნიერი ან „ჯერ მეცნიერი“ სამეცნიერო აზრების ან აღმოჩენების გადმოსაცემად პოეზიას მიმართავს, ეს მიზანშეწონილი ერთ შემთხვევაშია: თუკი ამას თავისი მეცნიერული სათქმელის იმაზე უფრო ნათლად გადმოსაცემად აკეთებს, ვიდრე მეცნიერების ენაზე შეძლებდა. სათქმელის უფრო გართულება-გაბუნდოვანების ვარიანტი ხომ სრული გაუგებრობაა.

პოეტმა პოეზია უნდა ეძიოს. მეცნიერებას მხატვრული ენა და აზროვნება არ სჭირდება.

*

მედროვე ეპატაჟისტ ლუზერებს (მგონი, შეიძლება ასეთი ტერმინის შედგენა) — შესაბამისად (ტერმინის არსის შესაბამისად) — ისტორია არ იმახსოვრებს, ანუ არ იმახსოვრებს მათ, როგორც მაგალითებს. შესაბამისად(ვე), დღევანდელ ასეთებს ვერავის შეადარებ წარსულიდან, ისინი ყოფილს არავის გაგახსენებენ. ამიტომაც ზოგჯერ (ბევრჯერ) შეიძლება გეგონოს, რომ ესენი მედროვე ეპატაჟისტი ლუზერები არ არიან, რომ — სულ პირიქით.

*

და ბედნიერი პოეტები? ლექსებში ვენებს რომ იგლეჯენ და ამ დროს საათივით აუწყვიათ ცხოვრება ამ საშინელ, გაუტანელ წუთისოფელში...

*

მწერალი მხოლოდ იმით არ უნდა გამოირჩეოდეს, რომ „სხვანაირია“, ახირებულია, უბერავს... მით უფრო, რომ ამით ვერ გამოირჩევა — ამას მრავალი სხვაც მშვენივრად ახერხებს.

*

კოლეგების მიმართ გალაკტიონიც ენამწარობდა. ალბათ, მის მიმართაც ენამწარობდნენ კოლეგები. მაგრამ დღეს გალაკტიონის ენამწარობას იხსენებენ — თანაგრძნობით და მხარდაჭერით. ანუ სხვისი დაცინვა ყველას შეუძლია (მეტ-ნაკლებად); მაგრამ როცა სხვას დასცინი, ბოლოს გალაკტიონი უნდა აღმოჩნდე, გალაკტიონად დარჩე, თორემ სხვისგან დაცინვა ხომ შეგრჩება და შენი დაცინვაც შენვე მოგიბრუნდება, უარესად.

ნინო ვახანია

ამბოხება გულცივი სამყაროს წინააღმდეგ

ჯერომ სელინჯერი თემურ გაბუნიას თვალთახედვაში



თემურ გაბუნიას ამ წიგნში დაწვრილებით, დეტალურად, გამოწვლილვითაა შესწავლილი ჯერომ სელინჯერის ცხოვრება და შემოქმედება და, ამასთან ერთად, საინტერესოდ და საყურადღებოდაა მიმოხილული XX საუკუნის ამერიკული პროზა — კერძოდ, ყურადღება გამახვილებულია იმ დიდოსტატებზე, რომელნიც პირდაპირ თუ ირიბად ურთიერთობდნენ სელინჯერთან. იქნება ეს ჰემინგუეი, ფოლკნერი, ფიცჯერალდი თუ სხვები. საკითხის ღრმა ცოდნა და ფართო ერუდიცია ავტორს საშუალებას აძლევს, იმსჯელოს ტოლსტოის, ბალზაკის, სტენდალის, ჰიუგოს, სტაინბეკისა და სხვათა შესახებ, თანაც ისე, რომ არ გადაუხვიოს მთავარ თემას, მთავარ ხაზს — ჯერომ სელინჯერის ლიტერატურული მემკვიდრეობის სხვადასხვა კუთხით მრავალ ჭრილში წარმოჩენას.

სასიამოვნოდ, ერთგვარად რომანტიკულად, ჩუმი სევდითა და ფარული იუმორითაა მოთხრობილი სელინჯერისა და უნა ო'ნილის სატრფიალო ურთიერთობის შესახებ (როგორ მიითვისა სელინჯერის წერილები უნას მეგობარმა — საროიანის შეყვარებულმა, როგორ ნატრობდა ვაჟი, რომ ასეთი ვრცელი, ღრმა და ჭკვიანური წერილი ახალგაზრდა ქეროლის დაწერილი არ ყოფილიყო და როგორ აუხდა ეს ნატვრა. როგორ ირჩია თვრამეტი წლის უნამ, ორმოცდათოთხმეტი წლის ჩარლი ჩაპლინს გაჰყოლოდა ცოლად, და რა საერთო ჰქონდათ და რით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან სელინჯერი და ჩაპლინი).

ამ ვრცელი მონოგრაფიის (რომანივით რომ იკითხება) ერთი უდავო ღირსება ისიცაა, რომ ავტორი ფრთხილად, ფაქიზად, თუმცა დაჟინებით ეძებს იმ მიზეზებს, რომლებმაც ამერიკელი მწერლის, მეტი რომ არა ვთქვათ, ცხოვრების უცნაური წესი — საზოგადოებისაგან განდგომა განაპირობა. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, პირველ რიგში, თვითონ სელინჯერის რომანსა „თამაში ჭვავის ყანაში" და მოთხრობებს მოიხმობს, შემდგომ დეტალებს მწერლის ბიოგრაფიიდან მის განდგომილობამდე, სხვა მწერალთა და ჟურნალისტების (კეთილად თუ ავად განწყობილთა) შეხედულებებს, მათ აზრებს... ყველაფერს კრებს, ერთმანეთთან აკავშირებს, საკუთარ, ძალზე ჭკვიანურ დაკვირვებებს გვთავაზობს და ასე, ამ გზით, საკაცობრიო პრობლემებს წამოჭრის და მათზე საფიქრალად განგვაწყობს ჩვენც.

ხშირად „ამერიკული" საჭირბოროტო საკითხები ძალიან ჰგავს ჩვენსას, ქართულს — თანამედროვე საქართველოსიც და განვლილი ხანისაც. მაგალითად, ვერშეგუება ფარისევლობასა და ცრუ მორალთან; ადამიანის, პიროვნების, ინდივიდის არარსებობა და მათ მაგიერ მხოლოდ ადამიანთა ჯგუფების (პარტიების ან სხვა სახის გაერთიანებათა) ჯოგური აზროვნება; ბრძოლა პიროვნული თავისუფლებისთვის...

„სელინჯერის ბიოგრაფიას ვერ დაწერდა ადამიანი, რომელსაც მისი არ ესმოდა", — ამბობს ავტორი ჟურნალისტ ჰამილტონის შესახებ. დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, თემურ გაბუნია ის ადამიანია, რომელსაც კარგად ესმის სელინჯერისა. მან ზუსტად და სწორად იცის, რომ ომიდან მწერალი სრულიად სხვაგვარი დაბრუნდა (განსხვავებული შინაგანი ხედვით) და არა განადგურებული, როგორც ეს ბიოგრაფოსებს ჰგონიათ. ისინი ხომ სელინჯერის განდგომას საზოგადოებისგან უმეტესად იმ ფსიქიკური ტრავმით, სტრესით ხსნიან, მწერალმა, სავარაუდოდ, ომში რომ მიიღო.

შემთხვევითი არაა, რომ სელინჯერის პერსონაჟები უმეტესად ბავშვები არიან. მათი მეშვეობით გააგონებს მწერალი მკითხველს ღვთის ხმას. წმინდა, შეურყვნელი ბუნების ბავშვები ყველგან სიწმინდეს, სილამაზეს, სიყვარულს რომ ეძებენ.

არსებობს წიგნები, მსოფლიოში ყველგან ერთნაირად რომ უყვარს მკითხველს. ერთი ასეთი უდავოდ სელინჯერის რომანიცაა — „თამაში ჭვავის ყანაში". ჰოლდენ კოლფილდი ეძებს ადამიანს, პიროვნებას, რათა გულახდილად ესაუბროს, და ვერ პოულობს. ფოლკნერმა დანაშაული უწოდა ამერიკის ხელისუფლების ქმედებას იმის მისაღწევად, რომ შეექმნათ მითი, თითქოს პიროვნება არარაობა იყო და წონასა და მნიშვნელობას მხოლოდ მაშინ იძენდა, როცა უსახელოდ ჩაიკარგებოდა რომელიმე ჯგუფში (როგორ გვაგონებს ეს ვითარება საქართველოს უახლოეს წარსულსაც და დღევანდელობასაც). 1980 წელს ერთ-ერთ ინტერვიუში სელინჯერს უთქვამს: „პოლიტიკოსები ადამიანს ჰორიზონტს უზღუდავენ, მე კი ვცდილობ, გავუფართოვო". ეს ხომ ყველა მწერლის მიზანი და დანიშნულებაა.

მთელი არსებით ებრძოდა სელინჯერი ხელისუფალთა სურვილს, ოჯახი დაესახათ სიბნელის, ჩამორჩენის, ძველმოდურობის მთავარ წყაროდ. თვითონ რელიგიაში ჩაღრმავებას (სხვადასხვა რელიგიაში) ქადაგებდა, უღმერთობის ეპოქაში კი ეს თითქოს არავის ჭირდებოდა (ისევ ჩვენი თანამედროვეობა არ გვახსენდება?!). ბარემ აქვე ვიტყვი, რომ თემურ გაბუნიას წიგნს ძალიან მოხდენილი და ამავე დროს შინაარსს მორგებული სათაური აქვს — „ნამდვილი ბრძოლა". და მართლაც, მთელი მონოგრაფიის მანძილზე ნამდვილ მებრძოლად, სიწმინდის, სილამაზის, პატიოსნების, ერთგულების, ღირსების... ნამდვილ დამცველად წარმოგვიდგება ჯერომ სელინჯერი.

წიგნში საინტერესოდაა შეფასებული იმ ჟურნალისტთა საქმიანობა, რომლებსაც ბედმა გაუღიმა და მწერალი ინტერვიუზე დათანხმდა. ყველა დროის ჟურნალისტს გაკვეთილად და ჭკუის სასწავლებლად გამოადგება იმ შეცდომის გაანალიზება, რომელიც ბეტი ეპესმა დაუშვა სელინჯერთან საუბრისას — იმის ნაცვლად, რომ სერიოზულ თემებზე ესაუბრა, სულ ცოტა, ოთხი კულტურული სამყაროთი და რელიგიით დაინტერესებულიყო, არასერიოზული კითხვები დაუსვა ძველ, ახალგაზრდობისდროინდელ ქმედებებზე, უცერემონიოდ, უხეშად შეეხო სელინჯერისთვის ყველაზე მტკივნეულ საკითხს მისი ნაწარმოებების ეკრანიზაციისა...

სხვათა შორის, ჰოლივუდის სიძულვილი სულაც არაა სელინჯერის უცნაურობა. კიდევ ბევრი ამერიკელი მწერალი გაურბოდა ჰოლივუდს და არ სურდათ საკუთარ ნაწარმოებთა ეკრანიზაცია. ბეტი ეპესს კი მერე უკვირდა, რომ ინტერვიუ არ შედგა (ჰოი, რამდენი ამაზე სამარცხვინო და სავალალო შეცდომა მოსდით ჩვენს თანამემამულე უმწიფარ ჟურნალისტებს ახლაც).

ერთი მტკივნეული თემა, რომელიც ამერიკელმა მწერალმა ჰოლდენ კოლფილდისა და თავის სხვა პერსონაჟთა (ფაქტობრივად, ორეულების) მეშვეობით წამოჭრა, ესაა: რისთვის იღებს ადამიანი განათლებას? „არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისაო", — შეგვაგონებს რუსთაველი. მაინც რა არის მიზანი? — კარგი სამსახური, ხელფასი, „ის ოხერი კადილაკი" თუ სულიერი განწმენდა, ამაღლება, ჭეშმარიტების წვდომა? და უკვირს ბესის (სელინჯერის ერთ-ერთ პერსონაჟს): რა საჭიროა ცოდნა, თუკი მას ბედნიერების მოტანა არ შეუძლია („რაც მეტია ცოდნა, დარდიც მეტია", — ეკლესიასტე).

დამაფიქრებელი და სამწუხარო გახლდათ მწერლისთვის ქადაგება რელიგიათა შერწყმისა, რაც ფაქტობრივად უღმერთობას, რელიგიათა წაშლას ნიშნავდა. არადა, თვითონ დარწმუნებული იყო, რომ რელიგიის გარეშე სამყარო ვერ იარსებებს (თანამედროვე გლობალისტებმაც, როგორც ჩანს, ბევრი რამ ისესხეს იმ მოძღვართაგან, რელიგიათა შერწყმას რომ ქადაგებდნენ და ახლაც ცდილობენ, რელიგია ფილოსოფოსად გვიქციონ).

ერთი მთავარი საკითხი მონოგრაფიის ავტორისთვის, ალბათ, მაინც იმ მიზეზთა კვლევაა, რომელთაც კორნიშში განმარტოებამდე მიიყვანეს უკვე აღიარებული მწერალი. რაც გადაჭრით უარყოფილია გამოკვლევაში, ესაა მიზეზად ომში მიღებული სტრესის დასახელება.

სხვა ვერსიებს, სხვა შეხედულებებს კი გულდინჯად განსჯის, განიხილავს. ვთქვათ: მწერლის წინააღმდეგ წარმოებულ აღვირახსნილ კამპანიას, გულგატეხილობას იმის გამო, რომ სამყაროში ვერაფერი შეცვალა, ეგრეთ წოდებული პასიური აქტიურობის პრინციპს, მწერლური რეპუტაციის გადარჩენის სურვილსა და სხვას. როგორც ჩანს, მკვლევარი იმ აზრისკენ იხრება, რომ სელინჯერმა განდგომით ერთგვარად გადაარჩინა თავისი „წმინდა ხელობა". თუ სხვები ვერ დაიმსგავსა, თვითონ მაინც არ დაემსგავსა მათ.

რომანის — „თამაში ჭვავის ყანაში" — მთავარი გმირის, ჰოლდენ კოლფილდის ოცნება — კლდის პირას იდგეს და ყანაში მოთამაშე ბავშვებს კლდიდან გადავარდნისგან იცავდეს — თემურ გაბუნიას მიერ ახსნილია, როგორც „წმინდა ცნობიერების", ანუ ბავშვური სიწმინდის შენარჩუნების სურვილი. იქნებ ამ ქარაგმის სხვანაირად ახსნაც იყოს შესაძლებელი და არც ის მოსაზრება (თუ მოსაზრებანი) გახლდეს ჭეშმარიტებისგან შორს, მაგრამ იმაში კი ყველა დაეთანხმება, რომ „თამაში ჭვავის ყანაში" მართლაც ამბოხებაა გულცივი და სასტიკი სამყაროს წინააღმდეგ.

ისიც უნდა ვთქვათ, რომ ავტორის მიერ სელინჯერის მოთხრობების საფუძვლიანი განხილვა სახელმძღვანელოდ და გზამკვლევად გამოადგება ყველას. ამ — ზოგიერთი აუცილებელი — განმარტების გარეშე იმ მოთხრობებში შეიძლება ბევრი რამ ბუნდოვანი ეჩვენოს მკითხველს.

ფოლკნერის, სელინჯერის, სტაინბეკისა და სხვათა შესახებ წიგნის ბოლოს ავტორი ამბობს: „მათი ნაწარმოებების წაკითხვა ადამიანს მხნეობას მატებს, მადლიერებითა და სიხარულით ავსებს". მეც ზუსტად იგივე მინდა გავიმეორო ამ წიგნის შესახებ — „მწერლობის ერთ-ერთი დანიშნულებაც ხომ სწორედ ესაა!"



* * *

ინტერნეტში წავაწყდი სიტყვებს, რომლებსაც მაიკლ დაგლასს მიაწერენ, თუმცა, არის ამ სიტყვებში ბევრად მეტი აზრი, ვიდრე დაგლასის სამსახიობო კარიერაში: „ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები ლოთობასა და აღვირახსნილობაში გავატარე! სწორედ ამიტომაც იყო ეს წლები საუკეთესო“.

* * *

პაულო კოელიოს წიგნის — „ანგელოზებთან შეხვედრა“ — სპარსული თარგმანი მიყიდია 1998 წელს ყაზვინში, მაშინ, როცა ირანში ისეთივე „ბუმი“ იყო ამ მწერლისა, როგორიც დღეს საქართველოშია. კოელიოს ირანულმა გრგვინვამ 2-3 წელიწადში გადაიარა... საქართველოში ხშირად მესმის ხოლმე „ირანისაკენ მივდივართ“, „ირანიზაცია ხდება“. რას ლაპარაკობთ? ირანს როგორ დავეწევით? კოელიოს სიყვარულშიც კი მთელი 20 წლით ჩამოვრჩებით...

დღეს შემთხვევით შემეფეთა ეს თარგმანი წიგნის თაროზე. გადმოვიღე, ჩავხედე. რა დიდი ინტერესითა და მინაწერებით წამიკითხავს და როგორ არაფერი დამრჩენია, ნეტავი, იცოდეთ!

* * *

მე ხომ მარგარიტ ეტვუდზე შევქანდი ამ ბოლო დროს, უფრო სწორად, მის ერთ წიგნზე — „ბრმა მკვლელი“. მეორე, რაც ქართულად არის, ჯერ არ წამიკითხავს. ჰოდა, იმ „ბრმა მკვლელში“ ასეთი პასაჟია:

„ერთი ომისდროინდელი წარწერა გამახსენდა: „გახსოვდეს, ენის ტლიკინით გემს ძირავ რიკინ-რიკინით!“ რა სისულელეა, გინდა ასე მოიქეცი, გინდა — ისე, ყველა გემი ბოლოს მაინც ჩაიძირება!“ (თარგმანი თამარ ჯაფარიძისა).

მაგარი გოგოები არიან ეტვუდი და მისი ქართველი მთარგმნელი! რას იტყვით?..

* * *

რაღაც საინტერესო დიალოგი გაიმართა ლილისა და ლუკას შორის ამას წინათ. ლუკა მაფრთხილებს: არ დაწერო ახლა ესეც შენებურად, ყველაფერს რომ ფეისბუქზე წერ! მომესწრო ბიჭი! ვერაფერს იტყვი

და ისე, მწერლების შვილები, დიდი ანგარიშით, რატომ ვერ იტანენ ხოლმე მშობლების ხელობას. რა ტრავმების წყაროა ეს მათთვის?

* * *

ეს კაცი — ზაქარია არ-რაზი დაიბადა 865 წელს. დიდი ირანელი ფილოსოფოსი და აგნოსტიკოსი: „ადამიანთა რელიგიაზე და რელიგიურ ლიდერებზე დაყრდნობისა და მათი რწმენის მიზეზი მხოლოდ შიშიდან და წეს-ჩვეულებიდან გამომდინარეობს. რელიგია არის ილუსტრაცია იმ მსოფლაღქმისა, რომელიც იწყება უმეცრებიდან და მთავრდება შავრაზმული აზროვნებით“.

ჰოდა, მთარგმნელს მოეშვით! მხოლოდ შუაკაცი ვარ..

* * *

ილიკო, მე კი დავიწყე შენგან ნათხოვარი წიგნის კითხვა, უკვე ორი საათია ვკითხულობ და ვერ მოვწყდი! ძალიან, ძალიან შემძვრელი წიგნია! ფილმი მაგასთან ვერაფრით ვერ მოვა. აქ მთელი ტრაგიკული პოეზიაა! Reinaldo Arenas Avant la nuit... თარგმნეთ ეს წიგნი ქართულად და ჰომოფობია თუ არ გაქრება, იმას მაინც მიხვდებიან, რა საშინელებაა, როცა ადამიანებს რეჟიმი სდევნის მორალის სახელით.

* * *

ამ თავს ჰქვია „გაქცევა“... არ ვიცი, მსოფლიო ლიტერატურაში თუ ვინმე გაქცეულა კიდევ ასე უნუგეშოდ და ტრაგიკულად. უფრო სწორად, ვინმე გაქცეულს თუ მოუხერხებია, მერე ასე გემრიელად, ზუსტი აქცენტებით მოეყოლა თავის გაქცევაზე... ისევ არენასის „სანამ დაღამდება“...

გიორგი ლობჟანიძე

ძილ-ღვიძილს შორის

* * *

დღეს საღამოს, დაღლილს, შემთხვევით, პაატა და თეონა შემხვდნენ რუსთაველზე. დარეკვას ვაპირებდი, შენი წიგნი „თანამედროვე სპარსული პოეზია“ წავიკითხე და ასევე ლელა კოდალაშვილის ძალიან მაგარი რეცენზია ამ წიგნზე „ახალ საუნჯეშიო“. რეცენზიაცა, მეთქი, კაცო? კი, აბა, მე ყველაფერს ვკითხულობო! — გამიღიმა. და მე მერამდენედ მივხვდი, რომ სანამ პაატა ნაცვლიშვილი არის და ყველაფერს კითხულობს, არაფრისაც არ მეშინია და ქვეყანა თავის ადგილზეა!

* * *

როცა წმინდანები
ჯოჯოხეთში ხვდებიან,
ისინი ხვდებიან,
რომ იქ წმინდანობა
ყველაზე შემოსავლიანი
ბიზნესია...
მე კი მინდა ვიმღერო
გრიგალში დალეწილთათვის,
მამა გაბრიელ!

* * *

დღეს ჩემს არაბ მოსწავლეს ჰამლეტთან დაკავშირებით ვკითხე, როგორ ფიქრობ, რატომ ბრუნდებიან მიცვალებულები ამ ქვეყანაზე-მეთქი და ბავშვს სერიოზულად შეეშინდა... არადა, მეთორმეტეკლასელია.

* * *

ჯალალ ედ-დინ რუმის „მესნევიში“ ერთი საოცარი იგავია, როგორ გარბის იესო მთაზე და როგორ მისდევს ძახილით ვიღაც კაცი. ის არ ჩერდება, კაცი კი მისძახის: რა მოგივიდა, მომიცადე ცოტა ხანს, რაღაც მინდა, შეგეკითხოო. იესო ეუბნება: დამაცადე, ჩემი გამჭირვებია, თავს უნდა ვუშველოო. კაცი რომ წამოეწევა, ჰკითხავს: კი, მაგრამ შენ ის არა ხარ, ვინც მიცვალებულთ აღადგენდი, ყრუებს ყურთასმენას უბრუნებდი და ბრმათ — თვალისჩინს, ვისაც გემორჩილება ყველა სტიქია, ვინც თიხისაგან გამოძერწილ ჩიტებს აცოცხლებ, მაშ ახლა რაღამ შეგაშინა, რას გაურბიო? იესო ეტყვის: ბრიყვს, შეუსმენელს. რადგან სიბრმავე და სიყრუე სნეულებაა და წამალი აქვს, სიბრიყვე კი ღვთის რისხვაა, ვერაფერი ვერ უშველისო.

დიახ, ამ ორშაბათ დილას მინდა, გითხრათ: მოერიდეთ ბრიყვებსა და შეუსმენელებს. მოერიდეთ კი არა, გაექეცით!

* * *

არის ერთი კარგი კაცი და კარგი ფიზიკოსი თემურ ნადარეიშვილი, რომელსაც, ძირითადად, როსტომ ჩხეიძის თაოსნობით გამართული ლიტერატურული თავყრილობებიდან ვიცნობ. მისი ჩანაწერებიც არაერთხელ მომხვედრია თვალში, „სულის ფოტოგრაფიების“ სახელწოდებით რომ აქვეყნებს ხოლმე შიგადაშიგ და ბევრჯერ აღტაცებული დავრჩენილვარ მისი დაკვირვებისა და ანალიზის უნარით, რადგან ვეთანხმები თუ არა, სულერთია, აზრი მაინც არის ხოლმე თავისთავად საინტერესო და ორიგინალური. ლიტერატურულ თავყრილობებზეც სულ ფანქრითა და უბის წიგნაკით დადის და იქვე ინიშნავს ყველაფერს, რაც იმწუთას გაგონილში თავისათვის მნიშვნელოვნად ეჩვენება. ამ ორი დღის წინათ „თანამედროვე სპარსული პოეზიის“ განხილვაზეც ასევე იჯდა ლიტერატურის ინსტიტუტში. იწერდა და იწერდა რაღაცებს უბის წიგნაკში. ამ შეხვედრაზე, სხვათა შორის, სიმინ ბეჰბაჰანის ის ლექსიც წავიკითხე, რომელსაც სპარსულად ჰქვია „ნაყმეიე რუსფი“ — ნაყმე სპარსულად ჰანგს, ღიღინს, სიმღერას ნიშნავს, ხოლო „რუსფი“ საიდანაც ძველი ქართული როსკიპი მოდის, ნიშნავს ბოზს, რაც იმავეს ნიშნავდა ძველქართულადაც და ახლაც, რასაც როსკიპი. როცა ამ ლექსს ვთარგმნიდი, ყველაზე დიდხანს სათაურის ქართულ ვარიანტზე ვიფიქრე. შემეძლო, მეთარგმნა, როგორც „როსკიპის ჰანგი“, „მეძავის ღიღინი“ ან „ბოზის სიმღერა“. საბოლოოდ, უპირატესობა ამ უკანასკნელს მივანიჭე, რადგან ლექსის საერთო განწყობისა და გარკვეული დეკლარაციულობისათვის ასეთი სიმკვეთრე უფრო შესაფერისი მომეჩვენა. საღამოს დასასრულს, თავისი შთაბეჭდილებების გადმოსაცემად, თემურ ნადარეიშვილმაც ითხოვა სიტყვა. ძირითადად იმ სტრიქონებზე გაამახვილა ყურადღება, რაც იქვე განაგონიდან ჩაიწერა და თქვა: „აი, თუნდაც ეს რა კარგია: „მოსულა ქმარიც ამაღამდელი“, იმ „მსუბუქი ყოფაქცევის ქალის სიმღერაში“ რომ არისო. მერე სხვა ლექსზე გადავიდა და ცოტა ხანში ისევ ამბობს: აი, კიდევ ეს ტრაგიზმი, რაც იმ „ზნედაცემული ქალის სიმღერაშიაო“. მისმა საუბარმა თავიდან მეც ბუნებრივად გამახალისა. მაგრამ მერე ცოტა უფრო სიღრმისეული განსჯისათვის განმაწყო, კერძოდ იმაზე დამაფიქრა, რა სახიფათოა, როცა რომელიმე სიტყვა, ჩვენი აღქმის შესაბამისად, ძირეულად განსხვავებული შინაარსებით იტვირთება. თემურის მოტივაცია სავსებით გასაგები იყო: მეც იმდენად არ მსიამოვნებს ეს სიტყვა — „ბოზი“, რომ ვინმეს დასახასიათებლად (ჩემი ყიამყრალობის მიუხედავად) ძალზე იშვიათად ვიყენებ და მაშინაც, ჩემს ლექსიკონში ის თითქმის არასოდეს შეიცავს ფიზიკური ურთიერთობის დამამცირებელ კონოტაციას. უფრო სულიერი ხრწნილების აღსანიშნავად თუ მოვიმარჯვებ ხოლმე (და იმასაც, როგორც გითხარით) ძალზე იშვიათად. ჩვენი — ლიტერატურაზე გამიჯნურებული — ფიზიკოსი კი თავისი ბუნებითი სიმორცხვის გამო ამ სიტყვის ხმამაღლა თქმას მოერიდა და ამიტომ სიტყვა მისი აღწერილობებით ჩაანაცვლა. ამიტომაც გადაიზარდა მისი მსჯელობა ბოდვაში და ამ შეფასებით, პრაქტიკულად, იმის საპირისპირო ილაპარაკა, რასაც ცხონებული სიმინ ბეჰბაჰანის ლექსი გულისხმობდა. პოეზია კი ყოველთვის პირდაპირია, ის ზუსტად არქმევს სახელს ყველაფერს ისე, რომ ენობრივ აბრუნდთა პოლარულობას თავისთავში ადგილს არ უტოვებს. ამიტომაც იყო ძალიან დიდი შემოქმედი სიმინ ბეჰბაჰანი და ბოლოს ამიტომაც მიმაჩნია, რომ სათაურის თარგმანის შესაძლებლობათაგან თურმე ყველაზე ზუსტი ავირჩიე, რადგან „ბოზი“ ამ კონტექსტში ნიშნავს სწორედ იმას, რაც და როგორც გვესმის და არა ზნედაცემულ ან ზომიერად ამსუბუქებულ ადამიანს.

* * *

უკვე განდევნილი და გადასახლებაში მყოფი ამირ ქაბირის სიტყვები ყოფილა: „თავიდან ვფიქრობდით, რომ სახელმწიფოს მცოდნე ვეზირი უნდა. მერე ვფიქრობდით, არა, იქნებ, მცოდნე მეფე უნდაო. ახლა მივხვდით, რომ მცოდნე ერი სჭირდება!“ უზუსტესია, ასე ვფიქრობ მე თავიდანაც და ბოლოდანაც.

* * *

ლუკა ჩემს გასაგონად ლილის მოძღვრავს: წადი, იმეცადინე, ეგ ლეპტოპი მე მომეცი და შენ წიგნში ჩაიხედე, ინგლისური კითხვა ისწავლე. აი, ვერ ხედავ, მამა სულ რომ ზის და ამ ასაკშიც მეცადინეობს? ინგლისურის სწავლა ახლა გადაწყვიტა და ნახე, როგორ ისწავლის ცოტა ხანში! იმიტომ, რომ მეცადინეობა უყვარს! ლილი ზის, მრგვალი, აწითლებული, ჩუმ-ჩუმად თვალს ჩემკენ აპარებს და კუჭკუჭებს. ორივე იცინის...

* * *

რა საშინელი წიგნებით სწავლობენ ჩვენი პირველ-მეორე კლასელები „დედაენას“. ვიღაც საბავშვო ავტორები, კაციშვილს რომ არასოდეს გაგვიგონია, აუწყობელი და ასაკთან შეუთავსებელი სწავლების პროცესი, გარემოსთან და ბავშვის აღქმასთან შეუხამებელი ლექსიკა... მოკლედ, სრული კატასტროფაა. მაგალითად, სასწავლო წლის მეორე დღესვე გაკვეთილად აძლევენ ზღაპარს „ბრძენი კუ“, სადაც ასეთ რამეს ვკითხულობთ: „კუმ იფიქრა: მოდი, რაც ქვეყანაზე სიბრძნეა, შევაგროვებ და ყველაზე ჭკვიანი ვიქნებიო. ადგა, მწარე გოგრა გამოქურთნა, მხარზე გაიდო და გზას გაუდგა. სადაც კი სიბრძნეს წააწყდებოდა, გოგრაში ტენიდა და თავს ნაქურჩალით უკრავდა — არსად გამექცესო.“

ლილი ტანჯვით კითხულობდა ამ აღმოსავლურ ზღაპარს. ვკითხეთ, გაიგეო. ჯერ თვალთმაქცობა და საკუთარი ნიჭიერებით ფუჭად აღტაცება არ უსწავლია,

ამიტომ გულწრფელად გვითხრა: ვერაო. ჯერ ჩვენ გავიგეთ ტექსტზე დართული განმარტებიდან, რომ „გამოქურთნა“ თურმე არის „გული გამოუღო“, ხოლო ნაქურჩალი — „სიმინდის ღეროა“. ავუხსენით ბავშვს და ლილი გაგვიჯიუტდა, მაინც ვერ გავიგეო. რატომო, შევშფოთდით, როგორ ვერ გაიგეო? გვითხრა: კარგი, ეგ ყველაფერი მესმის, მაგრამ სიბრძნე ძირიდან როგორ უნდა აიღო ასე (პატარა ხელის პეშვებით გვიჩვენებს) და რაღაცაში როგორ უნდა ჩადო, ეგ არ მესმისო!

* * *

ობეიდ ზაქანის იგავია. მიყვარს ასეთი „ხულიგანი“ მწერლები ყველა დროსა და საუკუნეში: ერთ კაცს ხურჯინი მოჰპარეს. ვიღაცამ ურჩია, მიდი, სურა „ია-სინ“ წაიკითხე, რომ დაკარგული ისევ იპოვნოო. კაცმა უთხრა: იმ ხურჯინში მთელი ყურანი მედოო!

* * *

ერთხელ ჩემმა მეგობარმა (მწერლობაში დაახლოებით მისი თაობისამ) პირში უთხრა რეზო ჭეიშვილს: რეზო, შენ ხარ ყველაზე კარგი მწერალი და ყველაზე ცუდი ადამიანი ჯერ კიდევ ცოცხლებშიო. იყო ამ ხუმრობაში ძალიან დიდი სიმართლე, თუმცა რეზომ ამის გაგონებაზე გაიცინა და მთქმელს, რომელიც შეთამამებული იყო მასთან, გულწრფელად გადაეხვია, რითაც დაამტკიცა, რომ არც ისეთი ცუდი ადამიანი იყო... როგორც მწერალი ხომ არ უნდა ლაპარაკი. ჩემი აზრით, რეზო ჭეიშვილმა ყველაზე უკეთ შეძლო, მხატვრულად აესახა თანადროული საბჭოთა აბსურდი! ძალიან, ძალიან დიდი შემოქმედი იყო!

* * *

მალე ჩემ მიერ არაბულიდან ქართულად თარგმნილი „ქილილა და დამანა“ გამოვა. პირველი ვარიანტი 20 წლის წინათ ვთარგმნე და 2002 წელს გამოიცა. მეორე გამოცემისათვის ტექსტი სერიოზულად გადავამუშავე. ოღონდ სანამ მუშაობას დავიწყებდი, დიდხანს ვერ გავეკარე: მეშინოდა, რომ საერთოდ აღარ მომეწონებოდა 20 წლის წინანდელი ნაშრომი და გამოცემაზე გული ამიცრუვდებოდა. კიდევ კარგი, ასე არ მოხდა, მაგრამ რომ ვერ ვისვენებ: ისევ დავიდე დედანი, ისევ მივყევი (ამჯერად სხვა ვარიანტს) და უამრავი რამე გავასწორე! არ შევხებივარ ტექსტის კამერტონს: ის თავის დროზევე უზუსტესად მქონია დაჭერილი და ცხადია, არ შემიცვლია იმ არაბულ გამოცემაში კორექტულობისათვის შეტანილი ცვლილებები, რითაც ამჯერად ვსარგებლობდი. მაგალითად, ერთგან ქალი საყვარლის გამო, მძინარე ქმარს შხამით სავსე ლერწამს უკანალში ჩაუყოფს და მეორე ბოლოდან აპირებს, რომ სული შეუბეროს. ამ დროს მძინარე კაცი ქარს გამოუშვებს და თვითონ ქალს გადასცდება ყელში ეს შხამი. ამ გამოცემაში კი წერია, რომ ქალმა ლერწამი კაცს ცხვირის ნესტოში შეუყო და მძინარეს ცხვირი დააცემინა. მიყვარს ეს დიადი წიგნი. აბასიანთა ხალიფა ალმა'მუნი თურმე მოწიწებით ინახავდა მის არაბულ ხელნაწერს, ხოლო როცა ხალიფას ვეზირის, იბნ საჰლისათვის უკითხავთ, ყურანი როგორ მოგწონსო, მიუგია: „ქილილა და დამანასავითო“. მეამაყება, რომ „ქალილასა და დიმნას წიგნის“ მთარგმნელი ვარ!

* * *

თავიდან რომ გადავხედე, გიორგი შატბერაშვილის ლექსები ოდნავ მოძველებული და გულუბრყვილო მომეჩვენა. მერე კარგად ჩავუღრმავდი და შიგადაშიგ საოცრებები ვნახე ამ ერთტომეულში, მაგალითად „არსენა ყაჩაღი“: „ახლა მთვარე უჩადროა, ხარისთვალა მოჩანს, ჯერ ადრეა, ბრწყინავს ზეცა — ვარსკვლავების ხონჩა, იისფერი ეკიდება თრიალეთის ლაჟვარდს, ნისლის ჩოხებს ეზიდება ცისფერ გარიჟრაჟთან. მეხრე ბიჭი ზის ფარეხში და აჟღერებს ჩანგურს: შავლეგ, შენი შავი ჩოხა შავლეგო, შავად შეგიხამებია, შავლეგო, შავლეგ, შენი ყაწიმები, შავლეგო, შენი შავი ჩაბალახი, შავლეგო... არსენ, შენი თეთრი ჩოხით მიწოლილხარ მხარზე, მწყემსი გეტყვის ერთიც შესვი ამ ჯიხვის რქით, არსენ... ბნელ ფარეხში სიჩუმეა, მეხრეები სდუმან, შეგხარიან თრიალეთზე გადმოვარდნილ სტუმარს...“

ლექსი 1931 წელს არის დაწერილი. 2 წელიწადში დაიბადება გივი გეგეჭკორი... სხვათა შორის, ბატონი გივი ბრძანდებოდა გიორგი შატბერაშვილის ამ „ერთტომეულის“ შემდგენელი...

ნამდვილად დასაწერია ქართული სალექსო საზომებისა და რიტმების ისტორია: ვისგან რა მოდის და როგორ ვითარდება...

* * *

გუშინ სამარშრუტოში შემხვდა ანა გაბრიაძე — ადამიანი-ფოიერვერკი. მთელი გზა ვიცინოდით. ხომ არიან ადამიანები, ვისთანაც მთელი სისავსით გრძნობ ყოფიერების სიმძიმეს და მაინც სულ გეცინება, სულ ცდილობს, კარგ გუნებაზე გამყოფოს. ასეთია ანა — დიღმის ტყის კეთილი სული. განსაკუთრებით მომეწონა ორი ამბავი: „ნოტარიუსების ყრილობა“ და „ანა აღსარებაზე“. თუ თვითონ არ დაწერა, ოდესმე მე დავწერ. მოკლედ, ის ურჩევნია მამულსა, ანა რომ სჯობდეს მამასა!

* * *

ერთ-ერთ სარეკლამო ტექსტში ეწერა: „მოგვითხრეთ, გეთაყვა, უკანა ტანის დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის თანამედროვე მეთოდების შესახებ.“

რადგან ეს დღეები ქილილა და დამანას თარგმანის რედაქციაზე ვმუშაობდი, ბუნებრივად მოვიდა პასუხი:

„და თქვა ქილილამ არაკი“...

* * *

ლილი გვეკითხება ოჯახის წევრებს: აბა, რა არის ა'კაკალ? საერთო მხიარულებაში გვიხსნის, რომ ეს არის კაკალი აფხაზურად და უკმაყოფილო დასძენს: ძალიან ცუდია, რომ თქვენ არც ერთს არ გაინტერესებთ აფხაზური! ხუმრობა იქით იყოს და, ამასობაში ისწავლა: თვეების სახელები, ფერები, რამდენიმე საბავშვო სიმღერა. რა თქმა უნდა, ყველაფერი დამოუკიდებლად, ლეპტოპში ჩატვირთული პროგრამის დახმარებით. მოკლედ, ეს ნამდვილი ინტერესია და ძალიან მიხარია!

* * *

ჩემს სამი წლის წინათ დარგულ ატმის ხეს კიდევ პირველი ნაყოფი გამოუღია. იმდენი ესხა, ბიჯგი შევუყუდეთ, რომ ნერგი არ გადამტყდარიყო. მაგარი განცდაა. დაახლოებით 20 ნერგი დავრგე და აქედან 6-მა გაიხარა საბოლოოდ. ესეც კარგია!

* * *

მიყვარს ეს 19 აგვისტო. მიზეზი მაქვს: 1987 წელს (აუუუ, რა შორს მომესმა!) სწორედ ამ დღეს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ პაატა ნაცვლიშვილის არაჩვეულებრივი წარდგინებით ჩემი 41 ლექსი დაიბეჭდა. იმ დღიდან ან ავშენდი ან დავიღუპე! დღემდე ვერ გამირკვევია. ეს დღე კი მიყვარს...

„ცოცხალი წიგნები“ თეატრალურ აფიშაზე

სანამ მხატვრული სიტყვა ცოცხალია, სანამ მწერლებს გული უძგერთ და სანამ მათ მკითხველი ელოდება, პროექტ „ცოცხალ წიგნებსაც“ არ უწერია დასრულება. ერთი წლის წინათ, როცა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მრჩეველ ქეთი დუმბაძეს პროექტის იდეა დაებადა, ალბათ ვერც წარმოიდგენდა, რამდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდებოდა იგი მწერლებისა და მკითხველებისთვის, რა მასშტაბებს შეიძენდა და რამდენად დიდი გამოხმაურება მოჰყვებოდა საზოგადოებაში.

პროექტში 75-ზე მეტი მწერალი ჩაერთო — მოიარეს თითქმის მთელი საქართველო, არ დავიწყებიათ ჯარისკაცები და პატიმრები, ყველას მიაწვდინეს ხმა, თავიანთი ცოცხალი სიტყვა, წიგნები.

ალბათ არავის გაკვირვებია, რომ საახალწლოდ, საზოგადოებრივი მაუწყებლის ჯილდო „წლის საუკეთესო მოვლენა ლიტერატურულ დარგში“ სწორედ პროექტ „ცოცხალ წიგნებს“ გადაეცა.

აპრილამდე უნდა დაესვენათ, გაზაფხულზე კი, ჩვეულებრივ, მოგზაურობას გააგრძელებდნენ, მაგრამ როდის იყო, „წიგნები“ ისვენებდნენ. ამიტომ გადაწყვიტეს, ახალი სახით „გადაშლილიყვნენ“ ახლა უკვე თბილისელი მკითხველისთვის.

20 იანვარს, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში შეკრებილმა საზოგადოებამ შეიტყო, რომ „ცოცხალი წიგნები“ გრძელდება. პროექტის ახალი ეტაპის პრეზენტაცია მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ, პროექტის ხელმძღვანელმა ქეთი დუმბაძემ და მარჯანიშვილის თეატრის სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორმა ეკა მაზმიშვილმა გამართეს — „ცოცხალი წიგნები“ თეატრთან თანამშრომლობას იწყებს.

მთელი წლის განმავლობაში, ყოველ მესამე ორშაბათს, მკითხველი საყვარელი მწერლების შემოქმედებას მონოსპექტაკლების სახითაც გაეცნობა. ლიტერატურული სპექტაკლები გაიმართება მარჯანიშვილის თეატრის სარდაფში. სტუდენტებისთვის დასწრება თავისუფალია.

პირველად სცენა დაეთმობა ლია ლიქოკელს, „ცოცხალ წიგნთან“ შეხვედრა პირველ თებერვალსაა დანიშნული, საღამოს 8 საათზე. ბილეთები თეატრის სალაროებში იყიდება...

ბესო ხვედელიძე

სხვისი კბილები

დასასრული

— ბანძ პონჩი გავიჩითეთ, ჩემი ძმა! — აწყნარებდა ლექსო მიცვალებულის შვილს თავისმხრივ, — კაცმა კბილები დაკარგა და პადვალში ჩაუვარდა... ძალიან უხერხული სიტუაციაა... ჩვენ მოგვიტევეთ.

— ვიზიალევთ თვენ ტლაგედიას! — ვთქვი მე.

— რა თქვი, ბიჯო?!

— პროთეზი, ძმა... კბილის... — აკავებდა ლექსო შვილს, — დააცემინა და გადმოუვარდა... ქვემოთ ჩაგვივარდა... სარდაფში, ჩემი დედის ძვლებს გეფიცებით...

როგორც იქნა, ყველაფრის გარკვევის შემდეგ დამშვიდებულმა შვილმა ორივენი სამზარეულოში გაგვიყვანა და დედამისის შესანდობარი დაგვალევინა. მერე უცებ აუხსნა თავისიანებს საქმის ვითარება და ყველა პირზე ხელის აფარებით აახორხოცა.

— ოქროსი ხომ არ იყო? — ჩურჩულით გადმომეკითხა მამა.

— ჯვარივით უნდა ჩამოიკიდო, ძმა... — მირჩია შვილმა და სასმისი შეავსო.

ყველანი ხითხითებდნენ. მე და ლექსო კი ვიდექით ობოლი სელაპებივით, მე უკბილო ღრძილებს ვაფჩენდი და მეჩვენებოდა, თითქოს ქლიავისფერი მიცვალებულიც იღიმებოდა.

* * *

სარდაფის კარი მამამ გააღო.

— მიდი პირველი, წიქარ... — მიბიძგა ხელი ლექსომ.

ყველანი ფარნებით, მობილურებით და სანთებელებით ვიყავით შეიარაღებული. აქ იყო ლექსოც, ჭირისუფალი მამა-შვილიც და ხორციანი დედაკაცებიც. ერთი, მიცვალებული არ ჩამოგვყოლია. ყველანი გულმოდგინედ გვეხმარებოდნენ პროთეზის მოძებნაში. ისევ არაფერი ხეირი.

— თამარ მეფის საფლავია, ბლიად? — იკითხა გაღიზიანებულმა ლექსომ, — არსად არაა, ჩემი დედის ძვლებს გეფ...

სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული, საშინელი ტკაცანი რომ გაისმა. როგორც რამდენიმე წამში გაირკვა, მიცვალებულის მუმლა ისეთი დააბჯინა კოტიტა ტორი ჩემს მრავალჭირნახულ პროთეზს, რომ ადგილზე გადატეხა წელში და სამუდამოდ დაუკარგა დანიშნულება.

მერე გათენებამდე ვისხედით ლოჯში და ვისხამდით ღვინოს — მე, ლექსო, მიცვალებულის ვაჟი და მამამისი. ჭადს ვაწობდით ლობიოში და ფეხზე დამდგრები ვილოცებოდით. ვსვამდით მიცვალებულების და ყველა დედის ძვალთა ხსოვნის სადღეგრძელოს. დილისკენ ყველანი გატიალებულები ვიყავით და მეტი არც არაფერი მახსოვს.

* * *

შუადღისას ჩემ საწოლში მეღვიძება.

თავში სრული სიცარიელეა. ტუმბოზე ჩემს ძველ, ორად გატეხილ პროთეზს ვამჩნევ, არადა, გამომშრალ-გადასიებული ენით პირშიც კბილებს ვგრძნობ. ძლივს ვდგები საწოლიდან, სარკესთან მივლასლასებ და ვიყურები. პირში პროთეზი მიდგას. ეს ისეთია — ადვილად მოსახსნელი და ჭიქაში ჩასადები.

ყველაფერი კაი, მაგრამ საიდან? არაფერი მახსოვს. სასწრაფოდ ლექსო უნდა ვიპოვო. ქლიავია ეგ ჩემისა? ეს ვისი კბილებია, ჩემი კაი... ვურეკავ. იმასაც არაფერი ახსოვს და ჯერ კიდევ ძინავს.

— რა სხვისი კბილები? დავაი რა, ჩემი დედის ძვლებს გეფიცები... აქ აღარ დარეკო! — მითიშავს ტელეფონს.

ისევ სარკეში ვიყურები და ვაკვირდები. მგონი ქალისაა, არადა მიხდება... ამას დღეში სამი ჭიქა ყავა და ორი კოლოფი სიგარეტი მაინც უნდა, თორემ ძალიან ჯულია რობერტსივით ვქათქათებ...

უკვე საზარელი ეჭვები მიპყრობს.

აქ უკვე გაბელია თუ მიშველის. მაგრამ გაბელია ქლიავია... მეც ქლიავი ვარ. ლექსოც. და საერთოდ — ჩემი ცხოვრებაც ერთი დიდი ქლიავობაა, მით უმეტეს, ასეთს რომ გეღვიძება ცხოვრების ერთ რიგით დღეს — სხვისი კბილებით პირში...

ივანე ამირხანაშვილი

თანაგანცდის გაკვეთილები

ზაალ სამადაშვილს წიგნის მიმართ ორნაირი დამოკიდებულება აქვს. ერთი ისეთი, როგორიც ყველას — უბრალოდ უყვარს; მეორე ისეთი, როგორიც ყველას არ აქვს — წიგნი იცის.

წიგნის ცოდნა იოლი საქმე არ არის. გამოცდილებასთან ერთად გემოვნებას მოითხოვს, თანდაყოლილ უნარს, რომელიც ხელოვნების არსის სწორ, შეუმცდარ განცდას გულისხმობს.

განცდიდან იწყება ყველაფერი, რაც აღქმაში შემოდის და ანალიტიკაში გადაედინება.

წიგნს ისე გრძნობს, როგორც კარგი მონადირე ნადირს. არც ერთი ნიუანსი არ გამოეპარება. აღიქვამს ფორმით, ზომით, ფერით, სუნით, შრიფტით; კითხულობს ქვეტექსტებს, ქარაგმებს, ნიშნებს, ნახევარტონებს, დეტალებს. წიგნი მისთვის ის არის, რაც ლოთისთვის სასმელი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ლოთი არ ახსენებს სასმელს. მას შეუძლია წიგნზე ილაპარაკოს უსასრულოდ და თანაც ისე, რომ ეს საუბარი არც ერთ შემთხვევაში არ იყოს უსაგნო, განყენებული, გრძნობებს აყოლილი. ყოველთვის აქვს არგუმენტი, თეზა, ანტითეზა, დასკვნა.

ერთი სიტყვით, ტექსტის მცნობელია, მგრძნობელია, განმცდელია. იცის, რა იწერება, როგორ, რისთვის. როგორც მწერალი, დეტალების ოსტატია, როგორც მკითხველი — დეტალების აღმომჩენი. კითხვის დროსაც მწერალია, წაკითხულიდან თავის ტექსტს ქმნის, თავის ვარიანტს, თავისუფლად აანალიზებს დეტალებს, ისე არჩევს ნიუანსებს, როგორც მოჭადრაკე ნათამაშევი პარტიის სვლებს.

შემოქმედისა და ანალიტიკოსის სიმბიოზი ზაალ სამადაშვილის ტექსტებში ყოველთვის შეიმჩნეოდა, მაგრამ ბოლო დროს თვალნათლივ გამოჩნდა, რომ ამ ორი საწყისის თანაარსებობა მისი მსოფლმხედველობისა და ხასიათის განმსაზღვრელი ფაქტორია. 2015 წელს „ინტელექტმა“ გამოსცა მისი მოთხრობებისა და ჩანაწერების კრებული სათაურით „იუნკერ ერისთავის ბუცები“. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის წიგნი-პორტრეტი, რომელიც გვიჩვენებს ავტორის ორერთიან ხასიათს, შინაგან ბუნებას, მის დამოკიდებულებას დროის, სივრცის, საგნებისა და მოვლენებისადმი. ხედვის, ფიქრისა და განცდის გაგრძელებაა ანალიზი, განსჯა, გააზრება. იქმნება ტექსტი და მასთან ერთად იქმნება საშიშროება, რომ ყველაფერი დაანგრიოს ერთმა არასწორმა დეტალმა, მოუზომავმა ნაბიჯმა. მაგრამ ზღვრულ სიტუაციაში, რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, სწორედ იქ ჩნდება საიმედოობის გარანტია, საიდანაც საშიშროებას გრძნობ. სიზუსტე, დეტალების სისწორე ითავსებს ქმნადობის ფუნქციას. შეიძლება ეს იმდენად დაკვირვების უნარი არ იყოს, რამდენადაც დანახვის, შემჩნევის, გარკვევის ნიჭი. სწორად მხედველი გონება. ცოტა არ იყოს, ტენდენციური, მშფოთვარე, მბორგავი, უკომპრომისო, მაგრამ საგანზე ორიენტირებული, გამბედავი, მიმგნები. უთუოდ არის ამაში პიროვნული, სუბიექტური, მაგრამ არის, რაღა თქმა უნდა, ზეპიროვნულიც, ის, რაც სუბიექტის გარეთაც იგულისხმება, რაც შენთან ახლოს მოდის და მართლაც გრძნობ, რომ მწერალი მარტო არ არის თავის განსჯაში და არც შენ ხარ მარტო შენს აღქმაში, ორივენი ერთად ხართ, ერთად ფიქრობთ, ერთად ხსნით მოვლენათა ამოცანას. ერთად იწყებთ და ამთავრებთ კითხვის პროცესს. სადღაც, ინტუიციის სიღრმეში იბადება იდეა, რომელსაც მოჰყვება მხატვრულ-ლოგიკური ოპერაციების ჯაჭვი. მოქმედებაში შემოდის პრინციპი, რწმენა და პასუხისმგებლობა ჭეშმარიტების წინაშე. სტრუქტურული ერთეულები ერთმანეთს ენაცვლება, რიგებად წარმოდგება ნიშნები და მნიშვნელობები. ნაბიჯ-ნაბიჯ მივდივართ ინდუქციისკენ. შეკითხვების ზონები პასუხის სივრცეს უერთდება. წერის ქვეცნობიერი მიზანიც ალბათ ეს არის — თანაშემოქმედება, უფრო სწორად, თანამშრომლობა, ერთად მიგნება, ერთობლივი თანხმობით დადასტურება იმისა, რასაც ვფიქრობთ, უკაცრავად ტრუიზმისათვის, აქ და ახლა.



კალამს მიდევნებით დაწერილები — ამ ციკლის ერთ-ერთი უსათაურო ჩანაწერი ფრანსუა ტრიუფოს ფილმს ეხება. „ნაზი კანი“, ასე ეწოდება კინოსურათს, რომელიც ავტორიტეტული პარიზელი მწერლის პიერ ლიაშნეს სასიყვარულო გატაცების ტრაგიკულ ფინალზე მოგვითხრობს. მოუქნელ, გაუწაფავ, მოუხერხებელ, მოუხეშავ „დონ ჟუანს“ ცოლი კლავს ეჭვიანობის ნიადაგზე, პირდაპირ თოფით მიადგება და მოკლავს ხალხმრავალ კაფეში. ასე გულისმომკვლელად აღესრულება კაცი, რომელმაც არ იცის, როგორ მოიქცეს ქალებთან, როგორ ჩაიდინოს ღალატი. ფილმში არის ერთი ასეთი, შინაარსისგან განყენებული, ცალკე მდგომი, მაგრამ აშკარად რაღაცის მიმანიშნებელი დეტალი: ლიაშნე და მისი შეყვარებული სოფლის პატარა სასტუმროში გაჩერდებიან. დილით ქალი გარეთ გამოდგამს ლანგარს, რომელზეც საუზმის ნარჩენები აწყვია. მოდის ჭრელი კატა, საცოდავი კნავილით დადის ლამბაქებსა და ჭიქებს შორის, სასუსნავს ეძებს. ზაალ სამადაშვილი შენთან ერთად იხსენებს კატის ეპიზოდს: „ნელა ირჯება, ფრთხილად მოძრაობს ჭიქებსა და თეფშებს შორის, ცდილობს არ აახმაუროს ისინი. მიუხედავად ამისა, ლამბაქებზე ფინჯანი უყირავდება, კოვზიც ხმაურით ენარცხება თეფშს. თეთრ წინსაფრიანი მოახლე რომ წამოადგეს თავზე, აუცილებლად დასჯის. ამ ფილმის სხვა მნახველებისა რა მოგახსენოთ, ჩემთვის კი ეს ფისო ბატონი ლიაშნეა, თავისი ჭკუით მყიფე ნივთებს შორის ფრთხილად მოსიარულე კაცი, რომელიც მოახლის რისხვას ვერ გადაურჩა“.

პირველად რომ ვნახე ეს ფილმი, მას შემდეგ სულ ვფიქრობდი ამ, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო დეტალზე. მართლაც რა არის ისეთი, კატა მოდის გადასაყრელად გამზადებულ ნარჩენებზე. ამაზე უფრო ჩვეულებრივი რა უნდა იყოს. თითქოს არც არაფერი, მაგრამ ტრიუფო უმიზეზოდ და უმიზნოდ კადრს არ გადაიღებს, რაღაც იგულისხმება, რაღაც დატვირთვა აქვს, სხვა შინაარსი, ალბათ უფრო ქვეცნობიერი, დაფარული, შენიღბული, ალეგორიული, ასოციაციური, გადატანითი. დააკვირდი, ამოხსენი, განმარტე, მაგრამ მარტო დაკვირვება არ შველის, ხედვაც უნდა, სპეციფიკური უნარი, ცოტა სითამამეც, რისკიც. ჩემთვის ეს ფისო ბატონი ლიაშნეაო, ამბობს მწერალი, უბრალოდ, თავისუფლად, ძალდაუტანებლად და გრძნობ ნათელხილვის მომენტს, მიგნების ეფექტს, რისკის ფასს. ხომ შეიძლება ეს ასე არ იყოს, სხვა რამეს ნიშნავდეს, სხვა იგავი იგულისხმებოდეს, სხვა მინიშნება. რა თქმა უნდა, შეიძლება, თუმცა ამჯერად მთავარი ხომ ის არის, რომ გადაიდგა ნაბიჯი პირდაპირი, მართალი, პრინციპული, რომელმაც სწორი გეზი მონიშნა, მართებული დასკვნისკენ წაგიყვანა, თავისუფლად აზროვნების სტიმული მოგცა. ეს არის თანაშემოქმედება, თანაზიარობა, თანამოღვაწეობა, თანამოაზრეობა, თუნდაც თანამზრახველობა.

და კიდევ — თანაგანცდა! მკაცრი პრინციპი. თანმიმდევრული კონცეფცია, თავისუფალი მანერა. ტექსტის სამკუთხა სტრუქტურა — ამბის თხრობა, იდეა, გააზრება: ავტორი-პერსონაჟი-მკითხველი. მაგალითად, „კლარა ექიმი“. უაღრესად თბილი, ანალიტიკური თხრობა პროვინციული ამბისა, რომელიც ავტორს ძველ ჩანაწერებში უპოვია. შენ თვალწინ იმსხვრევა რომანტიკულად განწყობილი ქალის ილუზიები, ქრება იდილია, რუტინა შთანთქავს ოცნებებს, მაგრამ ადამიანი არ ტყდება, არ კარგავს შემართებას, სიმტკიცეს, სულის სიმაღლეს. განცდას აღრმავებს ავტორისეული გადახვევები, კომენტარები, ვარაუდები, კითხვები, განსჯა-დაფიქრებანი მკითხველთან ერთად. მოგწონს — არ მოგწონს, სხვა საკითხია, ავტორი შენთან არის, შენ — მასთან, ორივე ერთად — პერსონაჟთან, განცდებიც იყოფა, საზიარო ხდება, თანაგანცდის რეჟიმში ერთვება ფიქრი და ემოცია. ასეთია ზაალ სამადაშვილის პროზა — ფორმით სუბიექტური, შინაარსით ემოციური, იდეურად ობიექტური. აქ ყველაფერი მოძრაობს და მოქმედებს ერთი მიზნით, გვიჩვენოს ადამიანი შიგნიდან, შინა-არსიდან, დაფარული მხრიდან, სადაც თავს იყრის ყველაზე სათუთი და ტკივილიანი განცდები. ეს კრებულიც არის ისეთი, როგორიც შეიძლება გამოუვიდეს მწერალს, რომელსაც წიგნის მიმართ ორნაირი დამოკიდებულება აქვს. ერთი ისეთი, როგორიც ყველას, უბრალოდ, უყვარს, მეორე ისეთი, როგორიც ყველას არ აქვს — წიგნი იცის.

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი **ირაკლი ჯავახაძე**
რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
ჟურნალისტი **თამარ ჟურული**

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940
9 772346 794004